

ლიბერალი

№ 16 / 6 - 26 იანვარი 2010

საქართველო 2009 - ში **გვ. 23**

ტრაგედიის მემორიალი **გვ. 18**

შეხვედრა მოსკოვში **გვ. 14**

ფონდ „ინკლუზივის“ დარბევა **გვ. 40**

უპატრონო ეკლესიები **გვ. 36**

VS: მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაცია **გვ. 08**

მხიარული თამაშები ძეგლებით და საფლავებით **გვ. 52**

პრეზიდენტის პატრიოტული პროექტი **გვ. 42**

საპროტესტო არტი **გვ. 47**

ISSN 1987-7528

9 771987 752008

ფასი 2.80 ლარი

სუპერმერი ბრუნდება **გვ. 10**

ულამაზეს ამბავი! fm 101.9

რეპერტუარში

FM 101.9 MYRADIO.GE

ლიბერალი

№ 16 / 6 - 26 იანვარი 2010

ფოტო: ლევან ბარამიძე-ვეფილი

ნომერში:

02 რედაქტორი
04 მოკლედ
06 ვრცლად
08 ორი აზრი
სახიფათოა თუ არა მსუბუქი ნარკოტიკების ლეგალიზაცია?
აკაკი გამყრელიძე v.s. ნიკო ნერგაძე
პოლიტიკა
10 სუპერმერი ბრუნდება
13 **თვითმმართველობის არჩევნები**
წინასაარჩევნო „ამხანაგობა“
14 **ინტერვიუ**
შეხვედრა კრემლში
ზურაბ ნოღაიდელი
ჟურნალისტური გამოძიება
18 ტრაგედიის მემორიალი
საქართველო 2009-ში
24 9 იანვარი – საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია გაფორმდა
25 20 იანვარი – იწყება „საკანი №5“
26 16 თებერვალი – ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის პრეზენტაცია
27 8 აპრილი – კონფლიქტური რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებს ნაწილობრივ რუსული ჯარი გააკონტროლებს
28 9 აპრილი და ოპოზიციის საპროტესტო აქციები
30 26 მაისი – ოპოზიციისა და მისი მხარდამჭერების შეკრება ეროვნულ სტადიონზე
31 15 ივნისი – დარბევა პოლიციის მთავარ სამმართველოსთან
32 12 ივლისი - პრეზიდენტის სასახლის პრეზენტაცია
32 30 სექტემბერი – გამოქვეყნდა ტალიავინის საგამოძიებო კომისიის დასკვნა
33 19 დეკემბერი – ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქება
ადამიანის უფლებები და სამართალი

36 უპატრონო ეკლესიები
40 **ფონდ „ინკლუზივის“ დარბევა**
პოლიცია ღირსებისა და პატივის წინააღმდეგ
საზოგადოება
42 პრეზიდენტის პატრიოტული პროექტი
47 **სტუდენტური მოძრაობა**
საპროტესტო არტი
საუბრები ლიბერალიზმზე
50 ნეოკონსერვატორული საგარეო პოლიტიკა
52 **თვალსაზრისი**
მხიარული თამაშები
ლაშა კალანდაძე

გარეკანზე:

სუპერმერი ბრუნდება
ილუსტრაცია: ოთარ ყარალაშვილი

ჟურნალი „ლიბერალი“ გამოიცემა ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით.

საერთოდ, გიგი უგულავაზე და მერიაზე წერა, თურმე, დაძრული მატარებლის დევნას ჰგავს. ვერასოდეს დაეწევი. გგონია, რომ ყველა პროექტს გაეცანი, ყველა ინფორმაცია მოაგროვე, მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა ჟურნალი სტამბაში მიდის, შენ კი – სახლში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ მერიამ თბილისელებს გაზისა და დასუფთავების დავალიანება გადაუხადა! 2007 წელს, როცა პრეზიდენტობის კანდიდატმა ბადრი პატარკაციშვილმა იგივეს გაკეთება სცადა, ამას ამომრჩევლის მოსყიდვა ერქვა, 2010-ში კი ამომრჩეველზე ზრუნვა დაერქმევა.

ასეა თუ ისე, გიგი უგულავამ სანტა-კლაუსებს წელს ბიზნესი ჩაუშალა.

საახალწლოდ სანატრელი აღარაფერი დაგვრჩა, გარდა ერთისა – ძვირფასო სანტა, ისე ქენი, რომ 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებმა სამართლიანად ჩაიაროს და საქართველომ მართლა გადადგას ნაბიჯი დემოკრატიისკენ, თბილისელებმა ღირსეული და თავისუფალი არჩევანი გააკეთონ, ყველას სამსახურები გვქონდეს, რომ გაზისა და დასუფთავების დავალიანება არ დაგვიგროვდეს, რომელსაც მერე წინასაარჩევნოდ მთავრობა ისევ ჩვენ მიერ გადახდილი გადასახადებიდან დაგვიფარავს.

ყველას გილოცავთ ახალ წელს!

მოგვწერეთ,
სოფო ბუკია,
კავკასიისა და კონფლიქტების
განყოფილების რედაქტორი
sopho.bukia@liberali.ge

ნახეთ ვებ-გვერდზე:

www.liberali.ge

ინტერვიუები:

გიგი უგულავა
ზურაბ ნოღაიდელი

ბლოგები:

ლაშა ბაქრაძე
შორენა შავერდაშვილი

რედაქტორები: მთავარი რედაქტორი **შორენა შავერდაშვილი** /აღმასრულებელი რედაქტორი **ნინო ჯაფიაშვილი** / პოლიტიკა და საერთაშორისო ამბები **სოფო ქაავა** / კავკასია და კონფლიქტები **სოფო ბუკია** / ჟურნალისტური გამოძიება **ბესო კურტანიძე** / საზოგადოება **თამარ ბაბუაძე** / ადამიანის უფლებები და სამართალი **ნინო ბექიშვილი** / ახალი ამბები **ნათია ახალაშვილი**
რედაქცია: ფოტო-რედაქტორი **ლევან ხერხეულიძე** / გრაფიკული დიზაინი **თორნიკე ლორთქიფანიძე** / რედაქტორ-სტილისტი **ნინო სვანიძე** / კორექტორი **ნინო საითიძე**
გამომცემლობა: პროექტის მენეჯერი **ქეთი ბაბუნაშვილი** / პროექტის მენეჯერის ასისტენტი **ლელა შუბითიძე** / რეკლამის და გაყიდვების დირექტორი **შალვა ჩუბინიძე** / დისტრიბუტორი **ზვიად შენგელია**
გამომცემელი: შპს „ლიბერალი“. მისამართი: თბილისი 0162, ფალიაშვილის ქ. 108. ტელ.: (995 32) 232235, 233731, 912326. ელ-ფოსტა: info@liberali.ge
სხვა გამოცემები: „ცხელი შოკოლადი“, „ცხელი შოკოლადი – ლიტერატურა“, „ბიზნესი: ადამიანები, მეთოდები, სტრატეგიები“.
„ლიბერალის“ საავტორო უფლებები დაცულია.
ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.
ბეჭდვა: სტამბა „სეზანი“. მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 35 70 02.
ტირაჟი: 5000 ცალი. გამოდის ორ კვირაში ერთხელ. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში. რეკომენდებული საცალო ფასი 2,80 ლარი.
www.liberali.ge
ISSN 1987-7528

გამოიწერეთ ჟურნალი „ლიბერალი“ და მიიღეთ იგი გამოსვლის დღეს
(ყოველ მეორე ოთხშაბათს)
თქვენთვის სასურველ მისამართზე

ლიბერალი

6 ნომერი (3 თვე) _ 16,80 ლარი
13 ნომერი (6 თვე) _ 36,40 ლარი
25 ნომერი (1 წელი) 70 ლარი

ჟურნალის გამოსაწერად დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
23 37 31, (899) 48 62 41
ან მოგვაწოდეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია
ელ-ფოსტით: info@liberali.ge

მუხროვანის საქმის განსასჯელებისთვის პროკურორი ხანგრძლივ პატიმრობას ითხოვს

კობა ოთანაძეს – 30 წელი, ლევან ამირიძეს – 29 წელი, შოთა (მამუკა) გორგიაშვილს – 19 წელი, კობა კობალაძეს – 13 წელი და 6 თვე – ასეთ გრძელვადიან პატიმრობებს ითხოვს პროკურორი მუხროვანის საქმეზე დაკავებული პირებისთვის. ოთხივე განსასჯელს ხელისუფლების დამხობის მიზნით ამბოხების მომზადება ედება ბრალად. გარდა ამისა, კობა კობალაძეს ცეცხლსასროლი იარაღის და ხელყუმბარების უკანონო შენახვა, ხოლო ოთანაძეს – ცეცხლსასროლი იარაღის და ასაფეთქებელი მოწყობილობების მართლსაწინააღმდეგო ტარებაც ედებათ ბრალად.

მუხროვანის საქმეზე სასამართლო პროცესი დასკვნით, მხარეთა პაექრობის ეტაპზე გადავიდა. პროკურორმა სასჯელის ასეთი ვადები საბრალდებო დასკვნის წაკითხვის შემდეგ მოითხოვა.

პირველი ბრიგადის ყოფილი მეთაურის დავით სულხანიშვილისთვის პროკურორი 4-წლიან პატიმრობასა და 20-ათასლარიან ჯარიმას ითხოვს, მე-3 ბრიგადის ყოფილი მეთაურის კახა კობაიძისთვის – 4-წლიან პატიმრობასა და 10 ათასი ლარის ოდენობის ჯარიმას.

საქმეზე დაკავებული სამოქალაქო პირებისთვის პროკურორის მიერ მოთხოვნილი სასჯელის ვადები 9-დან 17 წლამდე მერყეობს.

განსასჯელების ადვოკატები მიიჩნევენ, რომ პროკურატურის ასეთი მოთხოვნები დაუსაბუთებელი და საფუძველს მოკლებულია. ადვოკატები ვარაუდობენ, რომ მოსამართლემ, შესაძლოა, პროკურორის მოთხოვნებს მხოლოდ 2-3 წელი დააკლოს.

სასამართლო პროცესი ადვოკატების დაცვითი სიტყვებით გრძელდება.

იმერეთს ახალი გუბერნატორი ჰყავს

იმერეთს პრეზიდენტის ახალი რწმუნებული ჰყავს – ლაშა მაქაცარია. „ჩვენ ახლა იქ გვჭირდება ახალი სისხლი და ახალი კადრი“, – ასეთი სიტყვებით დაიწყო საქართველოს პრეზიდენტმა მისი წარდგენა. მაქაცარია ახალ პოსტზე პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილის თანამდებობის დატოვების შემდეგ გადავიდა. მანამდე მის სახელთან ბევრი გახმაურებული ამბავი იყო დაკავშირებული. მაშინ, როდესაც ის თბილისის ზედამხედველობის სამსახურს ხელმძღვანელობდა, მისი მითითებით თბილისში მრავალი შენობა დაინგრა, სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე; მათ შორის – თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლი. ახალი გუბერნატორი აცხადებს, რომ ის ყველა იმ დაპირებას შეასრულებს, რაც მისმა წინამორბედებმა დადეს.

მკალავიშვილი საპატრიარქოს განცხადებას უარყოფს

საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით, ყოფილ მარგვეთელ ეპისკოპოსს, ქრისტეფორე წამალაძეს, ბასილ მკალავიშვილსა და მღვდელ ვახტანგ მარგიანს მონასტერში მოსანანიებლად წასვლის უფლება მიენიჭათ. საპატრიარქოს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მეუფე ქრისტეფორემ საეკლესიო დარღვევებისა და შეცდომების გამო შენდობა ითხოვა. ვახტანგ მარგიანმა და ბასილ მკალავიშვილმა კი სინოდს წერილობითი თხოვნით მიმართეს. ბასილ მკალავიშვილი აცხადებს, რომ მონანიების შესახებ ტელევიზიიდან შეიტყო და არც წმინდა სინოდის კრებისთვის მიუმართავს წერილობით.

მკალავიშვილი აცხადებს, რომ საპატრიარქოდან დაურეკეს და სინოდის სხდომაში მონაწილეობა სთხოვეს, თუმცა განსახილველი საკითხები მისთვის წინასწარ უცნობი იყო.

შეგახსენებთ, რომ ბასილ მკალავიშვილი 4-წლიანი პატიმრობის შემდეგ 2008 წლის 25 მაისს გაათავისუფლეს. მან სასჯელი რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმის გამო მოიხადა. მკალავიშვილი მართლმადიდებელი ეკლესიიდან განკვეთილი იყო. სამართალდამცავებმა იგი 2004 წლის მარტში, გლდანში, მისივე აშენებულ ეკლესიაში დააპატიმრეს. დაიბრუნებენ თუ არა მღვდელმსახურების უფლებას ყოფილი ეპისკოპოსი ქრისტეფორე წამალაძე, ბასილ მკალავიშვილი და ვახტანგ მარგიანი, სინოდის შემდეგ კრებაზე გადაწყდება.

რუსი სამხედრო საქართველოში

საქართველოს მთავრობას უკვე მესამე რუსმა ჯარისკაცმა მიმართა პოლიტიკური თავშესაფრის მოთხოვნით. 25 წლის ვიტალი ხრიპუნი აცხადებს, რომ მან თავისი სამხედრო შენაერთი პოლიტიკური მოტივით დატოვა.

ვიტალი ხრიპუნისთვის ლტოლვილის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილებას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს შესაბამისი სამსახური 4 თვეში მიიღებს. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის კობა სუბელიანის თქმით, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ხრიპუნს „რამდენიმე ინტერვიუ ჩაუტარდება, რომლებსაც გაერო-ს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიც დაესწრება“. მინისტრი აცხადებს, რომ ისეთი შემთხვევებიც მომხდარა, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული ჯარისკაცი მშობლებისთვის უკან დაუბრუნებიათ. „ამ შემთხვევაში, დარჩება თუ წავა ჯარისკაცი უკან, გაერო-ს გადასაწყვეტია, რადგან თუკი ქართული მხარე ჯარისკაცის რუსეთში დაბრუნებასთან დაკავშირებით მიიღებს გადაწყვეტილებას და შემდეგ მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, პასუხისმგებლობა ქართულ მხარეს დაეკისრება“, – ამბობს ის.

ვიტალი ხრიპუნი აცხადებს, რომ იგი რუსულ სასაზღვრო ჯარში მსახურობდა და ცხინვალში ოქტომბერში ჩამოვიდა. რუსული მასმედია კი, სამხრეთი ოსეთის ძალოვან სტრუქტურებზე დაყრდნობით, ავრცელებს ინფორმაციას, რომ ხრიპუნი კონტრაქტით მსახურობდა ჯავის რაიონის სოფელ სინაგურში განთავსებულ სასაზღვრო ნაწილში. მათივე ინფორმაციით, ხრიპუნი 20-21 დეკემბრის ღამეს სოფელ პერევთან სასაზღვრო რაზმის შემადგენლობაში იყო და სწორედ ამ ღამეს დაიკარგა.

რიცხვები

8 მილიონი ლარი აქვს საზოგადოებრივ მაუწყებელს ვალი. აქედან ნახევარი საბანკო კრედიტია, ნახევარი კი – ევროპის მაუწყებელთა კავშირის დავალიანება.

80 მილიონი ლარით გაიზარდა თბილისის 2010 წლის ბიუჯეტი.

4 მილიონი ლარი დაჯდა ვიქტორ იუშჩენკოს წინასაარჩევნო კამპანია.

332 მილიარდერით ნაკლები დარჩა მსოფლიოში 2009 წელს, წინა წელთან შედარებით.

118 მილიონით დაფინანსდება ქობულეთი-ბათუმის გზის მშენებლობა.

ციტატები

„რუსეთთან თანამშრომლობის არეალის გაფართოების მცდელობა არ ნიშნავს საქართველოზე რუსეთის წნეხის ან რუსეთის მიერ უკრაინის შანტაჟის დავიწყებას. საქართველოსთან და უკრაინასთან მიმართებაში უკან დახევა უკან გადადგმული გიგანტური ნაბიჯი იქნება – ორივე შემთხვევაში, ეს გააძლიერებდა რუსეთის იმპერიულ ნოსტალგიას და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შიშებს, რომ აღარაფერი ვთქვათ შეიარაღებული კონფლიქტის გაღვივების ალბათობის ზრდაზე. თუმცა, აქამდე ობამას ადმინისტრაცია აყოვნებს საქართველოსათვის თუნდაც მხოლოდ თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვას“.

ზბიგნევ ბჟეზინსკი ობამას საგარეო პოლიტიკაზე
დეკემბერი, 2009

„ევროპასა და ვაშინგტონში ესმით, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ მოწყობილი ავანტიურის გამეორება დაუშვებელია. ჩვენ პარტნიორებს ამის ხმამაღლა თქმა არ შეუძლიათ. როგორც ჩანს, მათ ჯერ კიდევ რცხვენიათ ამის გაკეთების, რადგან ეს იმათი შეცდომის აღიარება იქნება, ვისაც სააკაშვილზე ჰქონდა გათვლა. მაგრამ, დაზუსტებით ვიცით, რომ ისინი ამ აზრს თბილისს ზუსტად აწვდიან“.

სერგეი ლავროვი
28 დეკემბერი, „როსიისკაია გაზეტა“

„რუსებს დიდი სიამოვნებით გავუცვლიდით სტალინის ძეგლს აფხაზეთსა და ოსეთში და ხურდაში „დიდების მემორიალსაც“ მივაყოლებდით“.

თემურ იაკობაშვილი
30 დეკემბერი, თბილისი

ურთიერთობების ლღობა თუ რუსეთის ნება?

ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტი, სავარაუდოდ, გაზაფხულზე გაიხსნება.

ნათია ახალაშვილი

ფოტო: ბოგდან ბუბარიძე

ყაზბეგი-ზემო ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი, 2007

ყაზბეგი-ზემო ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი 2010 წლის მარტის დასაწყისში გაიხსნება. ამ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს და რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მოწყობის ფედერალური სააგენტოც ადასტურებს.

საქართველო-რუსეთის ერთადერთი ლეგიტიმური სახმელეთო საზღვარი 2006 წლის ივლისში რუსეთის გადაწყვეტილებით დაიხურა. მიზეზად მაშინ სარემონტო სამუშაოები დაასახელეს. რუსულმა მხარემ სამუშაოების დასრულების შესახებ ოფიციალური ცნობა 2009 წლის მაისში გაავრცელა, თუმცა რეალურად რემონტი უკვე კარგა ხნის დასრულებული იყო. განახლდა ქართული სასაზღვრო-გამშვები პუნქტიც, რომელიც ახლა უკვე უახლესი ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი. იქვეა დამონტაჟებული რადიაციულ ნივთიერებათა აღმოსაჩენი აპარატურა. სასაზღვრო პუნქტის მოდერნიზება აშშ-ს ფინანსური დახმარებით მოხდა (დაახლოებით 2,5 მილიონი დოლარი). პუნქტში დამონტაჟებულია თანამედროვე საძიებო აპარატურა. იქვეა აშენებული საპატრულო პოლიციისა და საბაჟო სამსახურებისთვის საოფისე შენობები და ყაზარმები.

ყაზბეგი-ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნისთვის მზადყოფნის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა პირველად განაცხადა ივნისში, ერევანში ვიზიტისას. გასული თვის განმავლობაში საზღვრის გახსნისთვის მზადყოფნის შესახებ უკვე რუსეთის პრეზიდენტმაც ისაუბრა.

ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნით განსაკუთრებითაა დაინტერესებული სომხეთი, რადგან სწორედ ეს გზაა ყველაზე მოსახერხებელი სომხეთსა და რუსეთს შორის სამოძრაოდ. სომხეთს პროდუქციის 70-80% რუსეთში გააქვს. ეს პროდუქტები, ფოთის ან ბულგარეთის გავლით, ზღვით ჩადის რუსეთში. ამ გზის გავლას 10-დან 60 დღემდე სჭირდება, ზემო ლარსის გახსნის შემდეგ კი სომხური პროდუქტი რუსეთში 3-5 დღეში მოხვდება.

„ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტის შესაძლო გახსნა რეგიონში ეკონომიკის შემდგომ განვითარებაზე

სასიკეთო ზეგავლენას მოახდენს და საქართველოს, როგორც სატრანზიტო სახელმწიფოს, როლს გააძლიერებს“, – ეს სიტყვები სომხეთის პრემიერ-მინისტრ ტიგრან სარგსიანს ეკუთვნის. მსგავსი შეფასებები არაერთხელ გამოუთქვამთ სომხეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

საზღვრის გახსნის მოტივად ქართული და რუსული მხარეები სწორედ სომხეთის ტრანზიტულ ტვირთებს ასახელებდნენ. ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნაზე დეკემბრის ბოლოს გამართულ ბრიფინგზე საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ ისაუბრა. მისი თქმით, მოლაპარაკება რუსულ და ქართულ მხარეებს შორის შვეიცარიის საელჩოს წარმომადგენლის შუამავლობით შედგა. კალანდაძე აცხადებს, რომ საზღვრის გახსნის „გადაწყვეტილება გავრცელდება როგორც საქართველოს მოქალაქეებზე, ისე საქართველოს ტვირთზე და, შესაბამისად, ქართულ სატრანსპორტო საშუალებებზე“ და ეს არ იქნება მხოლოდ სატრანზიტო მექანიზმი, მეზობელი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე. მინისტრის მოადგილე ამბობს, რომ მხარეები შეადგენენ ოქმს, სადაც გაიწერება ყველა ის გადაწყვეტილება, რომელიც ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით იქნა მიღებული.

ეკონომიკური ექსპერტების ნაწილი

გან გაზრდის ვაჭრობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვიღაცებს გაეზრდებათ შემოსავალი. ამ გადაწყვეტილების ძირითადი შედეგი ეს იქნება. ჩვეულებრივი ადამიანები ამით მოიგებენ. რაც შეეხებათ პოლიტიკოსებს, ეს უკვე მათი გადასაწყვეტია – ვინ ჩათვლის, რომ ხალხის ეკონომიკური წარმატება მოგებაა, და ვინ ჩათვლის, რომ ეს წაგებაა“, – აცხადებს ლევან როინიშვილი.

საზღვრის გახსნის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება აქვს ყაზბეგის რაიონის მოსახლეობასაც. ზოგიერთ მათგანს რუსეთთან საზღვრის გახსნის ეშინია. ფიქრობენ, რომ ლარსის გახსნის შემდეგ ბოლო 20 წლის განმავლობაში რეგიონიდან წასული ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები, რუსეთის წაქეზებით, უკან დაბრუნდებიან და თრუსოს ხეობის ჩრდილო ოსეთთან შეერთებას დაუფარავად დაუჭერენ მხარს. ზოგი კი ამტკიცებს, რომ საზღვრის გახსნა რეგიონისთვის ბევრ სიკეთეს მოიტანს. „თუ საზღვარი გაიხსნება, ჩვენ რეგიონს დამატებითი შემოსავალი გაუჩნდება, გზაც გაკეთდება. რისაც ზოგიერთს ეშინია, იმისგან ვერც ის ერთი „შლაგბაუმი“ დაგვიცავს, რომლითაც დღეს საზღვარია ჩაკეტილი“, – ამბობს ყაზბეგის მკვიდრი ელგუჯა ალიბეგაშვილი.

ლარსის იქით დარჩენილი ქართველები საზღვრის გახსნას მოუთმენლად

იმიტომ რომ აქ ვმუშაობ და ოჯახს ვარჩენ. არ ვიცი, საქართველოში ვიპოვი თუ არა სამსახურს და რაღაც გარანტია მჭირდება. ამ წუთში უფრო იმიტომ უნდა გაიხსნას ლარსი, რომ მიმოსვლა აღდგეს“, – ამბობს ბესლანში მცხოვრები რევაზ ალიბეგაშვილი.

ყაზბეგის გამგებელს საზღვრის გახსნის დიდი მოლოდინი აქვს. მიაჩნია, რომ ყაზბეგი-ზემო ლარსის გამშვები პუნქტი ყაზბეგის რაიონს გამოაცოცხლებს.

„ყაზბეგში 10-მდე საოჯახო სასტუმროა, რომლებიც მხოლოდ ზაფხულის სეზონზეა დატვირთული. გზა რომ გაიხსნება, მიმოსვლა მეტი იქნება, სასტუმროც ბევრს დასჭირდება და კვების ობიექტებიც. მართალია, ახლა სულ ერთი-ორი ასეთი ობიექტი ფუნქციონირებს ჩვენთან, მაგრამ ყაზბეგელები სიტუაციას უცბად უღებენ ალღოს. დარიალის ხეობაში გზა მოსაწესრიგებელია და იმედი გვაქვს, რომ საზღვრის გახსნის შემდეგ ამასაც მოევლება“, – აცხადებს ყაზბეგის გამგებელი გოჩა მალანია.

ადრე ვლადიკავკაზში ყაზბეგელები ვიზის გარეშე გადადიოდნენ, მხოლოდ პასპორტში სპეციალური ჩანართის მეშვეობით. საზღვრის გახსნის შემთხვევაში, მხოლოდ ჩანართით, სავარაუდოდ, ვეღარავინ მოხვდება ჩრდილო ოსეთში, რუსეთის ვიზის გაცემა კი ქართველებისთვის თითქმის

საერთაშორისო მედია საზღვრის გახსნას საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობების განმუხტვის დასაწყისად მიიჩნევს.

საზღვრის გახსნას სკეპტიკურად უყურებს და საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ ამით საქართველო რაიმე მნიშვნელოვან ეკონომიკურ სარგებელს მიიღებს.

ექსპერტთა მეორე ნაწილს კი განსხვავებული პროგნოზები აქვს და ფიქრობენ, რომ საზღვრის გახსნა ყველასთვის მომგებიანი იქნება. ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია „Purple Sheep“-ის ბიზნეს კონსულტანტის ლევან როინიშვილს თქმით, „თუ ამ საკითხის პოლიტიკურ მხარეზე დავა შეიძლება, ეკონომიკური პროგნოზი ცალსახაა, იმის გამო, რომ თუ ვაჭრობა იზრდება, მაშინ პროცესი ყველასთვის მომგებიანი ხდება“.

„ლარსის გახსნა ყველა ადამიანისთვის მომგებიანი იქნება, რადელიან. მათივე აზრს იზიარებენ ის ოსები, რომელთაც ნათესავები და ოჯახის წევრები ჰყავთ საქართველოში და, უკვე სამი წელია, ნახვა ვერ მოუხერხებიათ.

მიუხედავად იმისა, რომ ბესლანიდან საქართველომდე სულ რაღაც 40 კილომეტრია, სამი წელია, ამ მანძილის გავლით სამშობლოში მაინც ვერ ბრუნდებიან ჩრდილოეთ ოსეთში დროებით წასული ქართველები.

„უკვე ცამეტი წელია, აქ ვართ. ვიდრე საზღვარი ჩაიკეტებოდა, წელიწადში ერთხელ მაინც ჩავდიოდით საქართველოში. ბოლო სამი წელიწადია, ეს ვეღარ მოვახერხე. საზღვარი რომ გაიხსნება, მაშინვე ვერ ავდგები და სულ ვერ წამოვალ საქართველოში, შეუძლებლად იქცა. ვიზების მიღების საკითხის მოგვარებას პირი არ უჩანს. ასე რომ, ყაზბეგელები ამ საზღვარს ალბათ ვერც უახლოეს მომავალში გასცდებიან.

საერთაშორისო მედია საზღვრის გახსნას საქართველოსა და რუსეთს შორის დაძაბული ურთიერთობების განმუხტვის დასაწყისად მიიჩნევს.

მართალია, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ ამ ეტაპზე მოსკოვისა და თბილისის შერიგება დღის წესრიგში არ დგას, მაგრამ ეს პროცესი მაინც ურთიერთობების განმუხტვის დასაწყისად ფასდება, მეორე ეტაპად კი ორ ქვეყანას შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენას მიიჩნევენ.

აკაკი გამყრელიძე
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე

სახიფათო
მსუბუქი ნარკოტიკ

დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ საზოგადოებაში გავრცელებული ტერმინი „მსუბუქი ნარკოტიკი“, სამედიცინო თვალსაზრისით, მცდარია. მით უმეტეს, როცა ვსაუბრობთ მარიხუანაზე, რომლის 2-3-ჯერ მოწევაც კმარა, რომ ნარკოტიკისთვის დამახასიათებელი ძირითადი თვისება – მიჩვევა და შემდეგში განმეორებით მიღების მოთხოვნილება გამოავლინოს; უფრო მეტიც, მარიხუანამ ერთხელ მოწევის დროსაც კი შეიძლება გამოიწვიოს ისეთი ფსიქიკური ძვრები, რომელზეც ფსიქიატრები დღემდე კამათობენ – არის ეს შიზოფრენია, რომელიც დაიწყო მარიხუანას მოხმარებით, თუ ჰაშიშური ფსიქოზი, რომელიც შიზოფრენიას ჰგავს.

მარიხუანა ხშირად არის ის ნარკოტიკული საშუალება, რომლითაც ზოგადად ნარკოტიკების მიღებას იწყებენ და შემდეგ გადადიან სხვა ტიპის, საზოგადოების გამოთქმით, უფრო „ძლიერ“ ნარკოტიკზე, მაგალითად ოპიუმზე. ანუ მარიხუანა საწყისი ეტაპია და ვთქვათ, ოპიატებისგან განსხვავებით, რომელთა მოხმარებას სჭირდება შპრიცი და მომზადება, გაცილებით ადვილად მოსახმარია.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს 204 ქვეყანაში, საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე, აკრძალულია ექიმის დანიშნულების გარეშე ნებისმიერი სახის ნარკოტიკული საშუალების მიღება. ბოლო წლებში დაიწყო საუბარი მარიხუანას სამკურნალო თვისებებზეც. არის ქვეყნები, მაგალითად იაპონია, სადაც მარიხუანა ონკოლოგიური ავადმყოფების მკურნალობისთვის, სიმსივნური ტკივილების დროს გამოიყენება. თუმცა იქ ასეთი გამოყენებაც მხოლოდ ექიმის დანიშნულებით ხდება.

დღეს, როცა ლიბერალიზაციაზე ვსაუბრობთ, უნდა გავიხსენოთ თუნდაც მეზობელი რუსეთი, რომელმაც დაახლოებით 10 წლის წინ მოახდინა ლიბერალიზაცია, ანუ გააუქმა ნარკოტიკების მიღებაზე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის დასჯადობის მუხლი. მიიღეს შემდეგი სურათი: 2004 წელს ფსიქიატრების ყრილობაზე მთავარმა ნარკოლოგმა გამოიტანა შედეგები, რომლის თანახმად, რუსეთის 16 ქალაქში 13 წლის ასაკში თითქმის ყველა მოიხმარდა ნარკოტიკებს. 2005-ში კანონი სასწრაფოდ აღადგინეს.

ასეთივე შედეგი გვაქვს ჰოლანდიაში, როცა ამსტერდამის რამდენიმე რაიონში მოხდა მოხმარების დეკრიმინალიზაცია. ფაქტობრივად, ეს იყო არა კანონი, არამედ საპროცესო შეთანხმება სახელმწიფოსა და პოლიციას შორის, რომ პოლიციას ის რაიონები არ გაეკონტროლებინა. დღეს ჰოლანდიელი კოლეგები სერიოზულად ფიქრობენ, რომ ეს დაშვება ისევ გააუქმონ, თუნდაც იმიტომ, რომ იმ კვარტალში არა მარტო მარიხუანას, სხვა ნარკოტიკებსაც მოიხმარენ; ასევე იმის გამო, რომ იქ მარიხუანა ადვილად იყიდება, ადვილადვე გამოდის გარეთ.

ძალიან რთულია ამ საკითხის თავიდან ბოლომდე განხილვა. ნარკომანია არ არის ინფექციური დაავადება, რომელიც შეიძლება შეგეყაროს. როცა ლიბერალიზაციაზე ვფიქრობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნარკომანები არ არიან განყენებული ადამიანები, მათ გვერდზე საზოგადოებაა, ახალგაზრდა თაობა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ითვლის სტატისტიკას, რომ ერთი ნარკომანი საშუალოდ ათ ადამიანს მოიზიდავს ნარკოტიკის გასასინჯად, რომლიდანაც 3 ნარკომანი ხდება. ამაზეა ლაპარაკი.

ახალგაზრდა ასაკში უფრო დიდია კანონის შიში, ვიდრე შეგნება იმისა, რომ ნარკოტიკი ცუდია. მე, როგორც ექიმს, მეცოდება ჩემი ავადმყოფები, რომლებიც ისჯებიან იმის გამო, რომ ავადმყოფები არიან. მაგრამ ეს რომ არ გვქონდეს, უარეს მდგომარეობას მივიღებდით. რაც შეეხება ამ ხალხის დახმარებას, ლიბერალიზაცია კი არა, საჭიროა, საზოგადოებამ ერთი მხრივ სახელმწიფოს, მეორე მხრივ საკუთარ თავს მოსთხოვოს, გააკეთოს რამე ნარკომანიის აღმოსაფხვრელად. დღეს ჩვენ არ გვაქვს რეაბილიტაციის ცენტრი, არა გვაქვს სავალდებულო მკურნალობის საშუალება, არადა, ნარკომანი ხშირად თვითონ თხოულობს, – ჩამკეტეთ, რომ თავი დავანებოო.

მართალია, ჩვენთან სახელმწიფომ დაიწყო ზრუნვა სავალდებულო მკურნალობის სტაციონარის გაკეთებაზე, მაგრამ ეს ჯერ საკმარისი არაა. ეკონომიკური მდგომარეობის გამო, ბევრი რამ გვაკლია.

ჯერჯერობით არც საქართველო და არც ჩვენზე ბევრად უფრო მოწესრიგებული მსოფლიოს სხვა ქვეყნები ლიბერალიზაციისთვის მზად არ არიან. მით უმეტეს, ქართველებს ხასიათში გვაქვს, ოღონდ რამეზე „შევჯდეთ“ და სიამოვნება მივიღოთ.

ილუსტრაცია თაკო ბაქრაძე

ია თუ არა ების ლეგალიზაცია?

ნიკო ნერგაძე
ჟურნალისტი

ნარკოტიკების „მძიმედ“ და „მსუბუქად“ დაყოფა, ორგანიზმისთვის მიყენებული ზიანის გარდა, იმითაც განისაზღვრება, თუ რა დოზით იწვევს ის ფიზიკურ დამოკიდებულებას და რამდენად რთული და მტკივნეულია მისთვის თავის დანებება. ამ მახასიათებლებით დალაგებული ნარკოტიკული საშუალებების სიაში მარიხუანა ბოლოს, ყავასთან ერთად აღმოჩნდებოდა – ალკოჰოლის და თამბაქოს ქვემოთ. ბევრი მძიმე ნარკოტიკად მიიჩნევს სიგარეტს, ფიზიკური დამოკიდებულების მაღალი ხარისხისა და ჯანმრთელობისთვის საზიანოობის გამო.

შეიძლება ხშირად მოისმინოთ, რომ კანაბისი (მარიხუანა და ჰაშიში) თავისთავად მაინცდამაინც საშიში არ არის, მაგრამ მის მოხმარებას შეიძლება გრძელვადიანი ცუდი შედეგი მოჰყვეს. „კარიბჭის თეორიის“ თანახმად, კანაბისის მწეველი შემდეგ სხვა, მძიმე ნარკოტიკების – ჰეროინის და კოკაინის მოხმარებაზე გადადის. არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა იმის ასახსნელად, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს მსგავსი ეფექტი. ერთის მიხედვით, მარიხუანა ერთგვარი „პირველი საფეხურია“, რომელიც შემდეგ აიოლებს სხვა, უფრო ცუდ საფეხურებზე გადასვლას. მეორეს მიხედვით, კანაბისი ტვინს დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნას აჩვევს და ამიტომ შემდეგ მწეველი უფრო ადვილად ხდება ნარკოდამოკიდებული. ამ განსხვავებულ ჰიპოთეზებს ერთი რამ აერთიანებს – მეცნიერული კვლევებით არც ერთი არ მტკიცდება.

RAND-ის (გლობალური კვლევითი ორგანიზაცია, რომელსაც სხვებთან ერთად ამერიკის მთავრობაც აფინანსებს) 2002 წლის კვლევის თანახმად, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მარიხუანას მოხმარებასა და მძიმე ნარკოტიკების მიღებას შორის არ არსებობს. იგივეს ამბობს ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაცია. მსგავსი შედეგები აჩვენა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კვლევებმაც.

2002 წელს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ამერიკულ სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნდა კვლევა, რომლის ავტორებიც ცდილობდნენ, დაედგინათ, თუ რა ეფექტს ახდენს განსხვავებული ანტინარკოტიკული პოლიტიკა კანაბისის მოხმარების ტენდენციებზე. ავტორები იკვლევდნენ მწეველებს სან ფრანცისკოსა და ამსტერდამში – ქალაქებში, რომლებშიც ნარკოპოლიტიკა სრულიად განსხვავებულია. ამერიკაში კანაბისის მოხმარება კანონდარღვევად მიიჩნევა და მსურველმა ის შავ ბაზარზე უნდა შეიძინოს, ამსტერდამში კი მისი მოხმარება კანონით დაშვებულია და 18 წელს გადაცილებულებს შეუძლიათ ნარკოტიკი მაღაზიაში შეიძინონ და საჯაროდ მოიხმარონ. კანონმდებლობაში განსხვავებების მიუხედავად, ტენდენციები ორივე ქალაქში მსგავსი იყო – კანაბისის მოხმარება მცირე დოზებით იწყება, შემდეგ იზრდება, მცირე პერიოდის განმავლობაში მაქსიმუმს აღწევს, შემდეგ კი მოხმარება დროთა განმავლობაში საგრძნობლად იკლებს ან საერთოდ წყდება.

თუმცა, განსხვავებებიც იყო. ამ კვლევის მიხედვით, სან ფრანცისკელი კანაბისის მწეველები საგრძნობლად უფრო ხშირად გადადიოდნენ კოკაინზე, კრეკზე და ოპიატებზე, ვიდრე ამსტერდამელები, იმის მიუხედავად, რომ ნარკოტიკებთან დაკავშირებული პოლიტიკა ნიდერლანდებში უფრო ლიბერალურია, ვიდრე ამერიკაში. რით შეიძლება ამის ახსნა?

კვლევის ავტორები ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაში, „კარიბჭის ეფექტი“ გამოიწვია არა კანაბისმა, არამედ შავმა ბაზარმა. ნარკოტიკების მომხმარებლებმა ოპიატების გასინჯვა დაიწყეს არა იმიტომ, რომ მანამდე მარიხუანას ეწეოდნენ, არამედ იმიტომ, რომ ნარკომოვაჭრესთან ჰქონდათ ურთიერთობა, რომელიც კანაბისის გარდა სხვა, მძიმე ნარკოტიკებსაც ყიდდა.

ამ კვლევის მიხედვით, კანაბისის კანონით დაშვება ან აკრძალვა მისი მოხმარების ზრდაზე გავლენას არ ახდენს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჰოლანდიელების მიდგომა ყველა ქვეყნისათვის ერთნაირად გამოსადეგია. ნიდერლანდების კულტურული და სოციალური ვითარება საქართველოსგან განსხვავებულია, და რთულია იმის დანამდვილებით თქმა, რომ დეკრიმინალიზაცია კანაბისის მოხმარებას არ გაზრდის. განსაკუთრებულად კანონმორჩილი საზოგადოებისთვის შეიძლება დიდი მნიშვნელობა ჰქონდეს ნივთიერების ლეგალურობას თუ არალეგალურობას. თუმცა, ქართული საზოგადოებისგან ნიდერლანდების ან ამერიკის თუნდაც მსგავსი კანონმორჩილება ძნელი წარმოსადგენია.

ერთი ჰიპოთეზის თანახმად, ფართოდ გავრცელებული ნარკოტიკების, მათ შორის კანაბისის, მოხმარების ტენდენციებზე ყველაზე დიდ გავლენას ახდენს არაფორმალური, სოციალური კონტროლის მექანიზმები. ეს შეიძლება იმით ავხსნათ, რომ კანაბისს უმეტესობა განტვირთვის მიზნით, სოციალური თავშეყრის ადგილებში მოიხმარს. გამოკითხულთა უმეტესობა ამბობს, რომ არასოდეს მოიხმარს ამ ნარკოტიკს სამუშაო თუ სწავლის სიტუაციაში. ეს თავად მწეველებს შორის არ არის მიღებული; ანუ, თვით იმ სტუდენტებისთვის, რომლებისთვისაც საღამოს, მეგობრებთან ერთად „პლანის“ მოწევა პრობლემა არ არის, ლექციაზე „დაბოლილი“ მისვლა მიუღებელია.

რომ შევაჯამოთ: სანქციებს დიდი შედეგი არ მოაქვს. კანაბისის გამოცდილ მომხმარებელთა დიდი ნაწილი ნაკლებ ყურადღებას უთმობს კანონს და მეტს – თავისი სუბკულტურის ნორმებსა და ნარკოტიკის მოხმარებასთან დაკავშირებულ ეტიკეტს. ამიტომ, თუ ფორმალური ნარკოპოლიტიკა არაფორმალურ, მომხმარებელთა შორის უკვე არსებულ წესებს გაითვალისწინებს, შეიძლება ამას უფრო ჰქონდეს ეფექტი.

ფოტო: ლევან პარეგავა

■ გიგი უგულავას შეხვედრა თბილისის მოსახლეობასთან, 2009

პოლიტიკა

სუპერმერი ბრუნდება

მძლავრი ადმინისტრაციული რესურსისა და სრული მედია კონტროლის პირობებში შანსი, რომ უგულავა არ გახდება თბილისის მერი, ერთადერთია – თუ ის ამ პოსტზე საკუთარ კანდიდატურას არ დააყენებს.

სოფო ბუკია

„ახლა დღე და ღამე მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ინგლისურის და კომპიუტერის კურსებმა გაამართლოს, სხვა პროგრამებმაც კარგად იმუშაოს. ეს არის ახლა ჩემთვის ყველაზე მთავარი“, – ასე პასუხობს გიგი უგულავა კითხვას – ვის მიიჩნევს ის ყველაზე ძლიერ კონკურენტად თბილისის მერობისთვის ბრძოლაში.

თბილისის მერის კაბინეტი 21-ე სართულზეა, მერიის ახალ მისამართზე, შარტავას ქუჩაზე, ახლად გარემონტებულ შენობაში, დიდი ლიფტებითა და სუფთა დერეფნებით.

მისი ნათელი, კომფორტული ოთახის შემინული კედლებიდან ხელისგულივით მოჩანს მტკვრის მარცხენა სანაპირო. სამუშაო მაგიდასთან თბილისის რუკაა გაკრული.

„ახლა მარტო იმაზე ვფიქრობ, როგორ შევუმსუბუქო ყოფა თბილისელებს“, – ამბობს უგულავა, რომელიც მართალია, ჯერ არაოფიციალურად, მაგრამ უკვე სრული სვლითაა ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. მას უნდა, თბილისის ისტორიაში პირველი პირდაპირი წესით არჩეული მერი გახდეს.

გიგი უგულავა პოლიტიკაში პირველად 6 წლის წინ გამოჩნდა. „ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსულ ხელისუფლებაში მისი პირველი სამსახური იუსტიციის, შემდეგ კი უშიშროების სამინისტროში იყო. მას მინისტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

რამდენიმე თვის განმავლობაში უგულავა ერთ-ერთ ყველაზე დიდ და რთულ რეგიონში, სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებული იყო.

სწორედ ამ პერიოდში განთავსდა ადმინისტრაციულ საზღვარზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალები, დაინიშნა ავტობუსი გალის რაიონის მოსახლეობისთვის, აღდგა ჭუბურხინჯის რეგულარული შეხვედრები.

2005 წლიდან უგულავა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი ხდება, რამდენიმე თვეში კი თბილისის მერს, ზურაბ ჭიაბერაშვილს ცვლის. ამ თანამდებობაზე დანიშვნიდან 1 თვეში უკვე მერი უგულავა მოსკოვში მიემგზავრება. ვიზიტის ოფიციალურ მიზეზზე ხელისუფლება არ საუბრობდა, თუმცა მედიაში გაჩნდა ინფორმაცია, რომ უგულავა მოსკოვში საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტებს შორის შეხვედრას ამზადებდა. შეხვედრა მართლაც შედგა – რუსეთის ქალაქ ყაზანში დსთ-ს ლიდერთა სამიტზე.

უგულავას ინიციატივა იყო აეროპორტისკენ მიმავალი ტრასისთვის ჯორჯ ბუშის სახელის დარქმევა.

2005 წლიდან უგულავა უკვე ხელისუ-

ფლების წარმომადგენელთა იმ პატარა ჯგუფს მიეკუთვნება, ვინც შიდა პოლიტიკაში მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებს. „ახალი მოვლენაა პატარ-პატარა სახელისუფლებო ავტორიტარული კუნძულების გაჩენა ცალკეული გავლენიანი პირების გარშემო. ასეთები არიან ცალკეული მინისტრები – შინაგან საქმეთა მინისტრი [ვანო მერაბიშვილი], თავდაცვის მინისტრი [ირაკლი ოქრუაშვილი], თბილისის მერი [გიგი უგულავა] და კიდევ რამდენიმე“, – ამბობს დავით უსუფაშვილი 2005 წელს მიცემულ ინტერვიუში.

გიგი უგულავა ბოლო დრომდე ხელისუფლების სახელით ხშირად მსჯელობდა ყველაზე მწვავე საკითხებზე – მათ შორის რუსეთის (სწორედ მისი გადაწყვეტილება იყო, პროტესტის ნიშნად, რუსეთის საქართველოს მიერ აღიარებულ ორ ოკუპაციურ ტერიტორიაზე ელჩოსთვის გაზის მიწოდების შეწყვეტა 2006 წელს), ოპოზიციურად განწყობილი „ინტელიგენციის“ და ყველაზე ხისტი პოლიტიკური ოპონენტების შესახებ.

პრეზიდენტთან პირადად დაპირისპირებული რესპუბლიკური პარტიის წევრის, ვალერი გელაშვილის ბიზნეს-ინტერესების შესწავლით საპარლამენტო უმრავლესობა მას შემდეგ დაინტერესდა, რაც თბილისის მერმა გიგი უგულავამ თბილისის ერთ-ერთ სკოლაში გაჩენილი ხანძარი იმ სამშენებლო კომპანიის ინტერესებს დაუკავშირა, რომლის უკანაც დეპუტატი გელაშვილი იდგა. გელაშვილმა უგულავას ბრალდებებს მაშინ „ცილისწამება“ უწოდა. საქმე იმით დამთავრდა, რომ ვალერი გელაშვილს დეპუტატის იმუნიტეტი მოუხსნეს და მანდატი გაუუქმეს. რამდენიმე თვით ადრე ნიღბიანმა შეიარაღებულმა პირებმა პოლიტიკოსს სასტიკად სცემეს. ეს საქმე დღემდე არ არის გამოძიებული, გელაშვილი კი ქართული პოლიტიკიდან წავიდა. უკვე ვილნიუსიდან ტელეკომპანია „იმედთან“ სატელეფონო საუბრისას დეპუტატ ვალერი გელაშვილის განცხადებით, ის ეჭვობდა, რომ მასზე განხორციელებული თავდასხმის უკან თბილისის მერი გიგი უგულავაც იდგა.

2007 წლის შემოდგომის მოვლენები უგულავასთვის, ისევე როგორც ხელისუფლების სხვა მაღალჩინოსნებისთვის, განსაკუთრებით დაძაბული იყო. მისი თქმის ყველა საჯარო განცხადება უკვე სცილდებოდა თბილისის მერის კომპეტენციას. უგულავას განსაკუთრებული სამიზნე იმ დროს ოლიგარქი ბადრი პატარკაციშვილი ხდება: „ჩვენი ოპოზიცია არა გაბადრულია, არამედ უბადრუკია“, – განაცხადა უგულავამ, „გუშინ მე ვუყურებდი, როგორ შესციცინებდნენ თვალებში ჩვენი ოპოზიციის ლიდერები პატარკაციშვილს და მათ თვალებში ერთ რამეს ამოიკითხავდი: ბადრი, მომეცი ფული“. უგულავა პატარკაციშვილს რუსეთის მიერ მხარდაჭერილი რევოლუციის მოწყობაში ამხელდა. „პატარკაციშვილის პუტჩი საქართველოში არ გავა, მან ვერ მოახერხა და ვერ იყიდა ქართული სპორტი, ვერ მოახერხა და ვერ ჩაიჯიბა ქართული ბიზნესი, ვერ იყიდა ქართული კულტურა, მაგრამ ადვილად შეძლო ქართული ოპოზიციის ყიდვა“.

მეურნის იმიჯი, რომელიც მან წინასაარჩევნოდ მოირგო, მწვავე პოლიტიკურ თემებზე მსჯელობას არ ითვალისწინებს. თუმცა ის, რომ პოლიტიკურ თემებზე საუბარი მისთვის კვლავ პრიორიტეტული და საამაყოა, ახლაც კარგად ჩანს: საკუთარი პოლიტიკური ცხოვრების მთავარ მიღწევად 4-წლიანი სტაჟის მქონე თბილისის მერი აჭარიდან ასლან აბაშიძის გაძევებას მიიჩნევს.

„ძალიან აქტიურად ვიყავი ჩართული ამ პროცესებში. რომ არა ეს მოვლენები, ქვეყანა ვერ განვითარდებოდა, ყოველ შემთხვევაში, ასე სწრაფად. სწორედ ამას მოჰყვა ახალქალაქიდან და ბათუმიდან რუსეთის ბაზების გაყვანა. რომ არა მაისის რევოლუცია, აჭარა დარჩებოდა საქართველოს ეკონომიკაში შავ ხვრელად“, – ამბობს უგულავა.

მცირე პაუზის შემდეგ ის „სწორ“ პასუხსაც ამატებს: „მთავარი მიღწევაა ის, რომ თბილისი არის განათებული, უსაფრთხო, სუფთა, კეთილმოწყობილი“.

ინტერვიუს განმავლობაში გიგი უგულავამ სამჯერ გაიმეორა, რომ მისი ყველაზე დიდი შეცდომა მერობის დროს ნაციონალური პოლიტიკით ზედმეტად დაკავება იყო. „ამ 4-5 წლის განმავლობაში ჩემ ყველაზე დიდ მინუსად მივიჩნევ იმას, რომ მეტად გადართული ვიყავი ნაციონალური პოლიტიკის საკითხებზე. ჩემი საქმე არის თბილისი და თბილისელები. მაგრამ ადამიანი იცვლება, იძენს გამოცდილებას, მეც შევიცვალე. მიმაჩნია, რომ უნდა აკეთო ის საქმე, რისთვისაც ხალხმა აგირჩია და რისთვისაც ხელფასს იღებ და არა ის, რაც შეიძლება შენ მოგწონდეს“.

„ნაციონალური პოლიტიკით ზედმეტად გატაცებას“ უწოდებს გიგი უგულავა საკუთარ როლს მედიასთან ურთიერთობაშიც.

2009 წლის ზაფხულამდე უგულავას მედიის სახელისუფლებო კონტროლიც ევალებოდა. „რუსთავი 2“-ის ყოფილი თანამშრომლები არ მალავენ, რომ მწვავე პოლიტიკური თემების გაშუქებაზე მიმართულებებს პირადად უგულავასგან იღებდნენ. მასთან თანხმდებოდა თოქ-შოუს სტუმრების ვინაობაც.

თავად უგულავა ამბობს, რომ „მედიას კი არ აკონტროლებდა, არამედ საკუთარი პოლიტიკური გუნდის მედიასთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი“ იყო, რაც, მისი თქმით, ჩვეულებრივი პრაქტიკაა ყველა პოლიტიკური ძალისთვის.

„თქვენ რა, გიკვირთ რომ პოლიტიკოსები და ჟურნალისტები ერთმანეთს ურეკავენ და ინფორმაციის გაცვლა ხდება? თოქ-შოუში ვარჩევდით ადამიანს, ვის უნდა ელაპარაკა გუნდის სახელით. თუმცა, ეს იყო ადრე და ჩაბარდა წარსულს. მე მაშინ ზედმეტად გადავერთე ნაციონალურ პოლიტიკაში, რაც ჩემ მინუსად მიმაჩნია. ჩემი საქმე არის მერობა, რაც ნიშნავს კონკრეტული საქმეების კეთებას კონკრეტული ადამიანებისთვის“.

ეს როლი გიგი უგულავამ იმდენად გაითავისა, რომ დღეს ლამის ყველა კონკრეტულ საქმის გაკეთებას პირდაპირ ეთერში თავად ცდილობს: მშენებელიცაა, მეგზეევეც, ექიმიც, მეეზოვეც, ადვოკატიც, სანტექნიკოსიც და მარკშეიდერიც.

მზრუნველი მეურნის როლის შესრულებაში მას ის მრავალრიცხოვანი პროექტები ეხმარება, რომლებიც თბილისის მერიამ მას შემდეგ წამოიწყო, რაც ცნობილი გახდა, რომ გაზაფხულზე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება.

ამ პროგრამების გარდა, უკვე ამოქმედდა ის მექანიზმები, რომლებსაც ხელისუფლება ყველა არჩევნების წინ მიმართავს – საარჩევნო სიებით მანიპულირება, ადმინისტრაციული მუშაკების პარტიულ

საკუთარ როლს მედიასთან ურთიერთობაში გიგი უგულავა „ნაციონალური პოლიტიკით ზედმეტად გატაცებას” უწოდებს.

აგიტატორებად გამოყენება, ამომრჩევლის მოსყიდვა.

„ოპონენტების საქმე ის არის, რომ დამაბრალონ ადმინისტრაციული რესურსის წინასაარჩევნო კამპანიისთვის გამოყენება. ჩემი, როგორც მოქმედი მერის, საქმე კი ის არის, რომ ვიმუშაო“, – პასუხობს უგულავა კითხვას, უკავშირდება თუ არა მერიის ეს ჰიპერაქტივობა წინასაარჩევნო სამზადისს.

გიგი უგულავას კაბინეტში, სამუშაო მაგიდისა და კომფორტული სავარძლების წინ დიდი პლაზმური მონიტორი დგას. მერი ამბობს, რომ ტელევიზორს თითქმის არასდროს რთავს.

„ტელევიზორს საერთოდ არ ვუყურებ – არც საკაბელოს, არც არასაკაბელოს, საერთოდ არ ვუყურებ, თუ დამიჯერებთ. რაც ვუყურე, ისიც მეყოფა. ახლაც უბრალოდ ისე მაქვს ჩართული, ხმა ჩაწეულია“, – ამბობს იგი.

10-ლარიანი მატება, მედიკამენტების ვაუჩერები და შეღავათები მგზავრობისას; ინგლისურისა და კომპიუტერის კურსები; სკოლებისთვის ბიუჯეტის გაზრდა; თბილისელების ადვოკატი; პოლიკლინიკის ექიმების უფასო გამოძახება; ამხანაგობის კონკურსი; დარგე ხე; უსაფრთხო ზამთარი; პარკირება; ძველი თბილისის ახალი ცხოვრება – ამ პროგრამების აბსოლუტური უმრავლესობა ბოლო რამდენიმე თვეა, დაიწყო. მათი საერთო ბიუჯეტი ათეულობით მილიონს აჭარბებს.

ძვირადღირებული და გრძელვადიანი კამპანიის მიზეზი ის არის, რომ პრიზი მართლაც დიდია. პოლიტოლოგი გია ნოდია ამბობს, რომ გაზაფხულზე დანიშნული თვითმმართველობის არჩევნები საკაშვილის შემდგომი ეპოქისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იქნება: „ცხადია, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ მთავარი სწორედ მემკვიდრის თემა

■ ეს ორმაგი ბრძოლაა – ერთი მხრივ, უგულავამ ოპოზიციის ყველა კანდიდატი უნდა დაამარცხოს, მეორე მხრივ კი, საკუთარ პოლიტიკურ გუნდში უნდა გაიმყაროს პოზიციები.

ფოტო: ხატია ფუტური

■ გიგი უგულავას შეხვედრა თბილისის მოსახლეობასთან, 2009

ტელევიზორს რომ უყურებდეს, გიგი უგულავა იქ საკუთარ თავს ძალიან ხშირად ნახავდა.

თბილისის მერიის ინიციატივების შესახებ მოსახლეობის ინფორმირებას სამი ცენტრალური და ერთი საკაბელო ტელევიზია უწყვეტ რეჟიმში უზრუნველყოფს. სარეკლამო ბლოკის დიდი ნაწილიც იმ პროგრამების მოსახლეობამდე მიტანას ეთმობა, რაც მერიის შენობაში მუშავდება.

მრავალშვილიანი ოჯახების დასაქმების პროგრამა; პენსიონერებისთვის პენსიის გახდება. თუ უგულავა გაიმარჯვებს, ეს იმას ნიშნავს, რომ სახელისუფლებო გუნდში მას პრეზიდენტობის კანდიდატად, მთავარ მემკვიდრედ აღიქვამენ. ხოლო თუ უგულავამ ეს არჩევნები წააგო, ის ავტომატურად ფუჭდება“.

ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი დავით ზურაბიშვილი ამბობს, რომ ამ ეტაპზე უგულავას გარანტირებული აქვს ხელისუფლების მხოლოდ ერთი ნაწილის მხარდაჭერა, ისიც ლიმიტირებული: „რამიშვილი-ბოკერიას გუნდში სხვა ტიპი, რომელიც არ იქნება კატეგორიულად მიუღებელი საზოგადოებისთვის, არ ჰყავთ. მას უფლებას აძლევენ, ჰქონდეს თავისი კორუფციული წრე, კარგად იცხოვროს და მატერიალურად კარგად იყოს. თუმცა ბოკერიას უფროსი ვერ გახდება ვერასოდეს და ვერც ლევან რამიშვილის“.

მერის პირდაპირი წესით არჩევის გადაწყვეტილება ხელისუფლებიდან პირველმა სწორედ ქალაქის მოქმედმა მერმა გაახმოვანა. როგორც თავად ამბობს, ნაციონალურ მოძრაობაში ეს არაპოპულარული ინიციატივა მისი ძალისხმევით გავიდა. უგულავასთვის პირდაპირი წესით არჩევა ის რისკია, რომელიც მან აუცილებლად უნდა გაწიოს. მისთვის ეს ორმაგი ბრძოლაა – ერთი მხრივ, მან ხელისუფლებისადმი ტრადიციულად კრიტიკულად განწყობილ თბილისში ოპოზიციის ყველა კანდიდატი უნდა დაამარცხოს, მეორე მხრივ კი, როგორც პირდაპირი წესით არჩეულმა ხელისუფალმა, საკუთარ პოლიტიკურ გუნდში კიდევ უფრო უნდა გაიმყაროს პოზიციები.

გადამწყვეტი იქნება 2010 წლის არჩევნების შედეგები მთავარი ოპოზიციური კანდიდატის, გაერო-ში ყოფილი ელჩისთვის, ირაკლი ალასანიასთვისაც, რომელიც არ მალავს, რომ მერის პოსტი „დიდ პოლიტიკაში“ მოსასვლელად სჭირდება. ამისთვის ალასანიამ აუცილებლად უნდა მოიგოს ეს არჩევნები, დაამტკიცოს, რომ პრეზიდენტობის ყველაზე ლეგიტიმური ოპოზიციონერი კანდიდატია და ამით ავანსად აღებული მხარდაჭერა გაამართლოს.

„რა გითხრათ, მე ირაკლის კარგად ვიცნობ, საკმაოდ დიდი ხანია და, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, რა უნდა. ის ჩამოყალიბების და ძიების პროცესშია“, – ამბობს უგულავა. ირაკლი ალასანიას შესახებ ეს მისი ყველაზე მწვავე საჯარო კომენტარია. კონკურენტებზე ქალაქის მერი პრინციპულად არ საუბრობს. მის ნაცვლად, მერობის ოპოზიციონერ მსურველებთან ბრძოლაზე სხვები ზრუნავენ.

თვითმმართველობის არჩევნების თარიღის გამოცხადებიდან ძალიან მალე ქართულ მედია სივრცეში ახალი საკაბელო არხი გამოჩნდა. „Real-TV“, რომლის მითიური მენეჯერი შსს-ს პრესსამსახურის ყოფილი უფროსი გურამ დონაძეა, მთავარი სამიზნე კი – ირაკლი ალასანია

და მისი პოლიტიკური გუნდი.

უნდა ცხოვრობდეს თუ არა ქალაქის მერის ოჯახი ნიუ იორკში? საკაბელო ტელევიზია „Real-TV“ ალასანიას წინააღმდეგ მიმართული ამ ცნობილი კითხვის დასმისას მერობის სახელისუფლებო კანდიდატი იბნევა. „რა სიუჟეტზე ამბობთ, არც ვიცი. ჰიპოთეტურ, არასერიოზულ კითხვებზე პასუხი არ მაქვს. ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვროს. ეს პლუსია თუ მინუსი, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს. თუ აირჩევენ ალასანიას მერად, ესე იგი პლუსია, თუ არადა – მინუსი“.

მერობის ნაკლებად რეიტინგულ კანდიდატებს, რომელთა ერთადერთი როლი ამ არჩევნებში, სავარაუდოდ, ირაკლი ალასანიასთვის თუნდაც ერთი-ორი ხმის წართმევაა, ნაციონალური ტელეარხები ვრცელ ტელეპორტრეტებს უძღვნიან.

ერთმანეთის ჩასაძირად ოპოზიციის შიგნითაც იცლიან. გარდა იმისა, რომ ერთიან კანდიდატზე შეთანხმება შეუძლებელი აღმოჩნდა, მათ მიერ არჩეული სამოქმედო გეგმები ურთიერთგამომრიცხავია და არჩევნებამდე 5 თვით ადრე მხოლოდ ამომრჩევლის დაბნეულობას იწვევს.

ხელისუფლების მთავარ კანდიდატს ასეთი პრობლემები არ აქვს. მას საკუთარი გუნდიდან წინასაარჩევნო კამპანიის დროს ერთსულოვანი მორალური და ფინანსური მხარდაჭერა აქვს. უგულავას სერიოზულად არ ვნებს არც ერთი ოპოზიციური კანდიდატის კრიტიკა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამას, „მაესტროსა“ და „კავკასიის“ მცირერიცხოვანი აუდიტორიის გარდა, ვერავინ იგებს, მეორეც – ეს კრიტიკა არ არის კონკრეტული ფაქტებითა და მტკიცებულებებით გამყარებული. არც ერთ ოპოზიციურ ძალას იმის რესურსი არ აქვს, რომ ბოლომდე გამოიკვლიოს ის კანონდარღვევები, რაშიც შეიძლება უგულავა მონაწილეობდეს და რომელთა შესახებ მტკიცებულებების მოპოვებაც რეალურად შესაძლებელია. ქალაქის მოქმედ მერს არ აქვს საბიუჯეტო შეზღუდვები – ადმინისტრაციული რესურსი მთლიანად მის განკარგულებაშია. საკუთარი პროექტებისა და ოპოზიციის სისუსტეების რეკლამირებისთვის მას ნაციონალური მედიის შეუზღუდავი ეთერი აქვს.

საარჩევნო კამპანიის ყველაზე აქტიური ფაზა ჯერ კიდევ წინ არის. თუმცა, გამარჯვებისთვის აუცილებელი პოლიტიკური გამოცდილება, ფინანსური და ადმინისტრაციული რესურსი, მედია მხარდაჭერა და ოპონენტების სრული დაქსაქსულობა ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი კანდიდატის სასარგებლოდ მუშაობს.

თვითმმართველობის არჩევნები

წინასაარჩევნო „ამხანაგობა“

თბილისური „ამხანაგობები“ არჩევნების წინ განსაკუთრებით აქტიურდება.

ნინო რობაქიძე

ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები

„ჩვენი ამხანაგობა 2006 წელს წარმატებით დავარეგისტრირეთ მერიაში, „თბილისის კორპუსში“. ახლა კორპუსის კეთილმოწყობაზე განცხადებას შევიტანთ. არჩევნებამდე უარს არაფერზე არ გვეტყვიან“, – ამბობს თბილისის ცენტრალური უბნის, საბურთალოს ერთ-ერთი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარე. ის მეზობლებმა სპეციალურ კრებაზე აირჩიეს თავმჯდომარედ, თუმცა მის გარდა ამ თანამდებობის დაკავების სხვა მსურველი არც ყოფილა. როგორც მერიაში „თბილისის კორპუსის“ სამსახურში განგვიმარტეს, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარეობა არაანაზღაურებადი პოზიციაა, მაგრამ ჩვენი რესპონდენტი გასამრჯელოს მაინც იღებს: „ყოველთვიური ხელფასი არ მაქვს, მაგრამ ხან არჩევნებია, ხან რემონტია – რაღაც გამოჩნდება ხოლმე უფროსობისგან“. „უფროსობაში“ ამხანაგობის თავმჯდომარე ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელებს გულისხმობს – უკვე რამდენიმე წელია, რაც ის პარტიის აქტივისტია. „თბილისის კორპუსისგან“ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებს ხელფასი არ ერიცხებათ.

ქალაქ თბილისის მერიის სამოქალაქო მონაწილეობისა და ინტეგრაციის საქალაქო სამსახური „თბილისის კორპუსი“ 2004 წლის 9 ივნისს შეიქმნა და უკვე 6 000 ამხანაგობა დაარეგისტრირა. „თუ თქვენი ამხანაგობა დგას აღრიცხვაზე და გყავთ აქტიური, ენერგიული თავმჯდომარე, „თბილისის კორპუსის“ თანადაფინანსებით შეგიძლიათ შეაკეთოთ კორპუსის ლიფტი, სახურავი, შიდა წყალკანალიზაცია“... – წერია ქალაქის მერიის ვებგვერდზე. საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთებაში „თბილისის კორპუსი“ 70%-ზე მეტით მონაწილეობს. ასევეა ლიფტისა და შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობის შეკეთების შემთხვევაშიც. მას შემდეგ, რაც ქალაქში რამდენიმე მრავალბინიან სახლზე მიშენებები ჩამოინგრა, „თბილისის კორპუსი“ მსგავსი ნაგებობების სეისმომდგრადობის განსაზღვრის ხარჯების 70%-საც უზრუნველყოფს. ეს პრობლემები თბილისის კორპუსების უმრავლესობას ეხება.

დაარსების დღიდან სამსახურმა ამხანაგობებისგან მიღებული 8 320 განცხადება დააკმაყოფილა, რაც ნიშნავს, რომ ქალაქის ბევრ კორპუსში მთელი რიგი სერიოზული პრობლემებისა მოგვარდა. თუმცა განაცხადების უმრავლესობის განხორციელება, ისე როგორც ახალი ამხანაგობების დარეგისტრირება, სახელისუფლებო პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდებს ემთხვევა. დღემდე აღრიცხვაზე აყვანილი 6 000 ამხანაგობიდან 2 500-მდე 2006 წელს, თვითმმართველობის არჩევნების წელს დარეგისტრირდა და 2000-ზე მეტი 2008 წელს – საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წელს.

„თვითმმართველობის არჩევნებზე ბუნკერების და ლიფტების ამბავი მოვაგვარეთ, საპარლამენტოზე კი ეზოები გაგვილამაზეს – საქანელები ბავშვებისთვის, სკამები და სათამაშო მოედნები. ახლაც იმედი გვაქვს, დაგვეხმარება მერია“, – უთხრა „ლიბერალს“ ამხანაგობის თავმჯდომარემ, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მის ნათქვამში „ვერც ცუდს და ვერც საიდუმლოს“ ვერაფერს ხედავს, ჟურნალში ვინაობის გამხელაზე მაინც უარს ამბობს.

იმ ტექნიკური დახმარების ხარჯების გარდა, რომელსაც „თბილისის კორპუსი“ აღრიცხვაზე არსებულ ამხანაგობებს უწევს, ქალაქის ბიუჯეტში გაწერილია პროექტის კიდევ რამდენიმე მთავარი პრიორიტეტი და მიმართულება – ქალაქის

მასშტაბით მაქსიმალურად ბევრი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნა, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კავშირის დაფინანსება, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების თავმჯდომარეებისათვის სემინარების მოწყობა, მოსახლეობის საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის საჭირო ბუკლეტების გამოშვება. ყველაფერი ეს კი „თავისთავად, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მყარი გარანტიაა“, – ამბობს „თბილისის კორპუსის“ უფროსის მოადგილე კახა გურული. ძნელი მისახვედრია, რამდენად ეხმარება ეს ღონისძიებები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, თუმცა უკვე თვალსაჩინოა, რამდენ ხმას მოუტანს დამატებით „თბილისის კორპუსის“ აქტიურობა ქალაქის მერს თვითმმართველობის არჩევნებში. 2009 წელს „თბილისის კორპუსს“ თანამშრომლებიც მოემატა, ბიუჯეტიც გაეზარდა და ფორმირების პროცესშია 2010 წლის ბიუჯეტი, რომლის პრიორიტეტები თითქმის არ შეცვლილა.

გარდა გეგმიური ღონისძიებებისა, „თბილისის კორპუსი“ ისეთ აქციებშიც იღებს მონაწილეობას, რომელთა ორგანიზატორიც არ არის და შესაბამისად ბიუჯეტშიც არ ითვალისწინებს. სულ ცოტა ხნის წინ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ პატრიარქის ლოცვა-კურთხევით დაიწყო პროექტი „დარგე ხე! გაამწვანე შენი გარემო!“ გამწვანების ეს აქცია რეგიონებთან ერთად დედაქალაქის გამწვანებასაც გულისხმობს. დედაქალაქში კი გოგა ხაჩიძის უწყებას „თბილისის კორპუსი“ ეხმარება: „ჩვენ დავეხმარეთ ამხანაგობებს, ორგანიზებულად მიეღოთ ნერგები და გაემწვანებინათ მათი საცხოვრებელი სახლების ეზოები“, – განაცხადეს „თბილისის კორპუსში“. ამ აქციაში თვით ქალაქის მოქმედი მერი გიგი უგულავაც იყო ჩართული, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრთან ერთად გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალის სანერგე მეურნეობასაც ესტუმრა და სპეციალურად აქციისთვის გამოყვანილი ჯიშები დაათვალიერა. გიგი უგულავა საპატრიარქოს და სამინისტროს დედაქალაქისა და მისი შემოგარენის გამწვანებაში ეხმარება, თავის მხრივ კი „თბილისის კორპუსი“ ქალაქის მერს ეხმარება აქციის ოპერატიულად განხორციელებასა და ექსკლუზიური წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვაში.

შეხვედრა კრემლში

ინტერვიუ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერთან, **ზურაბ ნოღაიდელთან**

„მინდა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მე რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას და დალაგებას ვცდილობ. ამას არ ვაკეთებ პარტიზანულად და ჩუმად. ეს ღია და საჯარო პოლიტიკის ნაწილია“.

ფოტო: ეთერ ბაღაძიშვილი

როგორ მომზადდა ვლადიმირ პუტინთან შეხვედრა? ვისი ინიციატივა იყო და რა ეტაპების გავლა მოგიწიათ, რომ ეს შეხვედრა შემდგარიყო?

პირველი ინიციატივა – მოსკოვში ჩასვლის და რუსებთან დიალოგის დაწყების – ჩემი იყო. მაშინ შეხვედრები რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში და რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მქონდა. ამავე ვიზიტის დროს დავიწყეთ მუშაობა Единая Россия-სთან. შემდეგ იყო მეორე ეტაპი, მესამე და ბოლოს – შეხვედრები უკვე გრიზლოვთან და პუტინთან.

პუტინთან შეხვედრა კი კრემლიდან იყო ინიცირებული. ჩვენც კი ვმუშაობდით ამ მიმართულებით, მაგრამ არ გვეგონა, თუ ჯერ ამის დრო მოსული იყო. ყველაფერი ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქებამ დააჩქარა – ეს რუსეთში ძალიან მწვავედ აღიქვეს. ამ მომენტში ჩვენი პოლიტიკური მოძრაობა საქართველოდან ერთადერთი იყო, რომელიც რუსეთთან დიალოგის პროცესში იყო ჩართული. ამის შესახებ, როგორც ჩანს, რუსეთის პრემიერმაც იცოდა და ასე შედგა ეს შეხვედრა.

„არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ რუსეთი დააფიქსირებს თავის პოზიციას კონკრეტული პოლიტიკოსისადმი. ვფიქრობ, ეს პროდუქტიული არ იქნება“.

შეხვედრა რომ დაიგეგმა, ამის შესახებ გავიგე გრიზლოვთან მოლაპარაკებების დროს. თუმცა ეჭვი უკვე მქონდა – წინა დღით ბატონი კოსაჩოვი დამიკავშირდა და მითხრა, – ბატონ გრიზლოვთან პარტიის შტაბბინაში შეხვედრის შემდეგ კიდევ

ერთი შეხვედრაა დაგეგმილიო. მაშინ უკვე მივხვდი, რა „კიდევ ერთი შეხვედრა“ შეიძლებოდა ყოფილიყო გრიზლოვის შემდეგ.

რუსეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე რა საკითხები განიხილეთ?

განვიხილეთ მხოლოდ „დიდების მემორიალთან“ დაკავშირებული საკითხები. შეხვედრა ძალიან მოკლე იყო – დაახლოებით 5 წუთი კამერების წინ და შემდეგ მხოლოდ 3 წუთი, მეტი არა. ვისაუბრეთ კონკრეტულ საკითხებზე – სად უნდა იდგეს მემორიალი მოსკოვში და რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ეს ყველაფერი დროულად მოხდეს. სხვა საკითხებზე არც გადავსულვართ. პუტინმა სპეციალურად არაფერი თქვა საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებასა და სააკაშვილზე. მითხრა, – ამ საკითხზე საუბარი არც შენ მოგეწონებოდა და არც ჩვენო.

ხომ არ ფიქრობთ, რომ ვლადიმირ პუტინს თქვენთან შეხვედრა მხოლოდ საკუთარი პიარისთვის სჭირდებოდა?

პოლიტიკოსები ყველა შეხვედრას, მით უმეტეს კამერების წინ გამართულს, აუცილებლად თავისი პიარისთვის იყენებენ. მეც ვმონაწილეობდი ამ შეხვედრაში და მეც ვიყენებდი ამას ჩემი პიარისთვის. არაფერი მაქვს დასამალი – მინდოდა, რომ ასეთი შეხვედრა შემდგარიყო.

მინდა, საქართველოს მთელმა მოსახლეობამ იცოდეს, რომ მე რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას და დალაგებას ვცდილობ. ამას არ ვაკეთებ პარტიზანულად და ჩუმად. ეს ღია და საჯარო პოლიტიკის ნაწილია. ვიცი ხალხის განწყობა – მოსახლეობის უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ რუსეთთან მტრობა უნდა დავამთავროთ და ავაწყოთ ნორმალური ურთიერთობები.

ამ თემაზე რაიმე კვლევა ჩაუტარებია თქვენ პოლიტიკურ მოძრაობას?

კვლევა ჩაგვიტარებია და ეს კვლევის გარეშეც ძალიან კარგად ჩანს. კვლევები ჩაუტარებია სააკაშვილსაც და მშვენივრად იცის მისი შედეგები. მე როცა პუტინს ვხვდებოდი, იმ დილით „ეხო მოსკვისთვის“ მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილმა ილაპარაკა რუსეთთან დიალოგის აღდგენის აუცილებლობაზე; ანუ გამოდის, რომ დიალოგის აღდგენა აუცილებელია, ცუდი მხოლოდ ის არის, რომ პუტინს მე შევხვდი. ჩემ მიერ მიღწეული შედეგი უშლის ამ ხალხს ნერვებს, თორემ რუსეთთან დიალოგის აუცილებლობაზე უკვე დაიწყეს ლაპარაკი.

თქვენ ამ ვიზიტების დროს არ წარმოადგენთ საქართველოს მთავრობას. რა კონკრეტული ცვლილებები შეიძლება მოჰყვეს თქვენ, როგორც ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის, შეხვედრებს რუსეთის მთავრობასთან?

ორი ამოცანაა: ერთი, ასე ვთქვათ, გრძელვადიანი – გავაგებინოთ მათ, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი და გარკვეული პოლიტიკური ძალები ცდილობენ რუსეთთან ურთიერთობების დალაგებას და დღევანდელი მტრობის შეწყვეტას. საქართველოს მოსახლეობას უნდა რუსეთთან ურთიერთობის აწყობა, არა როგორც მტერთან, არამედ როგორც პარტნიორთან, ან როგორც მოყვარესთან – თუ ეს შესაძლებელი იქნება.

მინდა, დღესვე იცოდეს სოხუმმაც, ცხინვალმაც და მოსკოვმაც, თუ რა იქნება ის საკითხები, რომელზეც მთავრობაში მოსვლის შემდეგ პირველ რიგში ვილაპარაკებთ.

პირველი – უნდა შეწყდეს ომი და ომის განახლების საფრთხე. მნიშვნელოვანია, რომ ეს შეთანხმება შედგეს და შესაბამისი გარანტიები შეიქმნას.

მეორე – უნდა აღდგეს ეკონომიკური ურთიერთობები და მიმოსვლა. ცხადია, კარგად გვესმის, რომ ამ საქმეში რუსეთის როლი დიდია. გვესმის, რომ ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოვილაპარაკებთ ვერც ცხინვალთან და ვერც სოხუმთან, თუ რუსეთი ამის კატეგორიული წინააღმდეგი იქნება. ცხადია, მოლაპარაკებები წარმატებით ვერ დასრულდება, თუ რუსეთმა არ მოგვცა ამ მოლაპარაკებების წარმატებით დასრულების შანსი.

ამის გარდა, არის ოთხი საკითხი, რომელსაც ჩვენ ახლა განვიხილავთ. პირველი – როგორც ხედავთ, ტირძნისელი მოზარდები და ერთი შავშვეთელი სკოლის მოსწავლე უკვე სახლში არიან. მეორე საკითხი იყო ავიამიმოსვლის აღდგენა. ესეც გადაწყვეტილების მიღების პროცესშია. მესამე საკითხია – ექსპორტის აღდგენა, ჯერჯერობით ამ საკითხზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის, თუმცა რუსეთის პრეზიდენტმა უკვე განაცხადა, რომ არ არის გამორიცხული დადებითი გადაწყვეტილების მიღება, თუნდაც სააკაშვილის მთავრობის პირობებში.

მეოთხე საკითხი არის რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების რეგისტრაცია. დაახლოებით ნახევარი მილიონი ჩვენი მოქალაქე ცხოვრობს რუსეთში და ისინი საქართველოს ამომრჩეველთა სიებში არიან. მთავრობის მიერ ამ ხმების ჯიბეში ჩადება სააკაშვილს დიდ უპირატესობას აძლევს და ახლა არავითარ შემთხვევაში არ გვინდა, ეს დავუშვათ.

მოლაპარაკებების პროცესში დათმობები ორივე მხრიდან უნდა იყოს. იმ ოთხ საკითხზე, რომელიც თქვენ ახსენეთ, დათმობა მხოლოდ რუსულ მხარეს უწევს. როგორ ფიქრობთ, რას ელიან ისინი თქვენგან სანაცვლოდ? თუ თქვენი ხელისუფლებაში დაბრუნება რუსეთის ინტერესებში იქნება, ისარგებლებთ მათი მხარდაჭერით?

მგონი, არავის უნდა ჰქონდეს იმედი, რომ რუსეთი მკაფიოდ დააფიქსირებს თავის პოზიციას რომელიმე კონკრეტული პოლიტიკოსის მისამართით. ვფიქრობ, ეს მაინცდამაინც პროდუქტიულიც არ იქნება და, ჩემი აზრით, ეს სრულებითაც არ არის საჭირო. საქართველოს პოლიტიკაში ნებისმიერი ცვლილება საქართველოში უნდა განხორციელდეს. ეს არც ჩრდილოეთში უნდა გადაწყდეს და არც დასავლეთში.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, ძალიან სწორი და ადეკვატური იქნება, თუ რუსეთი მკაფიოდ ჩამოაყალიბებს პოზიციას კონკრეტულ საკითხებზე და ჩვენც მკაფიოდ ჩამოვაყალიბებთ პოზიციას ამავე საკითხებზე. სხვანაირად, პრობლემები ვერ მოგვარდება და არც უნდა მოგვარდეს.

ხშირად ვსვამ ამ კითხვას – ჩვენ მიერ რუსეთის მხარესთან განსახილველი ოთხი საკითხიდან რომელზე ფიქრობთ, რომ არ უნდა განვიხილოთ? ყველა ამბობს, რომ ოთხივე საკითხის განხილვა აუცილებელია. საბოლოო ჯამში გამოდის, რომ პრობლემა მხოლოდ ისაა, რომ ამ საკითხებს მე განვიხილავ.

მე რატომ მოვიფიქრე და რატომ დავასწარი სხვებს ამის განხილვა? მე რატომ ვარ სხვებზე ჭკვიანი? საკითხის ასე დასმა ხომ სისულელეა.

რუსეთთან ურთიერთობა ვიღა-

ცის ექსკლუზივი ვერ იქნება. იმედი მაქვს, რომ სხვა პოლიტიკოსებიც გადადგამენ ამ ნაბიჯს.

თანაც გამოჩნდა, რომ ეს არც ისე სახიფათო ყოფილა. მე სულელი კი არ ვარ – ვიცი, რას ვაკეთებ. თუ ვინმეს ეშინია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი და საჭირო გადაწყვეტილებების მიღება, ეს მისი პრობლემაა, ჩემი პრობლემა არ არის.

რა როლი გქონდათ ტირძნისელი მოზარდების გათავისუფლების პროცესში?

ჯერ კიდევ ჩემი რუსეთში ვიზიტის დროს შევთანხმდით, რომ რუსეთის სახალხო დამცველი, ვლადიმირ ლუკინი ჩავიდოდა ცხინვალში და გაერკვეოდა ამ პრობლემაში. მე გამოვთქვი მზადყოფნა, რომ თუ შესაძლებლობა იქნებოდა, მეც ჩავიდოდი ცხინვალში. საბოლოო ჯამში, ასეც მოხდა და, მადლობა ღმერთს, მოსწავლეები ტირძნისიდან და შავშვებიდან დღეს სახლში არიან და ახალ წელს და შობას მშობლებთან ერთად შეხვდებიან.

ანუ, როგორ მოხდა ეს – დაგირეკეს და გითხრეს, – ჩამოდით, ჩვენ მზად ვართ გავათავისუფლოთ მოზარდებიო?

18 დეკემბრის საღამოს დამირეკეს „ედინაია როსიადან“ და მთხოვეს მეცნობებინა, კვლავ მზად ვიყავი თუ არა ამ საკითხზე თანამშრომლობისთვის. მე ვუთხარი, რომ ცხადია, მზად ვარ – რად უნდა ამას ლაპარაკი. მითხრეს, რომ საჭირო იყო ჩემი ცხინვალში ჩასვლა და იქ შეხვედრებში მონაწილეობა. ცხადია, უარი არ მითქვამს, დიდი სიამოვნებით გამოვთქვი თანხმობა.

დაახლოებით ნახევარ საათში დამირეკა დავით სანაკოევმა, (თვითგამოცხადებული სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკის სახალხო დამცველი – ავტ.) და მითხრა, რომ მეორე დღეს 10 საათზე ედუარდ კოკოითისთან შეხვედრა იგეგმებოდა. მოლაპარაკებები პრაქტიკულად აღარც შედგა, რადგან შეხვედრის დასაწყისშივე ედუარდ კოკოითიმ გამოაცხადა, რომ არა მარტო ტირძნისელ მოზარდებს, არამედ შავშვეთელ გიორგი არჩვაძესაც გაუშვებდა. როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება მას უკვე მიღებული ჰქონდა. ალბათ წინა დღეს უკვე ჰქონდა შესაბამისი საუბარი ვლადიმირ ლუკინთან.

ძალიან დიდი იყო ამ საქმეში თომას ჰამერბერგის როლი. ეს კაცი ათჯერ მაინც არის ნამყოფი ცხინვალში და ცხადია, მას ეს არ უნდა დავუკარგოთ. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ დამთავრდა ის დრო, როცა მე რაღაც საქმეს გავაკეთებდი და ქულებს სხვებს დავუთმობდი. მე ვარ საჯარო პოლიტიკაში და ყველა ჩემ გაკეთებულ საქმეს მე მივიწერ და მეც გავიკეთებ პიარს. ამაში დასაძრახი არაფერია.

„დამთავრდა ის დრო, როცა მე რაღაც საქმეს გავაკეთებდი და ქულებს სხვებს დავუთმობდი. მე ვარ საჯარო პოლიტიკაში და ყველა ჩემ გაკეთებულ საქმეს მე მივიწერ და მეც გავიკეთებ პიარს“.

ტირძნისელი მოზარდები ცხინვალიდან ნოღაიდელმა გამოიყვანა, 19 დეკემბერი 2009

ფოტო: ალექსანდრე ბარბაქაძე

რას ეტყოდით იმ ოპონენტებს, ვინც ფიქრობს, რომ თქვენი ვლადიმირ პუტინთან შეხვედრა სახელმწიფო ინტერესების საწინააღმდეგო ნაბიჯია?

ასეთი ადამიანი ძალიან ცოტაა. იმას, ვისაც ჰქონდა პრეტენზია რუსეთში ჩემ ვიზიტებთან დაკავშირებით, შენიშვნა ჯერ კიდევ ოქტომბერში უნდა მოეცა – როცა მე პირველად ჩავედი მოსკოვში. პრობლემა ახლა რატომ შეიქმნა? იმიტომ, რომ შევხვდი პუტინს, ანუ გავიკვალე გზა მოსკოვში და ჩემი ვიზიტები წარმატებებულია?

იქნებ იმიტომ, რომ ვლადიმირ პუტინი ყველაზე მეტად ასოცირდება რუსეთ-საქართველოს ომთან და ამ ომის დაწყების ბრძანების გაცემასთან?

მასთან ასოცირდება და სხვებთან არ ასოცირდება? მასთან შეხვედრა არ შეიძლება და სხვებთან დიალოგი შეიძლება? ჩვენ თუ რუსეთთან დიალოგი გვინდა, უნდა ველაპარაკოთ იმ ხალხს, ვინც რუსეთში გადაწყვეტილებას იღებს და ვისაც კონკრეტული პრობლემების მოგვარება შეუძლია. მე მინდა, მჭირდება პროდუქტიული ვიზიტები და ამ მიმართულებით სწორი ნაბიჯები გადავდგი. ეს იმათაც კარგად იციან, ვინც შენიშვნებს იძლევა.

ყველა ის ამოცანა, რაც დასახული მქონდა ამ შემოდგომისთვის, მიღწეულია. თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ ვართ ყურადღების ცენტრში. პრაქტიკულად, მთელი საქართველო ჩვენზე ლაპარაკობს. აქამდე მხარდამჭერების მოსაპოვებლად ხალხში დავდიოდით. ბოლო თვენახევარია და, განსაკუთრებით ბოლო 10 დღე, ხდება ის, რაც ვაღიარებ, არასდროს მომხდარა: ხალხი თავად მოდის ჩვენ ოფისში, მოდის ათეულობით. ჩვენ გვყავს სერიოზული მხარდამჭერები და ამ პროცესს ვიგებთ. სინამდვილეში ამაზე ეშლება ნერვები ყველას.

ესაუბრა სოფო ჭაავა

ბიზნესი

აღიარებული მეთოდები სტრატეგიები

თუ იცი და მოქმედებ – მიალწევ!

გამოწერისთვის დაგვიკავშირდით:
ტელეფონი: (995 32) 22 37 68
ელ-ფოსტა: subscribe@bs-magazine.com

B | S | T The Black Sea Trust for Regional Cooperation

A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

სტატია დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების German Marshal Fund-ის პროექტის The Black Sea Trust-ის მიერ. ამ პუბლიკაციაში გამოთქმული შეხედულებები და მოსაზრებები არ არის აუცილებელი, გამოხატავდეს German Marshal Fund-ის, The Black Sea Trust-ის და მისი პარტნიორების შეხედულებებს.

„დიდების მემორიალის“ დემონტაჟი, ქუთაისი 19 დეკემბერი 2009

ფოტო: ლიდია ბარაბანშვილი

ჟურნალისტური გამოძიება

ტრაგედიის მემორიალი

მონუმენტის დემონტაჟს მსხვერპლი მოჰყვა, რაც, სავარაუდოდ, აფეთქების თარიღის მოულოდნელად შეცვლისა და პოლიციის მიერ ტერიტორიის არაპროფესიონალურად გაკონტროლების მიზეზით მოხდა. თუმცა, დაკავებული არ არის არც ერთი სახელმწიფო მოხელე ან პოლიციელი.

მაია მეცხვარიშვილი

19 დეკემბერს, ქუთაისში ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე ეზოდან ხმის გამაძლიერებლებით დაიძახეს, რომ სახლი ყველას სასწრაფოდ უნდა დაეტოვებინა. ეკა ცუცხვაშვილი მცირეწლოვან შვილებთან ერთად რვასართულიანი კორპუსის ეზოში ჩავიდა და ერთ-ერთ ავტოფარეხთან შეკრებილ მეზობლებს შეუერთდა. ზუსტად 16:00 საათზე, აფეთქების ხმა გაისმა და რამდენიმე ასეულ მეტრში მდებარე „დიდების მემორიალი“ მოსახლეობის თვალწინ წაიქცა. თუმცა, აფეთქებასთან ერთად აბაშიძის ქუჩის ამ ეზოში საშინელი კივილი გაისმა – მემორიალის ბეტონის თაღის ნამსხვრევები კორპუსების მიმართულებით დიდი სიჩქარით გადმოიყარა და ეკა ცუცხვაშვილი და მისი ერთ-ერთი შვილი იმსხვერპლა.

ამავე კორპუსში მცხოვრები ირაკლი ჯინჭარაძე, რომელიც აფეთქებისას მიღებულ დაზიანებებს ამ დრომდე საავადმყოფოში მკურნალობს, იხსენებს: „ეზოში ვიდექი, ბინის უკან და გაისმა თუ არა აფეთქების ხმა, წამოვიდა ქვების წვიმა და წინა რიგში ვინც ვიდექით, კინაღამ ყველა წაგვიღო. მე შემობრუნება მოვასწარი და ზურგში მომხვდა ქვა“.

აბაშიძის ქუჩაზე მცხოვრებნი ამბობენ, რომ მათი გაფრთხილება მუნიციპალიტეტის და პოლიციის თანამშრომლებმა აფეთქებამდე რამდენიმე საათით ადრე დაიწყეს: „მოვიდა პოლიცია, – დაცალეთ სახლებიო, აფეთქება იქნებაო. პრობლემა არ იქნება, ოღონდ გარეთ გამოდით და ფანჯრები ღია დატოვეთო. მართლაც, გამოვედით გარეთ და სულ ნახევარ საათში ატყდა წივილ-კივილი იქით ეზოში. ვინ საით გარბოდა და რა პანიკა იყო, ენით ვერ აღვწერ“, – იხსენებს მალვინა თედიაშვილი.

მერაბ ბერძენიშვილის მიერ აგებული მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მებრძოლების „დიდების მემორიალის“ დემონტაჟი ქუთაისში 12 დეკემბერს დაიწყო. იქ დასაქმებული მუშების ინფორმაციით, ძეგლი 21 დეკემბერს, პრეზიდენტის დაბადების დღეს უნდა აეფეთქებინათ. ასეთი დირექტივა ჰქონდათ მათ დამქირავებლებისგან.

ადგილობრივი ჟურნალისტები ქუთაისის თვითმმართველობის წარმომადგენლებს 12 დეკემბერსვე დაუკავშირდნენ. მერიის კულტურის სამსახურის უფროსი გიზო თავაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თამაზ მარგველაშვილი და საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი კახა ნემსიწვერიძე მაშინ აცხადებდნენ, რომ ძეგლთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობდნენ. მათ არც ის იცოდნენ, თუ ვინ მიიღო მემორიალის დემონტაჟის შესახებ გადაწყვეტილება.

პირველი ოფიციალური განმარტება 18 დეკემბერს ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა ზაზა ნუცუბიძემ გააკეთა: „ძეგლის დემონტაჟს მოითხოვს პარლამენტის მშენებლობა. მთავრობის განკარგულებით, ქუთაისისთვის გამოყოფილია თანხა, რომელიც უშუალოდ ამ პარლამენტის შენობის აშენების, დაპროექტების, დემონტაჟის და სხვა მოსამზადებელი სამუშაოებისთვისაა საჭირო“. არც ადგილობრივ და არც ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლებს ჟურნალისტებისთვის სხვა ინფორმაცია არ მიუწოდებიათ.

ცნობა აფეთქების და მსხვერპლის შესახებ ნაციონალურ არხებზე მალევე დაიბლოკა. დედა-შვილის სიკვდილის მიზეზად ქუთაისის მაჟორიტარმა დეპუტატმა აკაკი ბობოხიძემ მათივე გაუფრთხილებლობა დაასახელა. ტელეარხებზე ქუთაისის მოსახლეობაც ტრაგედიის ამ ვერსიას „იზიარებდა“. თუმცა, ნაჩვენებ კადრებში ადგილობრივ მოსახლეობას აბაშიძის ქუჩის ერთ-ერთი კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე და ნაციონალური მოძრაობის აქტივისტი, რუსუდან გურგენიძე წარმოადგენდა. გურგენიძე აცხადებდა, რომ პოლიციამ და მუნიციპალიტეტის თანამშრომლებმა მოსახლეობა 10 დღით ადრე გააფრთხილეს მოსალოდნელი აფეთქების თაობაზე. „მაგრამ არ დავემორჩილეთ ამ გაფრთხილებას და ამან გამოიწვია ეს უბედურება“, – აღნიშნა მან.

აფეთქებისას მომხდარი ტრაგედიის შემდეგ მერიასა და შემსრულებელ ფირმებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი ბრძანებები საგამოძიებო მასალად ჩაითვალა და ჟურნალისტებისთვის დაიხურა.

სწორედ ამ დოკუმენტაციიდან (რომელიც საქმეში ჩართული არასაჯარო პირისგან მოვიპოვეთ) ირკვევა, რომ ქუთაისში მემორიალის დემონტაჟი საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №915 განკარგულების საფუძველზე დაიწყო, რომელსაც ხელს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური აწერს.

ვისი გადაწყვეტილება იყო აფეთქების თარიღის გადმოწევა, ამაზე ხელისუფლებიდან არავინ ლაპარაკობს. არაოფიციალური ვერსიით, მთავრობამ ძეგლის მოულოდნელად დანგრევა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „დიდების მემორიალის“ დემონტაჟს ქუთაისში ოპონენტები გამოუჩნდა.

დედა-შვილი ცუცხაშვილების დაკრძალვა, ქუთაისი 2009

ფოტო: თეგი ბარძიგაშვილი

„ქ. ქუთაისში პარლამენტის ახალი შენობის დაპროექტების, სამშენებლო მოედანზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის, სეისმური და გეოლოგიური კვლევების ჩატარების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2009 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თვითმმართველი ქალაქი ქუთაისის მერიას გამოუყოს 5 მილიონი ლარი“, – წერია განკარგულებაში.

იმავე განკარგულებაში მითითებულია, რომ სამუშაოების მაქსიმალურად მოკლე ვადებში შესრულებისთვის სახელმწიფო შესყიდვები უნდა განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, ხოლო განკარგულების შესრულებაზე კონტროლი იმერეთის გუბერნატორს მიხეილ ჩოგოვაძეს და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალათ.

5 მილიონი ლარი ქუთაისის ბიუჯეტის ანგარიშზე 11 დეკემბერს ჩაირიცხა. ძეგლის დემონტაჟი 12 დეკემბრიდან დაიწყო. სამუშაოებს თბილისური ფირმა „საქფეთქმრეწვი“ და ქუთაისური „ლიტოკონსტრუქცია“ აწარმოებდნენ. თუმცა, როგორც ირკვევა, ამ დროს ამ ფირმებთან ხელშეკრულებები გაფორმებული არ იყო. კონტრაქტები ქუთაისის მერიამ 16 დეკემბერს გააფორმა, თუმცა არა „საქფეთქმრეწვთან“ და „ლიტოკონსტრუქციასთან“, არამედ – შპს „საქმილსადენმშენთან“. ხელშეკრულების მიხედვით, კომპანიებს დაევალათ „ქ. ქუთაისში, საქართველოს პარლამენტის ახალი შენობის მშენებლობისთვის გამოყოფილ ტერიტორიაზე, ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე დიდების მემორიალის დემონტაჟის, შესაბამისი სამუშოებისა და მიღებული ნარჩენების გატანის უზრუნველყოფის (50კმ-ს ფარგლებში) განხორციელება“. ამ სამუშაოსთვის შპს „საქმილსადენმშენს“ 600 ათასი ლარი უნდა მიეღო ბიუჯეტიდან. ხელშეკრულების თანახმად, „საქმილსადენმშენი“ იძლევა გარანტიას, რომ შეასრულებს სამუშაოს ეფექტურად და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, დადგენილი ნორმების დაცვით.

„ჩვენ ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების წარმოების არანაირი გამოცდილება არ გაგვაჩნია, მაგრამ მერიამ გვთხოვა, რომ ჩვენთან გაფორმებულიყო ხელშეკრულება, რადგან „საქფეთქმრეწვი“ თბილისური ფირმა იყო და ჩვენ – ადგილობრივი. მერიაში ხელშეკრულების გასაფორმებლად რომ მივედი, მათ უკვე შერჩეული ჰყავდათ ფირმები, რომლებსაც ჩვენ გავუფორმეთ კონტრაქტები: „საქფეთქმრეწვთან“ კონტრაქტი გაფორმდა 91 700 ლარზე ძეგლის აფეთქებისთვის, ხოლო „ლიტოკონსტრუქციასთან“ – 2000 ლარზე, რადგან მათ უბრალოდ მუშები გამოყვეს ძეგლიდან ლითონის კონსტრუქციის ჩამოსახსნელად. ამ ფირმებთან მანამდე არანაირი ურთიერთობა არ გვქონია“, – ამბობს „საქმილსადენმშენის“ დირექტორი ავთანდილ ლომთაძე. მისი ინფორმაციით, ფირმების შერჩევისა და ძეგლის დემონტაჟის პროცესს იმერეთის გუბერნატორი მიხეილ ჩოგოვაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა.

ავთანდილ ლომთაძე იხსენებს, რომ ძეგლის აფეთქება 21 დეკემბრისთვის

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები , ქუთაისი 2009

ფოტო: თეგმ ბარაძე/ბუბერი

დაიგეგმა. (ამ ინფორმაციას აბაშიძის ქუჩის მცხოვრებლებიც ადასტურებდნენ. მათი თქმით, პოლიციამ ისინი რამდენიმე დღით ადრე გააფრთხილა, რომ მემორიალს 21 დეკემბერს ააფეთქებდნენ).

„არ ვიცი, რატომ ააფეთქეს 19-ში, ეს მოულოდნელად მოხდა. მე თბილისში ვიყავი იმ დღეს და რომ ჩამოვედი, ძეგლი უკვე აფეთქებული იყო. პროკურატურამ მეც დამკითხა. მათ აინტერესებდათ, თუ ვინ იყო ტერიტორიიდან ხალხის გაყვანაზე პასუხისმგებელი, რაზეც ვუპასუხე, რომ ამაზე პასუხისმგებლობას იღებდა მუნიციპალიტეტი“, – ამბობს „საქმილსადენმშენის“ დირექტორი ავთანდილ ლომთაძე.

შემსრულებელ ფირმასთან ხელშეკრულებას, მერიის სახელით, ხელს აწერს მერის პირველი მოადგილე ზაზა ნუცუბიძე (იმ დროისთვის მერის მოვალეობის შემსრულებელი), რომელმაც 24 დეკემბერს, ოფიციალური ინფორმაციით, საკუთარი განცხადების საფუძველზე თანამდებობა დატოვა.

ტრაგედიიდან 6 საათში პრეზიდენტმა სააკაშვილმა მომხდარზე პოლიტიკური პასუხისმგებლობა იმერეთის გუბერნატორს მიხეილ ჩოგოვაძეს დააკისრა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ პირდაპირ ეთერში აუწყა მოსახლეობას, რომ მიხეილ სააკაშვილმა თანამდებობიდან გაათავისუფლა მიხეილ ჩოგოვაძე. (თუმცა, გუბერნატორის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ზეინაბ ხაჩიძის ინფორმაციით, მიხეილ ჩოგოვაძემ პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა).

პრეზიდენტმა ჩოგოვაძის პასუხისმგებლობის საკითხი ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში ასე განმარტა: „რწმუნებული არის თვალი და ყური პრეზიდენტის. ყველა შემთხვევაში, ის არის პასუხისმგებელი, არის თუ არა პირადად მისი უშუალო მონაწილეობა. იმიტომ, რომ ის არის იქ, ადგილზე. ნეტავ მე ვყოფილიყავი იქ, მე უფრო დავინახავდი რაღაცას“.

აფეთქების შედეგად დედა-შვილის დაღუპვის საქმეზე სამი ეჭვმიტანილია დაკავებული. სამივე სს „საქფეთქმრეწვის“ თანამშრომელია – ტექნიკური დირექტორი ავთანდილ დარსაველიძე, რომელიც პროკურატურის ინფორმაციით, უსაფრთხოების ნორმების დაცვაზე იყო პასუხისმგებელი; უბნის უფროსები ელგუჯა გაბადაძე და თენგიზ დარახველიძე, რომელიც სასამართლომ 5000-ლარიანი გირაოს გადახდის შედეგად გაათავისუფლა. სამივე მათგანს ბრალი ედება 240-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში.

საქმეს საქართველოს მთავარი პროკურატურა იკვლევს. პირველი განცხადება მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ 19 დეკემბერსვე გააკეთა: „2009 წლის 19 დეკემბერს, ქუთაისის მუნიციპალიტეტის დაკვეთით, კერძო კომპანია სს „საქფეთქმრეწვმა“ ჩაატარა სადემონტაჟო სამუშაო, რასაც მოჰყვა მსხვერპლი. წინასწარი მონაცემებით, ტრაგედიის მიზეზი გახდა უსაფრთხოების წესების დარღვევა“. მოგვიანებით პროკურატურამ მომხდარი უბედური შემთხვევის მიზეზები ასე ახსნა: „მათ არ განსაზღვრეს უსაფრთხოების ზონა, რის გამოც, მოსახლეობის ევაკუირება განხორციელდა 211-მეტრიან რადიუსზე, ნორმატივებით განსაზღვრული, მინიმუმ, 300-მეტრიანი რადიუსის ნაცვლად. ტრაგიკული შემთხვევა კი სწორედ ასაფეთქებელი ობიექტიდან 273,5 მეტრში დაფიქსირდა. გარდა ამისა, სამუშაოთა მწარმოებლები ვალდებულები იყვნენ, ასაფეთქებელი მოედანი შემოეფარგლათ სპეციალურად მომზადებული საფარი ნაგებობებით, ე.წ. მიწაყრილებით. ეს მოთხოვნაც მხოლოდ ნაწილობრივ იქნა დაცული. კერძოდ, 9-10 მეტრის სიმაღლის მიწაყრილის ნაცვლად, გაკეთდა მხოლოდ 4 მეტრის სიმაღლის საფარი, რაც არ იყო საკმარისი აფეთქების შედეგად გამოტყორცნილი ქანების შესაკავებლად. საგამოძიებო ჯგუფის წინასწარი დასკვნით, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები გახდა ტრაგედიის ძირითადი მიზეზი“.

დაკავებულები პროკურატურის მიერ წაყენებულ ბრალს არ აღიარებენ. ჟურნალისტ ნანა ლეჟავასთან სატელეფონო ინტერვიუში ეჭვმიტანილი დარახველიძე ამბობს, რომ მიწაყრილების ამაღლება „საქფეთქმრეწვმა“ იმიტომ ვერ მოახერხა, რომ დამკვეთმა საკმარისი დრო არ დაუტოვა. კითხვაზე, თუ ვინ გასცა ბრძანება, აფეთქება 21-ის ნაცვლად, 19 დეკემბერს მომხდარიყო, დარახველიძე კონკრეტულ პიროვნებას არ ასახელებს, თუმცა ამბობს, რომ „ზარი მუნიციპალიტეტიდან იყო“. „19-ში მივიღეთ სეისმოლოგიური დასკვნა. ფაქტობრივად ვეღარ ვასწრებდით ვერაფერს. დროის ფაქტორმა გადაწყვიტა ის, რომ ვერ მოვახერხეთ იმ მიწაყრილების აწევა“, – ამბობს დარახველიძე.

ვისი გადაწყვეტილება იყო აფეთქების თარიღის გადმოწევა, ამაზე ხელისუფლებიდან არავინ ლაპარაკობს. არაოფიციალური ვერსიით, მთავრობამ ძეგლის მოულოდნელად დანგრევა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც „დიდების მემორიალის“ დემონტაჟს ქუთაისში ოპონენტები გამოუჩნდა.

„ჩვენ 18 დეკემბერს გამოვაცხადეთ, რომ 21 დეკემბერს ქუთაისში გაიმართებოდა დიდი საპროტესტო აქცია მემორიალის აფეთქებასთან დაკავშირებით, რასაც მეორე დღეს მოჰყვა ძეგლის აფეთქება“, – ამბობს „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ ქუთაისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი შოთა ბურჯანაძე. ოპოზიციის წარმომადგენლები დემონტაჟის დაჩქარებას ხელისუფლების მხრიდან მოსალოდნელი საპროტესტო აქციის თავიდან აცილების მცდელობას უკავშირებენ.

„საქფეთქმრეწვის“ დაკავებული თანამშრომლების ადვოკატი მარიკა სხვანიძე ამბობს, რომ დაცვის მხარეს აქვს დოკუმენტური და ფოტომასალა, რომელიც კომპანიის უდანაშაულობას ადასტურებს. ასევე, ადვოკატის თქმით, გუბერნატორთან შეთანხმებით, პერიმეტრზე უსაფრთხოების დაცვაზე პოლიცია იყო პასუხისმგებელი და არა – აფეთქების შემსრულებელი ფირმა. მიუხედავად ამისა, სისხლის სამართლის საქმე პოლიციის არც ერთი წარმომადგენლის წინააღმდეგ არ არის აღძრული. არ დამდგარა არც ქუთაისის მუნიციპალიტეტის რომელიმე თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი.

პარლამენტის ასაშენებლად მოსამზადებელი სამუშაოებისთვის ქუთაისის ბიუჯეტში ცენტრალური მთავრობის მიერ ჩარიცხული 5 მილიონი ლარიდან ჯერ 200 ათასი ლარია დახარჯული. ეს თანხა „საქმილსადენმშენს“ ავანსის სახით გადაერიცხა. თავის მხრივ, „საქმილსადენმშენმა“ 91 700-ლარიანი კონტრაქტი „საქფეთქმრეწვს“ გაუფორმა, 2000-ლარიანი – ლიტოკონსტრუქციას. 8500 ლარი სეისმოლოგიური სამუშაოებისთვის დაიხარჯა, 19 ათას ლარზე მეტი კი იმ ბილბორდზე, რომელიც 20 დეკემბერს „დიდების მემორიალის“ ნანგრევებთან გამოიფინა. გაკრული ფოტოილუსტრაცია იუწყება, რომ 2012 წელს ქუთაისში პარლამენტის შენობა გაიხსნება.

საქართველო 2009-ში

წლის მნიშვნელოვანი მოვლენები

სოფო ქაავა





9 იანვარი – საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია გაფორმდა

ჯოზეფ ბაიდენი და მიხეილ სააკაშვილი, თბილისი, 23 ივლისი 2009

ურთიერთობა საქართველოსა და ამერიკის ახალ ადმინისტრაციას შორის ოფიციალურად 2009 წლის 9 იანვარს დაიწყო. ვაშინგტონში ორი ქვეყნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს „პარტნიორობის შესახებ ქარტიას“. ქარტია არასავალდებულო, დეკლარაციური ხასიათის დოკუმენტია და თანამშრომლობის მიმართულებებს ზოგადად განმარტავს. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ქარტიაში ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოს ნატო-ში სწრაფვისადმი მხარდაჭერას და მის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის აუცილებლობას.

ამერიკის ახალ პრეზიდენტს, ბარაკ ობამას მიხეილ სააკაშვილი 2009 წელს არ შეხვედრია. ადმინისტრაციის ყველაზე მაღალი წარმომადგენელი, ვინც საქართველოს ამ წელს სტუმრობს, ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბაიდენია. ის ხელისუფლებას „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დაწყებული რეფორმების გაგრძელებას ურჩევს და კიდევ ერთხელ მკაფიოდ აღნიშნავს ამერიკის მიერ საქართველოსადმი მხარდაჭერას. 22 ივლისს ბაიდენის თბილისში ჩამოსვლას წინ უძღვის პრეზიდენტ ობამას ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში.

კომენტარი

გიგა ბოკერია
საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე



ქარტია არ არის მხოლოდ დეკლარირებული მხარდაჭერა. იქ საუბარია სამხედრო თანამშრომლობაზე, კონკრეტულ პროგრამებზე. სტრუქტურირებულ, ფორმალურად გამყარებულ და პროცედურაში ჩასმულ ქმედებებს აქვს განსხვავებული ფასი. ის, რომ საქართველოსთან მიმართებაში ხელისუფლების აღმასრულებელმა ფრთამ კონგრესს უნდა ჩააბაროს ანგარიში, საქართველოსთვის დიდი მიღწევაა.

ბაიდენის ვიზიტი კიდევ უფრო თვალნათელი და მატერიალიზებული სიგნალი იყო ყველასთვის. ამ ვიზიტმა გაფანტა მითი, რომ საქართველოს არანაირი შანსი არ აქვს. თუმცა, მაშინ ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარი შეფასებები გაკეთდა. დიდი სიბრიყვეა იმის ჩათვლა, რომ საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, იდენტური მთლიანობის და ამ ბრძოლის მხარდაჭერა არის ხელისუფლების მხარდაჭერა ოპოზიციის წინააღმდეგ. ასეთივე სიბრიყვეა იმის თქმა, რომ საქართველოში დემოკრატიული რეფორმების გრძელვადიანი მხარდაჭერა შეერთებული შტატების მიერ ოპოზიციის მხარდაჭერას გულისხმობს, ხელისუფლების წინააღმდეგ. ორივე ერთნაირად მცდარი მოსაზრებაა. ერთადერთი, ვისაც ცივი წყალი გადაესხა იყვნენ ისინი, ვისაც ეგონა, რომ რევიზორი ჩამოდის, რომელიც იტყვის, ხვალ რა და როგორ უნდა გაკეთდეს.

ვთვლი, რომ ოდნავ უტრირებული იყო საქართველოს ხელისუფლებასა და ამერიკის წინა ადმინისტრაციას შორის ემოციური და პირადი ურთიერთობების მნიშვნელობა. საქართველოს ეს ხელისუფლება ყოველთვის იქნება ბუშის ადმინისტრაციის მადლიერი. პრეზიდენტი ბუში იყო ამერიკის პირველი პრეზიდენტი, ვინც ესტუმრა საქართველოს და ის ყოველთვის დარჩება პირველ პრეზიდენტად, ვინც ესტუმრა საქართველოს. ბუნებრივია, პირად კონტაქტებს აქვს მნიშვნელობა პოლიტიკაში, მაგრამ არა ისე, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია – რომ შეერთებული შტატებისთვის მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკის საკითხები ასე წყდება. ეს აშკარად გადაჭარბებულია.

ახალ ადმინისტრაციასთან პერსონალური ურთიერთობების დალაგებას დრო სჭირდება. ამიტომ ვთვლი, რომ შეფასებების გაკეთება ნაადრევია. ამერიკაში გამოითქმის მრავალნაირი მოსაზრებები, მემარჯვენე და მემარცხენე პოლუსებზე სხვადასხვა ტიპის ჯგუფებს აქვთ საერთო სკეპტიციზმი ამერიკის პოლიტიკის ამ ასპექტის მიმართ, მთლიანად აღმოსავლეთ ევროპას ვგულისხმობ და არა ცალკე საქართველოს. მაგრამ საბედნიეროდ, ეს ორივე პოზიცია ჯერჯერობით, და იმედია დიდი ხნით, მაინც მარგინალურია.

კომენტარი

სალომე ზურაბიშვილი
ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, პარტია „საქართველოს გზის“ ლიდერი

ბაიდენის ვიზიტით და ქარტიით დამთავრდა პიროვნული ურთიერთობების პოლიტიკა საქართველოს ხელისუფლებას და ამერიკის ადმინისტრაციას შორის და ურთიერთობები გადავიდა სხვა, პრაგმატულ ჭრილში. სწორედ ამის ნიშანი იყო ბაიდენის სიტყვა, რომელიც მან საქართველოს პარლამენტში წარმოთქვა.

ის, რომ პირადი ურთიერთობების ხანა დამთავრდა, კარგად გამოჩნდა, როდესაც სააკაშვილი გაერო-ში ვიზიტის დროს პრეზიდენტ ობამას ვერ შეხვდა. ეს მან ასევე ვერ მოახერხა კოპენჰაგენში. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ვიდრე საქართველო არ დაემსგავსება დემოკრატიას, ამერიკა მაინც მხარს დაუჭერს საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ, იმისათვის, რომ რუსეთმა არ ჩათვალოს, რომ საქართველო მისია. მაგრამ ამავდროულად, შეერთებული შტატების ახალი ადმინისტრაცია მტკიცედ მოითხოვს საქართველოსგან, შეასრულოს „ვარდების რევოლუციის“ დანაპირებები, რომელიც არა მხოლოდ საქართველოს მოსახლეობამ, არამედ ამერიკამაც დაიჯერა.

20 იანვარი – იწყება „საკანი №5“

„გიორგი გაჩეჩილაძე, იგივე უცნობი, 42 წლის. 2009 წლის 20 იანვარს, პროტესტის ნიშნად, საკუთარი სურვილით აღიკვეთა თავისუფლება და გახდა პატიმარი; თვლის, რომ ბოლო წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად საქართველო გადაიქცა ციხედ. იცხოვრებს საკანში მანამდე, ვიდრე საქართველო არ გათავისუფლდება რეჟიმის ტყვეობისაგან“.

ამ ტექსტით დაიწყო ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერში ახალი სატელევიზიო პროექტი არასტანდარტული პროტესტის ფორმით – „საკანი №5“.

„სააკაშვილი ჰიტლერად და სტალინად გვექცა და ჩვენ ამ გადაცემით საქართველოში დემოკრატიის დამყარებისთვის ვიბრძვით“, – ამბობდა „მაესტროს“ ხელმძღვანელი მამუკა ღლონტი.

შოუს წესების მიხედვით, პატიმარს „პაემნის“ უფლება ჰქონდა. გაზაფხულის აქციებამდე და აქციების დროსაც „საკან №5“-ს პოლიტიკაზე სასაუბროდ ყოველდღე სტუმრობდნენ ოპოზიციურად განწყობილი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, ხელოვანები და პოლიტიკოსები. „უცნობი“ საზოგადოების ნაწილისთვის ოპოზიციის ბევრ წარმომადგენელზე პოპულარული და ძლიერი ლიდერი გახდა.

თუმცა ზაფხულში, საპროტესტო აქციების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ტელეპროექტმა აქტუალურობა დაკარგა. ბოლო გადაცემის ჩანაწერი ეთერში 9 დეკემბერს გავიდა. მაყურებლებისადმი ბოლო მიმართვაში გია გაჩეჩილაძემ გადაცემის შეწყვეტის მიზეზად მარხვა დაასახელა, თუმცა ცნობილია, რომ პროექტის დახურვის გადაწყვეტილება „მაესტროს“ ახალმა მენეჯერმა ეროსი კიწმარიშვილმა მიიღო. „საკანმა“ სულ 11 თვე იარსება და ამ დროის განმავლობაში პროექტში სტუმრად დაახლოებით 500 ადამიანი მივიდა.

ფოტო: ლევან ნარიანაძე

■ გიორგი გაჩეჩილაძე (უცნობი) საკან N5-ში

■ „საზოგადოების ნაწილმა საკუთარი აგრესიის სამიზნე უცნობის სახით იპოვა. ამ დროიდან „საკანი №5“ ერთი ადამიანის დრამაა, რომელიც ჩვენ თვალწინ გათამაშდა“.

კომენტარი

ეროსი კიწმარიშვილი
ტელეკომპანია „მაესტროს“ მენეჯერი

„საკანი №5“ იყო ძალიან მოხერხებული, ორიგინალურად მოფიქრებული, მოულოდნელი, ძალიან მცირებიუჯეტიანი შოუ, ერთი მსახიობის თეატრი. ამ შემთხვევაში, ეს მსახიობი, პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით, იყო გმირი. ეს ადამიანი

ძალიან ნიჭიერად გამოხატავდა საზოგადოების განწყობას, მანიპულირებდა ამ განწყობით. პროექტი ტრანსფორმირდა ნაციონალურ იდეად, რომლის კულმინაცია 26 მაისი იყო. ის დღე რომ სხვანაირად დამთავრებულიყო, უცნობი ხდებოდა ეროვნული გმირი.

თუმცა პიკმა გადაიარა, დრამატურგია არ განვითარდა. ამის შემდეგ დაიწყო პროექტის შინაგანი ეროზია. ეს საბოლოო ჯამში, ეროვნული, საზოგადოების დეპრესიის გაგრძელება იყო.

2009 წელთან დაკავშირებით მაღალი მოლოდინები იყო და საზოგადოების ნაწილმა, რომელიც პოლიტიკურ პროცესში ჩართული იყო, იმედგაცრუების გამო, საკუთარი აგრესიის სამიზნე უცნობის სახით იპოვა. ამ დროიდან უკვე „საკანი №5“ არის ერთი ადამიანის დრამა, რომელიც ჩვენ თვალწინ გათამაშდა. საბოლოოდ, ყველაფერი მისი მძიმე ავადმყოფობით დამთავრდა.

პროექტმა რაღაც თვალსაზრისით „რუსთავი 2“-ის გზა გაიმეორა. ანუ პიკურ მომენტში, მან, ისევე როგორც „რუსთავი 2“-მა, საკუთარი რეპუტაცია, იმიჯი შესწირა კონკრეტულ პროცესს.

ეს გადაცემა ამ ფორმით და ამ მოცულობით ვეღარ გაგრძელდებოდა. ჯერ ერთი, არხი რეორგანიზაციის პროცესშია, მეორეც – თვითონ გიაც ავად არის და სამკურნალოდაა წასული. ეს არ ნიშნავს, რომ უცნობი შეწყდა, როგორც სასცენო, თუ პოლიტიკური, თუ საზოგადოებრივი სახე, ის გააგრძელებს თავის არსებობას და მეც სიამოვნებით გავაგრძელებდი მასთან თანამშრომლობას.

ფოტო: ლევან ხარხელიძე

მამუკა ღლონტი, თბილისი 2009

16 თებერვალი – ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის პრეზენტაცია

ფოტო: ლევან ხარხელიძე

ირაკლი ალასანიას შეხვედრა მოსახლეობასთან, თბილისი 2009

„ალასანიამ ამ წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად გაფლანგა ნდობის ის კრედიტი, რომელიც ჰქონდა. მან ვერ წარმოაჩინა თავი მკაფიო, ძლიერ ლიდერად“.

გაერო-ში საქართველოს ყოფილი ელჩი თანამდებობის დატოვების შემდეგ ოფიციალურად ერთვება პოლიტიკაში. რამდენიმე თანამოაზრესთან ერთად ის პოლიტიკურ მოძრაობას აყალიბებს და შემდეგ რესპუბლიკური პარტიისა და ახალი მემარჯვენეების პოლიტიკურ ალიანსს უერთდება. „ალიანსი საქართველოსთვის“ 2009 წლის გაზაფხულზე საპროტესტო აქციებშიც მონაწილეობს, თუმცა მიტინგების უშედეგოდ დასრულების შემდეგ, ის ხელისუფლებასთან დიალოგს თანხმდება.

ალასანია პირველია ოპოზიციის ლიდერებიდან, ვინც საკუთარი კანდიდატურა რიგგარეშე თვითმმართველობის არჩევნებში მერის პოსტზე წამოაყენა. მისი პოლიტიკური პარტნიორი ყოფილი სახალხო დამცველი სოზარ სუბარია, რომელიც „ალიანსი საქართველოსთვის“ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატია. თუმცა, ალასანია და სუბარი 2009 წლის ბოლომდე ვერ ახერხებენ ოპოზიციის კონსოლიდაციას საკუთარი კანდიდატურების ირგვლივ. წინასწარი გამოკითხვებით, თვითმმართველობის არჩევნებში თბილისის მერის თანამდებობაზე დედაქალაქის მცხოვრებთა უმრავლესობა სახელისუფლებო კანდიდატს უჭერს მხარს, ოპოზიციის მხარდამჭერთა ხმები კი რამდენიმე კანდიდატს შორისაა გაყოფილი.

კომენტარი

გია ნოდია
პოლიტოლოგი

„როგორც ჩანს, 2007-2008 წლებში ოპოზიციის სხვა ლიდერების სახეები ერთგვარად გაცვდა და მოთხოვნილება იყო ახალ პერსონაზე. სწორედ ირაკლი ალასანიამ დაიკავა ეს „ახალი სახის“ ნიშა. ალასანია, ერთი მხრივ, საკმარისად, მკაფიოდ დაპირისპირებული იყო ამ ხელისუფლებასთან და ამავე დროს პროდასავლური ორიენტაციის ფიგურად ისახებოდა. საზოგადოება მისგან ელოდა, რომ იქნებოდა ოპოზიციის

ძლიერი ლიდერი, რომელიც სააკაშვილის ღირსეული მოწინააღმდეგე გახდებოდა. ალასანიას რაციონალურ, თანამედროვე ტიპის პოლიტიკოსადაც აღიქვამდნენ და ამავე დროს ლიდერად, რომელიც რაღაც სერიოზულ, ალტერნატიულ კურსს შესთავაზებდა საზოგადოებას; არ იქნებოდა ისეთი ულტრარადიკალი და უპასუხისმგებლო, როგორიც არის რადიკალური ოპოზიცია, მაგრამ არც ზედმეტად ლოიალური, როგორც არის საპარლამენტო ოპოზიცია.

მაგრამ ალასანიამ ამ წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად გაფლანგა ნდობის ის კრედიტი, რომელიც ჰქონდა. მან ვერ წარმოაჩინა თავი მკაფიო, ძლიერ ლიდერად, რომელსაც კრიტიკულ სიტუაციაში დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია. ის ერთგვარად უფრო „პოლიტიკური პროექტის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვიდრე დამოუკიდებელი ლიდერის“.

მისი რეიტინგი დამოკიდებულია უფრო მოლოდინზე. მისგან ელიან, რომ ის რაღაცას მოიფიქრებს და სერიოზულ ძალას შექმნის, მაგრამ ჯერჯერობით მან საზოგადოებას კონკრეტული ვერაფერი შესთავაზა.

ხვალ რომ საპარლამენტო არჩევნები გაიმართოს, რომელ პოლიტიკურ ბლოკს ან პარტიას დაუჭერდით მხარს?

2009 წლის მარტი (ქ. თბილისის მოსახლეობა: 18+)

ალიანსი საქართველოსთვის	13.8%
გაერთიანებული ოპოზიცია	10.5%
დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო	3.7%
დემოკრატიული პარტია	0.0%
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია	0.1%
ეროვნული ფორუმი	7.3%
თავისუფლება	0.2%
ლეიბორისტული პარტია	8.5%
მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“	3.7%
ნაციონალური მოძრაობა	16.8%
სამართლიანი საქართველოსთვის	0.0%
საქართველოს გზა	0.4%
ტრადიციონალისტები	0.6%
ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი	7.7%
არცერთს	12.9%
უარი პასუხზე	2.2%
მიჭირს პასუხის გაცემა	11.7%

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (ISSA)

ეუთო-ს მონიტორინგის მისიის წარმომადგენლები, ცხინვალი 2009

ფოტო: დავითი ხუციშვილი

8 აპრილი – კონფლიქტური რეგიონების ადმინისტრაციულ საზღვრებს ნაწილობრივ რუსული ჯარი გააკონტროლებს

სეპარატისტული აფხაზეთის ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოსთან ადმინისტრაციულ საზღვარს აფხაზური ძალები რეგიონში განთავსებულ რუსულ ჯარებთან ერთად გააკონტროლებენ. აფხაზეთის თვითგამოცხადებული საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ეს ნაბიჯი გადაიდგა „ქართული მხრიდან გაზრდილი პროვოკაციების და სასაზღვრო ტერიტორიებზე ტერორისტული აქტების განხორციელების მცდელობის“ საპასუხოდ.

რამდენიმე თვეში ცნობილი ხდება რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების განთავსების შესახებ. „ჩვენ დაინტერესებული ვართ აქ რუსული ბაზების ყოფნით, რადგან მათში ვხედავთ ჩვენი უსაფრთხოების ერთადერთ მყარ გარანტიას“, – განაცხადა თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ.

რუსეთის ძალისხმევით, შეწყდა ეუთო-ს მონიტორინგის მისიის მანდატი სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე. გაერო-ს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთის წარმომადგენლის ვეტოს საფუძველზე შეჩერდა გაერო-ს სადამკვირვებლო მისიის მუშაობა აფხაზეთის ტერიტორიაზე.

რუსეთის შემდეგ თვითგამოცხადებული რესპუბლიკების დამოუკიდებლობა 2009 წელს ნიკარაგუამ, ვენესუელამ და ნაურუმ აღიარეს.

კომენტარი

ლორენს შიტსი
„საერთაშორისო კრიზისების ჯგუფის“ ხელმძღვანელი საქართველოში

საქართველოში საერთაშორისო მისიების დახურვას თვალსაჩინო შედეგი ჰქონდა, განსაკუთრებით სამხრეთ ოსეთში. იქ დამკვირვებლების ყოფნა სულ მცირე იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მომხდარიყო მნიშვნელოვანი მოვლენების მონიტორინგი, მაგალითად ისეთის, როგორიცაა ეთნიკური წმენდა.

ასევე, გულდასაწყვეტია, რომ საზღვარი ჩაიკეტა, ეს ყველა მხარისთვის თანაბრად საზიანოა. 1992-დან 2004 წლამდე ერთ-ერთი ყველაზე პოზიტიური მოვლენა ის იყო, რომ მოსახლეობა სავაჭროდ აქეთ-იქით მიმოდიოდა. მართალია, პროდუქტის დიდი ნაწილი კონტრაბანდა იყო და ერგნეთის ბაზრობიდან სახელმწიფოს გადა-

ფოტო: დავით ბოჭორიშვილი

სახადები არ შემოსდიოდა, მაგრამ ეს იმის საშუალებას იძლეოდა, რომ ხალხს ერთმანეთთან ურთიერთობა შეენარჩუნებინა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

რაც შეეხება აფხაზეთს, არ მგონია, რომ გაერო-ს მისიის დახურვას იქ იგივე გავლენა ჰქონდეს. გაერო-ს არ ჰქონია იგივე ხარისხის უფლებამოსილება, როგორიც ეუთო-ს. როგორც იცით, გაერო-მ ვერ შეძლო შეეჩერებინა ის, რაც მოხდა გალში 1998 წელს. ეს უიარაღო მისია უძლური აღმოჩნდა სერიოზული შეტაკებების პირისპირ.

რაც შეეხება უსაფრთხოების თვალსაზრისით სიტუაციის შეცვლას, ვფიქრობ ის ცოტათი მაინც გაუარესდა. თუმცა, ახლახან დავბრუნდი გალიდან, და ვიტყოდი, რომ არა მარტო იქ, არამედ მთელს აფხაზეთში ხალხი უფრო დაცულად გრძნობს თავს. ეს მათი სიტყვებია და არა ჩემი. ამბობენ, რომ მას მერე, რაც მათ ტერიტორიაზე რუსი სამხედროები დგანან, უკვე აღარ ეშინიათ საქართველოს მხრიდან თავდასხმის. შესაძლებელია, ეს სადავო და არარეალისტური მოლოდინია, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ხალხი ასე ფიქრობს. არანაირი ილუზია არ აქვთ არც სერგეი ბაღაფშს, არც სერგეი შამბას და სტანისლავ ლაკობას, რომ აფხაზეთი და რუსეთი თანასწორი პარტნიორები არიან. ისინი ამ ურთიერთობას „ასიმეტრიულს“ უწოდებენ, ერთ-ერთმა მათგანმა იხმარა ტერმინი – „ლიმიტირებული დამოუკიდებლობა“, რაც, მათი მტკიცებით, აბსოლუტურად ნორმალური მოვლენაა, რადგან ეს მათ უსაფრთხოების მოთხოვნილებებს და მათ მომავალ ეკონომიკურ განვითარებას კარგად ერგება. მათ ნამდვილად არ სურთ, რომ გარე სამყაროსთან ერთადერთი დამაკავშირებელი საშუალება მხოლოდ რუსეთი იყოს. მას შემდეგ, რაც აფხაზეთში საქართველოდან ენგურის გავლით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეტანა შეჩერდა, ფასებმა სწრაფად დაიწყო მატება. საქართველოსთან ჩაკეტილი ადმინისტრაციული საზღვრის გამო პროდუქტები აფხაზეთში რუსეთიდან შედის, გაცილებით მაღალ ფასად. ამიტომაც ვფიქრობ, რომ ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ეკონომიკური და ადამიანური კონტაქტების განახლების დიდი პოტენციალი არსებობს. ასეთი განახლების გეგმა საქართველოს მთავრობის, კერძოდ მინისტრ იაკობაშვილის მიერ 24 დეკემბერს წარმოდგენილ სტრატეგიაშიც გათვალისწინებულია.

სამხედრო მოქმედებები ასე თუ ისე ჩაცხრა. ვფიქრობ, რომ სიტუაცია უკიდურესად დაძაბული იყო ომის შემდეგ და მანამდეც – ჯერ კიდევ შარშან გაზაფხულზე, როდესაც მე ბაღაფშს შევხვდი, აფხაზეთის ხელმძღვანელობა უკიდურესად მკვახე და მტრულ ტერმინებს იყენებდა საქართველოს ხელისუფლებისა და პრეზიდენტის მიმართ. დღეს აფხაზეთის ხელისუფლება უკვე აღარ აკეთებს ასე უკიდურესად ემოციურ შეფასებებს. სავარაუდოა, რომ აფხაზებს საქართველოსთან გარკვეული ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენა სურთ. ძალიან მარტივი და კარგი მაგალითი იმისა, თუ რატომ უნდა სურდეთ მათ ეს: ომის დაწყების შემდეგ ფასმა პომიდორზე 300%-ით მოიმატა. რატომ? იმიტომ რომ პომიდორი აფხაზეთში საქართველოდან შედიოდა, სხვა პროდუქტებსა და ნაწარმთან ერთად.

ჩემი აზრით, რეინტეგრაციის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ ეკონომიკური კავშირებისა და ნდობის აღდგენით. თუმცა ნდობის აღდგენა თვითმიზანი არ შეიძლება გახდეს, მას საფუძველს რაიმე კონკრეტული უნდა უმაგრებდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებმა ერთად უნდა შექმნან რაღაც. სხვა მხრივ, ურთიერთობა ისევ კონფერენციებითა და მხოლოდ ლაპარაკით შემოიფარგლება. ასე რომ, სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების აღდგენა ნამდვილად იმპერატიულია.

9 აპრილი და ოპ
საპროტესტო აქ

ფოტო: ლევან პაჭარიშვილი

„გაზაფხულის მოვლენებმა აჩვენა, რომ ოპოზიციის ხისტი და ხელისუფლების თანმიმდევრული ტაქტიკების ჭიდილში ხელისუფლების ტაქტიკამ მოიპოვა უპირატესობა“.

არასაპარლამენტო ოპოზიცია პროტესტის ახალ ტალღას იწყებს და აქციების დაწყების თარიღად 9 აპრილს აცხადებს. ოპოზიცია ერთადერთ მოთხოვნას აყენებს: „გადადგეს მიხეილ სააკაშვილი და დაინიშნოს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები“. ნებისმიერი სხვა პოტენციური ცვლილება, რაც არსებულ ხელისუფლებას დაასუსტებდა, არალეგიტიმურ მოთხოვნად მიიჩნევა. ოპოზიცია თბილისში არსებულ რადიკალურ პროტესტს ესთეტიკურადაც აფორმებს – ქმნის ქვეყნის, როგორც „საკნის“ სიმბოლურ იმიჯს. პარლამენტის შენობა რუსთაველის გამზირზე და პრეზიდენტის სასახლის მიმდებარე ტე-

ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲪᲘᲔᲑᲘ

აპრილის საპროტესტო აქცია, თბილისი 2009

რიტორია რამდენიმე თვით სახელდახელოდ აგებული საკნების აღყაში ექცევა.

ხელისუფლება ცდილობს, არ გაიმეოროს 2007 წლის 7 ნოემბრის შეცდომები და არ აღკვეთოს აქციები ძალადობრივი მეთოდების გამოყენებით. ის სხვა ტაქტიკას ირჩევს: ჯერ ერთი, ცდილობს, თავად იყოს თავისთავად პოზიტიური ცვლილებების ინიციატორი; მეორეც, ხელისუფლება უარს ამბობს ძალისმიერი მეთოდების ტოტალურ და აშკარა გამოყენებაზე, მაგრამ მიმართავს ძალის ფრაგმენტულ, ფარულ გამოყენებას. ამის მაგალითია რამდენიმე „ღამეული“ აწიოკება, ასევე, აქციების აქტიურ მონაწილეებზე უცნობი პირების თავდასხმის შემთხვევები.

აქციის მონაწილეებს ხელისუფლება ღიად მხოლოდ 6 მაისს დაუპირისპირდა, როდესაც თბილისის პოლიციის სამმართველოსთან შეკრებილ მომიტინგეებს, რომელთა ნაწილიც პოლიციის შენობაში შეჭრას ცდილობდა, კასეტური ტყვიები დაუშინა. შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავიდან უარყო არალეტალური ტყვიების გამოყენება, თუმცა მოგვიანებით სამინისტროს წარმომადგენელმა აღიარა, რომ FN 303 ტიპის ტყვიების სასროლი იარაღი პოლიციამ მართლაც გამოიყენა.

საპროტესტო აქციების საპასუხოდ, ხელისუფლება რამდენჯერმე გამოდის მნიშვნელოვანი შესაძლო ცვლილებების ინიციატორად. მათ შორისაა ცვლილებები საარჩევნო კანონმდებლობასა და საარჩევნო ადმინისტრაციაში, კონსტიტუციური ცვლილებები პრეზიდენტის ძალაუფლების შესამცირებლად და პარლამენტის უფლებამოსილების გასაზრდელად, თბილისის მერის პირდაპირი არჩევნები და სხვა.

საპროტესტო აქციები ივნისის შუა რიცხვებიდან თანდათანობით დასრულდა. ოპოზიციის ლიდერთა ნაწილი ხელისუფლებასთან დიალოგს დათანხმდა. მოგვიანებით, პრეზიდენტი სააკაშვილი გაზაფხულის აქციებზე და მათ ორგანიზატორებზე ასეთ კომენტარს გააკეთებს: „არაფერი მაგათ არ გამოუვიდათ ბოლო თვეებში და არ გამოუვათ, აწი მით უმეტეს. ისინი ვერასოდეს ვერ იქნებიან უმრავლესობაში, მე ამაში ვარ დარწმუნებული“.

კომენტარი

ᲘᲐᲒᲝ ᲙᲐᲭᲙᲐᲭᲘᲨᲕᲘᲚᲘ

სოციოლოგი

საკნები პარლამენტთან, თბილისი 2009

ფოტო: ლევან სურგულაძე

„2009 წლის პირველი თვეებიდან დაიწყო საზოგადოების კრიტიკული რეფლექსია წაგებული ომის შედეგებზე. ეს ნაკადი გაძლიერდა და 2009 წლის გაზაფხულზე თბილისელთა უმრავლესობა (59%) სააკაშვილის მოღვაწეობის უარყოფით შეფასებაზე კონცენტრირდება. მაისისთვის მმართველი პარტიის რეიტინგი თბილისში 11%-მდე ჩამოდის. ცხადია, საზოგადოებაში არსებული ამგვარი განწყობებით ისარგებლა არასაპარლამენტო ოპოზიციამ და მასობრივი საპროტესტო გამოსვლების ორგანიზება დაიწყო. თუმცა, საპროტესტო მარათონი რაიმე ხელშესახები ინსტიტუციური ცვლილების გარეშე დასრულდა.

გაზაფხულის მოვლენებმა აჩვენა, რომ ოპოზიციის ხისტი და ხელისუფლების თანმიმდევრული (კარგად მოფიქრებული) ტაქტიკების ჭიდილში ხელისუფლების ტაქტიკამ მოიპოვა უპირატესობა. თუ შევაჯამებთ იმ ფაქტორებს, რამაც ეს უპირატესობა უზრუნველყო, შეიძლება ისინი ასე ჩამოყალიბდეს:

1. სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნა ლეგიტიმური, ანუ საზოგადოების მიერ გაზიარებული აღმოჩნდა ქ. თბილისის მასშტაბით და ის არ გახდა ამავე დროს „რეგიონული“, ანუ საერთო სახალხო (ნაციონალური) მოთხოვნა. ოპოზიციამ ვერ შეძლო თუნდაც ერთი რომელიმე რეგიონის თბილისის დარად გააქტიურება;

2. სააკაშვილის რეჟიმის დემორალიზაცია არ მომხდარა ისეთი უმნიშვნელოვანესი ძალაუფლებითი სტრუქტურების მასშტაბით, როგორიცაა სამართალდამცველი ორგანოები. პირიქით, ხელისუფლებამ მოახერხა, რომ სამართალდამცველი სტრუქტურები თავისი (და არა კანონის) უზენაესობის დამცველად ექცია (გავიხსენოთ „მიშა, მიშას“ შეძახილები პოლიციის მხრიდან 6 მაისს, გირგვლიანის შემთხვევა და სხვ.);

3. არასაპარლამენტო ოპოზიციამ საპროტესტოდ განწყობილ ამომრჩეველს ვერ შესთავაზა ალტერნატივა – რაზე „დამაგრდება“ პროტესტი მაშინ, თუ სააკაშვილი არ წავიდა? ფაქტია, რომ ოპოზიციამ თავად დაწვა უკან დასაბრუნებელი ხიდები. ის სააკაშვილის გადადგომის უალტერნატივობამ „გაჭედა“.

შედეგი კი ისაა, რომ, როგორც ბოლოდროინდელი გამოკითხვები აჩვენებს, ხელისუფლებამ შეძლო ულრმესი საგაზაფხულო კრიზისიდან გამოსვლა და მისი პოლიტიკური „წონა“ აგვიტოს ომის დროინდელ ნიშნულს დაუბრუნდა. პარალელურად, არასაპარლამენტო ოპოზიციას შეუმცირდა მხარდამჭერები – საპროტესტოდ განწყობილი მოსახლეობის არცთუ უმნიშვნელო ნაწილმა არჩია, რომ თავისი პროტესტის სარეალიზაციოდ არ აირჩიოს რომელიმე კონკრეტული ოპოზიციური ძალის მიმართ მხარდაჭერა“.

26 მაისი – ოპოზიციისა და მისი მხარდამჭერების შეკრება ეროვნულ სტადიონზე

ფოტო: მარია ქურციკაძისა

ოპოზიციისა და მისი მხარდამჭერების შეკრება ეროვნულ სტადიონზე , თბილისი, 26 მაისი 2009

თითქმის ორთვიანი საპროტესტო აქციების შემდეგ გაერთიანებულმა ოპოზიციამ 9 აპრილის შემდეგ პირველად შეძლო მხარდამჭერების შეკრება და ხელისუფლებისთვის რეალური ძალის დემონსტრირება. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ოპოზიციის ორგანიზებით, თბილისის ეროვნულ სტადიონზე 60 000-მდე საქართველოს მოქალაქე შეიკრიბა.

მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიციის მხარდამჭერებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ ეს აქცია მათ რეალური ცვლილებების საშულებას მისცემდა, 26 მაისის შეკრება ხელისუფლებისთვის უმტკივნეულოდ დასრულდა.

იმ დღეს ოპოზიციისა და მისი მხარდამჭერების განმუხტვაში დიდი წვლილი საქართველოს პატრიარქს მიუძღვის.

„ჩვენ არ გვყავს ხელისუფლება, ჩვენ არ გვყავს მთავრობა, მაგრამ ჩვენ გვყავს სულიერი მამა, უწმინდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, დავიძრათ სამების საკათედრო ტაძრისკენ და უწმინდესმა და უნეტარესმა ... მოგვმართოს, რა უნდა გავაკეთოთ ამის მერე“, – განუცხადა სტადიონზე შეკრებილ მომხრეებს ოპოზიციური მოძრაობის არაოფიციალურმა ლიდერმა, მომღერალმა გია გაჩეჩილაძემ და ხალხს საკათედრო ტაძრისკენ გაუძღვა.

პატრიარქმა პრეზიდენტის გადაყენების იდეა დაგმო და სამებაში მისულ ხალხს „ერთმანეთის მოსმენისკენ“ მოუწოდა. ოპოზიციის ლიდერების ნაწილმა განაცხადა, რომ პატრიარქს ამ ნაბიჯის გადადგომა ხელისუფლებამ აიძულა.

კომენტარი

ლევან გაჩეჩილაძე

გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერი, „დაიცავი საქართველოს“ დამფუძნებელი

ეროვნული სტადიონი, თბილისი, 26 მაისი 2009

„26 მაისი ჩემ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი დღე იყო – ემოციური თვალსაზრისით, საქართველოს გადარჩენის თვალსაზრისით, ხალხის ერთობის თვალსაზრისით, გამოფხიზლების თვალსაზრისით. გულწრფელად მეგონა, რომ ეს იქნებოდა ჩვენი მშვიდობიანი აქციების კარგი დასასრული, თუმცა ასე არ გამოვიდა.

მიზანს ბევრი ფაქტორის გამო ვერ მივაღწიეთ. ჩვენ არ ვიყავით ცენტრალიზებულები ისე, როგორც საჭირო იყო. არ გვქონდა შესაბამისი ფინანსური რესურსი – ფულს ველოდით, მაგრამ რეპრესიული აპარატის გამო ვერ მოხდა მისი მიღება. ალბათ ზედმიწევნით ლიბერალებიც ვიყავით.

ამ დღეს განწყობა იყო ისეთი, რომ რაღაც დიდი, კონკრეტული შედეგებისთვის უნდა მიგვეღწია, ისეთი შედეგებისთვის, რომელიც საბოლოო ჯამში დაასრულებდა სააკაშვილის რეჟიმს. მაშინ ეს არ გამოგვივიდა. მაგრამ კარგია ის, რომ ეს გამოცდილება გვაქვს და ამ გამოცდილებას მომავალ ბრძოლებში გამოვიყენებთ.

მნიშვნელობა იმასაც ჰქონდა, რომ ეკლესიის გავლით გზა ჩვენ უკვე გავიარეთ და მომავალში აღარავინ იტყვის, რომ ეს გზა კიდევ გასავლელია. ეს გზა ამოვწურეთ და შემდგომი ხალხის თავშეყრა უკვე სხვა ფორმით უნდა დამთავრდეს“.

15 ივნისი – დარბევა პოლიციის მთავარ სამმართველოსთან

თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან სამართალდამცავებმა, მათ შორის ნიღბიანმა და სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმულმა, ხელკეტებით დაშალეს შენობის წინ გამართული საპროტესტო აქცია.

ოპოზიციის აქტივისტებთან ერთად პოლიციამ სცემა, დააკავა და კანონის დარღვევით გაჩხრიკა ომბუდსმენის წარმომადგენელი და ჟურნალისტები. ჟურნალისტებს წაართვეს კამერები, კასეტები და წაუშალეს ფოტო და ვიდეომასალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, „ოპოზიციის წარმომადგენლებმა ბლოკირება გაუკეთეს პოლიციის მთავარ შესასვლელს და გადაკეტეს სამანქანო გზა. პოლიცია შეეცადა შესასვლელი და სამანქანო გზის გათავისუფლებას, მომიტინგეები არ დაემორჩილნენ პოლიციის თანამშრომლებს და გაუწიეს ფიზიკური წინააღმდეგობა“. თუმცა, თვითმხილველების, მათ შორის „როიტერის“ და სხვა მედია ორგანიზაციების წარმომადგენლების განცხადებით, მომიტინგეებს გზა არ ჩაუკეტიათ და მთავარი სამმართველოს შესასვლელის წინ ტროტუარის გასწვრივ იყვნენ ჩამწკრივებულები.

15 ივნისის დარბევა სახალხო დამცველის ანგარიშშიც მოხვდა. „პოლიციის მიერ ძალის გადამეტება სისტემურ ხასიათს იღებს“, – განაცხადა ტუღუშმა პარალამენტში ანგარიშის წარდგენისას. მისი შეფასებით, პოლიციამ არაპროპორციული ძალა გამოიყენა და აქციის დარბევა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაიწყო.

> „დაახლოებით 5 ფორმიანი მირტყამდა წიხლებს და ცდილობდნენ კამერა წაერთმიათ. ამ დროს იქვე იდგა თბილისის საპატრულოს უფროსი გრიგალაშვილი“.

კომენტარი

გიორგი კობერიძე
ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტი

„ვიდექით სამმართველოს მთავარ შესასვლელთან, აქციის მონაწილეები წერილს კითხულობდნენ და ჩვენ ამას ვიღებდით. კითხვა დამთავრებულიც არ ჰქონდათ, რომ ატყდა ხმაური. გამოვარდნენ პოლიციელები და დაიწყო ცემა-ტყეპა. ჩვენ აღმოვჩნდით შუაში, მე და ჩემს ოპერატორს ხელკეტები მოგვხვდა. შემდეგ კამერასაც მოხვდა და გადაღება შეწყვიტა. ცოტა ხნით გამოვეცალეთ ჩხუბს, კამერა უნდა შეგვემოწმებინა, თან ვიფიქრეთ, რომ კასეტას შევცვლიდით და გადავარჩენდით. მაგრამ კასეტის ამოღება ველარ მოვასწარი. ფორმიანები მოვიდნენ და კამერა ძალით წაგვართვეს. მოგვიანებით უკან კი დაგვიბრუნეს, მაგრამ მასალა მთლიანად წაშლილი იყო. კამერები იმ დღეს ყველას წაართვეს.

კომენტარი

შოთა კაპანაძე
ტელეკომპანია „მაესტროს“ ოპერატორი

„აქცია დაარბიეს და ჩვენმა ჯგუფმა დარეკა, – კამერა წაგვართვეს და ოპერატორს სცემესო. ახალი ჯგუფი იყო საჭირო. როდესაც მივედით, ვნახეთ, რომ ნაცემი იყო ხალხი, ჟურნალისტები, ყველასთვის კამერები ჰქონდათ წართმეული. გვინდოდა, დაზარალებულები ჩაგვეწერა და ვცდილობდი, მომეძებნა ჩემი თანამშრომელი, რომელიც ნაცემი იყო. ამ დროს დაგვინახეს, რომ კამერა გვქონდა და გამოგვეკიდნენ. კამერა ჩართული მქონდა და ვიღებდი, როგორ მომდევდნენ. ვერ დაგვიჭირეს, გავექეცით, კასეტა გამოვცვალეთ და ისევ ჩართული კამერით დავბრუნდი. ისევ გამოგვეკიდნენ, ვიღაც პერანგზე ჩამეჭიდა და მომხვდა სახეში მუშტი. დავეცი, დაახლოებით 5 ფორმიანი მირტყამდა წიხლებს და ცდილობდნენ კამერა წაერთმიათ. ამ დროს იქვე იდგა თბილისის საპატრულოს უფროსი გრიგალაშვილი. მერე სამმართველოს ეზოდან ვიღაც გამოვიდა, ფორმა არ ეცვა, დაიძახა, – მარტო კამერა წაართვით, არ სცემოთო, – და შემეშვნენ, კამერა კი წამართვეს. დაიჭირეს ჩემი ჟურნალისტი ანა ბროლაძე, კასეტები წაართვეს, დაუზიანეს მიკროფონის მიმღები და ისიც წაართვეს. დღის ბოლოს კი დაგვიბრუნეს კამერა, მაგრამ გადამცემი აღარ ჰქონდა და მასალაც, რა თქმა უნდა, წაშლილი იყო.

ფოტო: (ირაკლი გელდაძე)

მომიტინგეთა დარბევა პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, 15 ივნისი, თბილისი 2009

ფოტო: (ირაკლი) გელდაძე

მომიტინგეები პოლიციის მთავარ სამმართველოსთან, 15 ივნისი, თბილისი 2009

12 ივლისი – პრეზიდენტის სასახლის პრეზენტაცია

ფოტო (რაკურსი) გელენიძე

პრეზიდენტის სასახლე, თბილისი 2009

ავლაბარში აშენებული სასახლე ხელისუფლებისთვის ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთი სიმბოლო გახდა. „მე მინდა გვესმოდეს, რომ ეს არის პირველი, 2000 წლის განმავლობაში დიდი სახელისუფლებო დაწესებულება, რომელიც ააშენა დამოუკიდებელმა საქართველომ. ჩვენ არ გვქონია არასდროს, ყველაზე დიდ ეპოქებშიც კი, კაპიტალური სახელმწიფო დაწესებულებები“, – თქვა პრეზიდენტმა სააკაშვილმა.

თუმცა, პრეზიდენტის სასახლე კრიტიკულად განწყობილი საზოგადოებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის გადახარჯვის სიმბოლო გახდა. რამდენიმე ოპოზიციური პარტიის გათვლებით, მშენებლობა 800 მილიონი ლარი დაჯდა. სწორედ ამის საპასუხოდ ახლად დასრულებული სასახლის დათვალიერებისას სპეციალურად ამ მიზნისთვის რეგიონიდან ჩამოსულ სტუდენტებს პრეზიდენტმა განუმარტა, რომ სასახლის მშენებლობისთვის „ბოლო 5 წლის განმავლობაში გაწეული სახელმწიფო ხარჯების 0,18-1,17%-ია“. სააკაშვილის გათვლების მიხედვით, სასახლის მშენებლობა 13 მილიონი ლარი დაჯდა, ექსპერტების გათვლებით კი – 50-60 მილიონი ლარი.

5-სართულიანი, 4500 კვადრატული მეტრის ფართობის რეზიდენცია ოფიციალურად გაიხსნა სპეციალური ცერემონიით, სადაც 1 600-მდე სტუმარი იყო მიწვეული, მათ შორის სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, საქართველოში აკრედიტებული ელჩები, პარლამენტარები, მთავრობის წევრები და კულტურის მოღვაწეები.

30 სექტემბერი – გამოქვეყნდა ტალიავინის საგამოძიებო კომისიის დასკვნა

30 სექტემბერი – ვინ დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომი? მიუხედავად იმისა, რომ ამ კითხვაზე კონფლიქტის ყველა მონაწილეს მისთვის სასარგებლო პასუხი ომის პირველი დღიდანვე ჰქონდა, საქართველო და რუსეთი საერთაშორისო საზოგადოებასთან ერთად მოუთმენლად ელოდა ევროკავშირის ეგიდით შექმნილი საგამოძიებო კომისიის დასკვნას. შვეიცარიელი დიპლომატის, ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით ფაქტების მოძიების მისია კონფლიქტის მონაწილე ქვეყნებსა და რეგიონებში რამდენიმე თვის განმავლობაში რამდენჯერმე ჩავიდა. საბოლოო დასკვნა 30 სექტემბერს გამოქვეყნდა, მაგრამ დოკუმენტმა ვერ შეძლო არსებული დიპლომატიური და საინფორმაციო ომის რიტორიკის შეცვლა. დასკვნაში არ იყო ნათქვამი არაფერი კონკრეტული მთავარ კითხვაზე, რომელზე პასუხსაც ყველა ელოდა.

კომენტარი

ოლესია ვართანიანი
ჟურნალისტი

ტალიავინის კომისიის დასკვნამ, რომელსაც მსოფლიოს პოლიტიკური სპექტრი თითქმის ერთი წლის განმავლობაში ელოდებოდა, არანაირად არ შეცვალა ევროპისა და აშშ-ს პოლიტიკა აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დამოკიდებულებაში. მის შესახებ აქამდე არ გაუკეთებია განცხადებები აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტს, მხოლოდ კომენტარებით დაკმაყოფილდნენ ევროპის მოწინავე პოლიტიკური ლიდერები.

საქმე ისაა, რომ დასკვნაზე მომუშავე ექსპერტებმა ვერ შეძლეს რაიმე არსებითად ახალი ფაქტის დადგენა ერთ-ერთ საკვანძო საკითხთან დაკავშირებით, რისთვისაც პრინციპში შეიქმნა კიდეც ეს კომისია – ვინ და რატომ დაიწყო აგვისტოს ომი. კომისიამ წარმოადგინა განსხვავებული შეხედულებები, რთული იურიდიული განმარტებები, თუმცა – საბოლოო დასკვნების გარეშე.

ზოგიერთი ანალიტიკოსი კერძო საუბრებისას ამბობს, რომ ასეთი რეზულტატი ძირითადად ქართული სამინისტროების იმ სპეციალისტთა ჯგუფის დამსახურებაა, რომლებმაც მოახერხეს, წარმოედგინათ იმ მოვლენების დაწვრილებითი აღწერა, რაც ბოლო წლების მანძილზე ომამდე

19 დეკემბერი – ქუთაისში „დიდების მემორიალის“ აფეთქება

„დიდების მემორიალი“, ქუთაისი

ქუთაისში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალის აფეთქებას 2 ადამიანის – მათ შორის 11 წლის ბავშვის სიცოცხლე ემსხვერპლა.

აფეთქების მოსაწყობად, ქუთაისის მერიის მიერ დაქირავებული კომპანიის „საქფეთქმრეწვის“ თანამშრომლების თქმით, უსაფრთხოების ზომები მოსამზადებელი დროის სიმცირის გამო სრულად ვერ დაიცვეს. თავდაპირველად მათ აფეთქება 21 დეკემბრისთვის დაუკვეთეს, შემდეგ კი მოულოდნელად მუნიციპალიტეტიდან დაურეკეს და დემონტაჟის დასრულება 19 დეკემბრისთვის უბრძანეს. არაოფიციალური ინფორმაციით, მემორიალის აფეთქება მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღეს უნდა მომხდარიყო, თარიღი კი მას შემდეგ შეიცვალა, რაც მემორიალის დანგრევის გეგმა ქუთაისის მოსახლეობის ნაწილმა და ოპოზიციურმა პარტიებმა გააპროტესტეს.

მომხდარი ტრაგედიის გამო, მხოლოდ ამფეთქებელი კომპანიის 3 თანამშრომელი დააკავეს, პრეზიდენტის ბრძანებით კი თანამდებობა დატოვა იმერეთის გუბერნატორმა. არავინ დასჯილა ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან. არ დამდგარა არც პოლიციის რომელიმე თანამშრომლის პასუხისმგებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის პერიმეტრიდან გაყვანა სწორედ საპატრულო პოლიციას ევალებოდა.

მთავრობის მიერ ძეგლის აღების აუცილებლობა იმით იყო ახსნილი, რომ ამ ადგილას საქართველოს პარლამენტის მშენებლობა იწყება.

მემორიალის აფეთქების შესახებ გადაწყვეტილება რომ ნაჩქარევად იყო მიღებული, ერთი დღით ადრე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული განცხადებიდანაც ჩანს. „მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ საქართველოში პატივისცემითა და მოწიწებით ეპყრობიან მეორე მსოფლიო ომში მებრძოლთა ხსოვნას და საქართველოს სახელმწიფო და საზოგადოება ზრუნავს ძეგლებსა და მემორიალებზე. რაც შეეხება ქ.ქუთაისში განთავსებულ მებრძოლთა მემორიალს, გვინდა აღვნიშნოთ, რომ ძეგლი ძლიერ დაზარალდა 90-იან წლებში, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც საქართველოში მიმდინარეობდა რუსეთის მიერ ინსპირირებული მოვლენები. ამის შედეგად აღნიშნული მემორიალი საჭიროებს შესაბამისი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას“, – ნათქვამია განცხადებაში.

კომენტარი

ზაალ ანდრონიკაშვილი
ლიტერატურათმცოდნე, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

„დიდების მემორიალის“ დანგრევის მოტივი თუ მართლაც პარლამენტის შენობისთვის ადგილის გათავისუფლება იყო, ის კრიტიკას ვერ უძლებს. თავი რომ დავანებოთ ამ იდეის აბსურდულობას, ქუთაისში ერთი შენობის ასაშენებელი ადგილი „დიდების მემორიალის“ დაუნგრევლადაც საკმარისად არის.

მემორიალის დანგრევის მეორე მოტივზე ამერიკელი იურისტი რობერტ ამსტერდამი საუბრობს: საქართველოს მთავრობამ „არა მარტო დემონტაჟი გაუკეთა (მემორიალს -ზ.ა.) პარლამენტის ახალი შენობის ასაშენებლად, არამედ ის სამაგალითოდ ააფეთქა [...]. ცხადია, ეს იყო რუსეთის გასაღიზიანებლად გადადგმული ნაბიჯი, რომლის

და კონფლიქტის დაწყების დღეს – 7 აგვისტოს ხდებოდა. ამ ინფორმაციის საშუალებით შესაძლებელი გახდა ეჭვქვეშ დამდგარიყო მანამდე გავრცელებული ვერსია, თითქოს ომი საქართველომ დაიწყო, რუსეთი კი იძულებული იყო, საკუთარი სამშვიდობოები და სამხრეთი ოსეთის მოსახლეობა დაეცვა.

მთლიანობაში ამ დასკვნას განიხილავენ სერიოზულ დარტყმად რუსეთზე, რომელიც მხილებულია სამხრეთი ოსეთის ქართულ სოფლებში მოწყობილ ეთნოწმენდასა და აფხაზეთში კოდორის გაუმართლებელ დაპყრობაში. რუსეთი ამხილეს ასევე სიცრუეში, როდესაც ის ოსი ხალხის გენოციდზე ლაპარაკობდა, და დაიგმო მისი თითოეული ნაბიჯი გაუმართლებლად მასშტაბური ძალის გამოყენებისთვის.

ფრთხილი, დიპლომატიური ფორმით დაწერილი ეს მოხსენება, ყოველგვარი კონკრეტული დასკვნის გარეშე, მხოლოდ პროპაგანდის საგნად იქცა სამთავრობო პრესისთვის რუსეთშიც და საქართველოშიც. თითოეულმა მხარემ ამ ანგარიშიდან მისთვის სასარგებლო თეზისები ამოკრიბა. ეს ყველაფერი თვეზე მეტ ხანს არ გაგრძელებულა, ეს ანგარიში მეტს არც იმსახურებდა.

„ექსპერტებმა ვერ შეძლეს დადგენა – ვინ და რატომ დაიწყო აგვისტოს ომი“.

ფოტო: (ოსტატი: ბელინა ბეგიშვილი)
რუსი სამხედროები, გორი 2008

განრისხებული რეაქციაც მოსალოდნელი იყო“.

ორივე შემთხვევაში, მემორიალის აფეთქება მისი ინიციატორების სრულ უგნურებაზე მეტყველებს. რუსეთის „ჯინაზე“ ომში დაღუპული ქართველების ხსოვნის შეურაცხყოფის ასახსნელად კი უგუნურობა ალბათ ყველაზე რბილი შეფასებაცაა.

თუმცა არის მესამე მიზეზიც: ბოლო დროს საქართველოს მთავრობის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციები საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევის და საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის ინიციატივით გამოვიდნენ.

თავისთავად საბჭოთა მემკვიდრეობის შეფასება და ამ მემკვიდრეობის დაძლევა აუცილებელია. პრობლემა ისაა, რომ არც ნაციონალური მოძრაობის think tank-ებს, არც საქართველოს მთავრობას არც გააზრებული, არც ჩამოყალიბებული არ აქვს, რა არის საბჭოთა მემკვიდრეობა და როგორ შეიძლება მისი დაძლევა. სწორედ ეს გაუაზრებლობა ხდება არა მარტო უგუნურობის, არამედ დანაშაულის წყაროც. რატომღაც მიჩნეულია, რომ საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევა საბჭოთა სიმბოლოების განადგურებას ნიშნავს. ეს იგივეა, ექიმი ჭრილობას კოსმეტიკით რომ მკურნალობდეს.

ვისაც II მსოფლიო ომი საბჭოთა კავშირის და გერმანიის ომი ჰგონია, ზუსტად ისევე ფიქრობს, როგორც პუტინისეული პროპაგანდა. საბჭოთა საქართველოს ისტორიაში საამაყო ბევრი არაფერი ყოფილა. მაგრამ ის, რომ ქართველები ლამის მთელ მსოფლიოსთან ერთად ამ ბოროტების წინააღმდეგ იბრძოდნენ და მის დამარცხებაში თავისი წვლილიც შეიტანეს, დიახაც საამაყოა.

გადაწყვეტილება „დიდების მემორიალის“ აფეთქების შესახებ ქუთაისის საკრებულოს არ მიუღია. გაურკვეველია, რა კანონიერ ჩარჩოში იყო მოქცეული „დიდების მემორიალის“ დემონტაჟი.

საქართველოს მთავრობას მოსახლეობისათვის საკუთარი გადაწყვეტილებების დასაბუთების პრობლემა აქვს, და რადგანაც მთავრობის პოზიცია არც ამ შემთხვევაში ყოფილა არგუმენტირებული, მისი საჯაროდ გამოტანა ძეგლის აფეთქების გადაწყვეტილებას ან გადაავადებდა ან საერთოდ შეაჩერებდა. მთავრობამ თავისი გადაწყვეტილების „პარტიზანულად“ განხორციელება გადაწყვიტა – მემორიალი დაგეგმილზე ადრე ააფეთქეს. ამ „პარტიზანულობამ“ კი მთავრობის უგუნურობა დანაშაულად აქცია: აფეთქებას ორი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

თუკი მთავრობას სურდა, საბჭოთა მემკვიდრეობის დაძლევაში თავისი წვლილი შეეტანა, ამის საპირისპირო გამოუვიდა. მოსახლეობის აზრის იგნორირება, გადაწყვეტილებების საზოგადოებრივი აზრის გაუთვალისწინებლად მიღება და მერე ამ გადაწყვეტილებების „პარტიზანულად“ განხორციელება სწორედაც რომ ის არის, რაც საბჭოთა კავშირმა საქართველოს დღევანდელ მთავრობას მემკვიდრეობად დაუტოვა.

„მთავრობამ თავისი გადაწყვეტილება „პარტიზანულად“ განახორციელა. ამან კი უგუნურობა დანაშაულად აქცია“.

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები აფეთქებულ „დიდების მემორიალთან“, ქუთაისი 2009

ფოტო: ეთერ პაპიაშვილი



WWW.LIBERALI.GE



ფოტო: თემურ ბარიბაშვილი

ადამიანის უფლებები და სამართალი

უპატრონო ეკლესიები

საქართველოს საპატრიარქოსა და სომხური სამოციქულო ეკლესიის ექვსი სადავო ტაძრიდან ერთ-ერთი უპატრონობის გამო ჩამოინგრა. საქართველოს ხელისუფლებას არ ეყო ნება, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი გადაერჩინა.

ანიტა თვაური

მოღნისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნანგრევები, თბილისი, ახოსპირელის ქუჩა, ნოემბერი 2009

19 ნოემბრის დილის 4 საათზე ახოსპირელის ქუჩის მაცხოვრებლები ნგრევის ხმამ გააღვიძა. „ისეთი ხმით იზრიალა, გვეგონა, მიწისძვრა იყო“, – იხსენებს იქვე, მეზობლად მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქე. მოღნისის წმ. გიორგის ჯვარგუმბათოვანი ტიპის ტაძრის ნგრევა გუმბათის ჩამოქცევით დაიწყო, რასაც ორი კედლის ჩამოშლა მოჰყვა. ნგრევამ ორი სახლის სახურავი, ორი მეზობლის წყალკანალიზაციის ქსელი და ავტომობილი დააზიანა. ძველი თბილისის გამგეობამ მეორე დილასვე დაიწყო კედლების იმ ქსოვილის მოშლა, რომელიც საფრთხეს უქმნიდა მოსახლეობას. როგორც ადგილობრივები იხსენებენ, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მათ გამოეხმაურნენ. მჭიდრო განსახლების გამო, ეკლესიის სიძველე მეზობლად მცხოვრებ ოჯახებს მუდმივი საფრთხის ქვეშ აყენებდა. მეზობლები აგროვებდნენ ხელმოწერებს და განცხადებებით აკითხავდნენ ხან მერიას, ხან გამგეობას და ხან კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მაგრამ მათი მოთხოვნა, რომ ტაძრისთვის მიეხედათ, უპასუხოდ რჩებოდა.

ტაძრის მძიმე მდგომარეობაზე 2007 წელს ერთ-ერთ სტატიაში ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თეიმურაზ ბერიძეც საუბრობდა, – „ერთხანს მანდ სადურგლო სახელოსნო იყო. შემდეგ კი ხალხური რეწვის მუზეუმი გადმოიტანეს. ახლა სავალალო მდგომარეობაშია, დაკეტილია და ინგრევა. ტაძრის გუმბათზე თუნუქი გადამძვრალია, კარიბჭეები ჩაკეტილი – ხე ძველი, ხოლო ამომტვრეული ადგილები დაჟანგული თუნუქით არის აჭედილი. ტაძარი სავსეა ნაშალი მასალით, სახურავზე ხეებია ამოსული, კედლები კი დამსკდარი და დანესტიანებული. როგორც ჩანს, საკურთხევლის ქვეშ გრუნტმა დაიწია, შედეგად აღმოსავლეთის მკლავი გადახსნილი და გადაქანებულია“.

მიუხედავად სავალალო მდგომარეობისა, ჩამონგრევამდე ეკლესიის რესტავრაცია არ დაწყებულა. იქვე მეზობლად მცხოვრები ადამიანები ირწმუნებიან, რომ ტაძრის ნგრევის მიზეზი მისი „უპატრონობა“ გახდა. „ამ ტაძრის ძირში ვცხოვრობ და ყოველ წუთას მქონდა მოლოდინი, რომ ეს მოხდებოდა. რა ინსტანციაშიც არ მივედი, ყველგან ერთი პასუხი ჰქონდათ, – ეროვნული შულლის გაღვივებას ვერიდებითო“, – ამბობს ერთ-ერთი მეზობელი ქეთი გარსევანიშვილი.

24 ნოემბერს, ახოსპირელის ქუჩაზე ეკლესიის ჩამონგრევა ერევანში საქართველოს საელჩოსთან 500-მდე დემონსტრანტმა გააააპროტესტა, პლაკატებით „არა უმოქმედობას!, „არა კულტურულ გენოციდს!“ „ქართველებო, თქვენც ხომ ქრისტიანები ხართ“. ისინი სომხური სამოციქულო ეკლესიისათვის იურიდიული სტატუსის მინიჭებასა და ეკლესიების დაბრუნებას ითხოვდნენ.

სომხეთის უმაღლესმა საბჭომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება და მართლმადიდებლური ეკლესია სომხური ძეგლის მოუვლელობაში დაადანაშაულა. „საქართველოს ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება არ პასუხობს მის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს, რომელიც საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან კეთილმეზობლურ დამოკიდებულებასა და ეთნიკური უმცირესობების კულტურულ-ისტორიული ძეგლების დაცვას ავალდებულებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ფოტო: თეიმურაზ ბერიძეიშვილი

■ მოღნისის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ნანგრევები, თბილისი, ახოსპირელის ქუჩა, ნოემბერი 2009

■ მიუხედავად იმისა, რომ ექვსი სადავო ეკლესია რეესტრშიც სომხურად არის მოხსენიებული, საპატრიარქო მათი წარმომავლობის შესწავლას მაინც დაჟინებით ითხოვს.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილის, ნიკოლოზ ანთიძის თქმით, უკვე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ჯერ შეისწავლის ძეგლს და შემდეგ დაიწყებს მის რესტავრაციას. 2007 წელს თბილისში კულტურული ძეგლების ხელახალი შესწავლა და აღრიცხვა დაიწყო. მოღნისის ეკლესია სხვა სომხურ ეკლესიებთან ერთად ამ კულტურული მემკვიდრეობის სიაში დარჩა.

ნიკოლოზ ანთიძის განმარტებით, ძეგლის რეაბილიტაცია იმიტომ ვერ მოხერხდა, რომ ამ უბანში ცალკეული შენობების რეაბილიტაცია უშედეგოდაა მიჩნეული. მერიის გადაწყვეტილებით, თბილისის ისტორიული უბნების საერთო რეაბილიტაცია მიწისქვეშა სანიაღვრე სისტემის მონესრიგების შემდეგ იწყება. „ჩვენი დასკვნით, მოღნისის ნგრევა ბოლო მიწისძვრის შედეგი იყო. სამწუხაროდ, უბნური რეაბილიტაცია, რომელიც 2010 წელს ამ ეკლესიასაც შეეხებოდა, ვერ მოესწრო“, – ამბობს ნიკოლოზ ანთიძე.

საქართველოში სომხური სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენლის მიხეილ ავაქიანის თქმით, სომხური ეკლესიისთვის ამ ტაძრების გადაცემის შემთხვევაში, ისინი ეკლესიებს სახელმწიფოსთან ერთად სათანადო მოვლა-პატრონობას გაუწევდნენ და მოღნისის ძეგლის შენარჩუნება მოხერხდებოდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და კულტურისა და ძეგლთა და-

ცვის სამინისტროს კომპეტენციაში არ შედის ქონების გადაცემა. ეკონომიკის სამინისტროში კი ამბობენ, რომ მსგავსი მოთხოვნით არავის მიუმართავს. ძეგლის სარეაბილიტაციო გეგმის შექმნით ის პრობლემა არ მოგვარებულა, რაც სომხურ და სხვა ტრადიციულ ეკლესიებს აქვთ საქართველოში.

1356 წელს აშენებულ „მუღნუ სურბ-გევორქის“ ეკლესიას მე-18 საუკუნეში სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა. ის XX საუკუნის 30-იან წლებამდე მოქმედი იყო, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლებამ სომხურ ეკლესიას არ ჩამოართვა. საბჭოთა პერიოდში ჩამორთმეული ეკლესიების საკითხი დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქართულმა სახელმწიფომ ვერ მოაგვარა. საეკლესიო ქონების რესტიტუციის უფლება მხოლოდ მართლმადიდებლურ ეკლესიას, კონკორდატის საფუძველზე მიეცა. დანარჩენ ტრადიციულ კონფესიებს საქართველოში რელიგიური სტატუსი არ აქვთ. კანონი მათ მხოლოდ კერძო არასამეწარმეო იურიდიულ პირად დარეგისტრირების საშუალებას აძლევს.

ტრადიციული რელიგიები ამგვარ რეგისტრაციაზე უარს აცხადებენ. „სომხური ეკლესია საქართველოში, უკვე 15 საუკუნეა, არსებობს და რომელი ეროვნული ეკლესიებ თავდაპირველად იყო ქართული და მას შემდეგ, რაც გაუქმდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, რუსმა ეგზარქოსებმა ისინი სომხურ ეკლესიას გადასცეს, მაგრამ ამას მეცნიერულად დასაბუთება სჭირდება“, – ამბობს საპატრიარქოს რელიგიებს შორის კავშირების ცენტრის ხელმძღვანელი ლელა ჯეჯელავა.

რესტავრატორი შალვა მელიქიძე მოღნისზე წინასწარ შესწავლით სამუშაოებში მონაწილეობს. ის ამბობს, – „ტაძარი თავიდან ბოლომდე სომხურია: მშენებლობის სტილით, ფორმით, ღია დიდი სარკმლებით, თუმცა საფუძვლიანად რომ შევისწავლით, მაშინ უფრო დანამდვილებით ვიტყვით“. მიუხედავად იმისა, რომ ეს ეკლესიები რეესტრშიც სომხურად არის მოხსენიებული, საპატრიარქო მათი წარმომავლობის შესწავლას მაინც ითხოვს.

2008 წელს საპატრიარქო კომისიის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც ამ ეკლესიების წარმომავლობას დაადგენდა. კომისია არ შედგა, რადგან სომხურმა სამოციქულო ეკლესიამ უარი თქვა მასში მონაწილეობაზე. მამა ნარეკი ასეთი კომისიის შექმნას ისეთივე აბსურდად მიიჩნევს, როგორც სიონისა და ქაშუეთის ეკლესიების პერმანენტულად მწვავდება ურთიერთობები სომხურ ეკლესიასა და საპატრიარქოს შორის.

2008 წლის 16 ნოემბერს ნორაშენის ეკლესიის გვერდით მდებარე მართლმადიდებლური ეკლესიის დეკანოზმა ტარიელ სიკინჭილაშვილმა თვითნებურად გადააადგილა ნორაშენის ეზოში ორი სომეხი მეცენატის საფლავის ქვები, რასაც ადგილობრივი სომხები კვლავ გამოეხმაურნენ და საფლავის ქვები უკან დააბრუნეს. ამ ფაქტს მოჰყვა სხვადასხვა ქვეყანაში ქართულ საელჩოებთან სომხური დიასპორის საპროტესტო აქციები.

სახალხო დამცველის აპარატთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელის, ბექა მინდიაშვილის აზრით, ამგვარი ქმედება საქართველოს სახელმწიფოს ულახავს სახეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ და ასევე ქართულ-სომხურ ურთიერთობებსაც უშლის ხელს. თუ იქნება სახელმწიფოს ნება, საკითხის მოგვარება სამართლებრივად შესაძლებელია. ამას მოწმობს ორი მოქმედი სომხური ეკლესიის არსებობა თბილისში, რომლებიც სომხურმა მხარემ თავისი ძალებით გაამაგრა და დღეს ღვთისმსახურებას ეწევა. „ამ ნების არარსებობა გამო-

■ ახოსპირელის ქუჩაზე ეკლესიის ჩამონგრევა ერევანში საქართველოს საელჩოსთან 500-მდე დემონსტრანტმა გააააპროტესტა, პლაკატებით „არა კულტურულ გენოციდს!“, „ქართველებო, თქვენც ხომ ქრისტიანები ხართ“.

გორ შეიძლება რეგისტრაცია გაიაროს დღეს ამ ეკლესიამ როგორც ახლად შექმნილმა ორგანიზაციამ? ეს შეურაცხმყოფელია სომხური ეკლესიისათვის“, – ამბობს სომხური სამოციქულო ეკლესიის წინამძღვარი მამა ნარეკი.

სომხური ეკლესია, სტატუსის გარდა, ექვსი ეკლესიის დაბრუნებას ითხოვს, მათგან ერთი ახალციხეშია – „სურბ-ნშანი“, ხუთი კი თბილისში – „შამხორედ სურბ-ასტვაცაცინ“ და „სურბ-მინასი“ ავლაბარში, „მუღნუ სურბ-გევორქი“ ახოსპირელის ქუჩაზე, „სურბ-ნშანი“ ვერცხლის ქუჩაზე და „ნორაშენი“ ღესელიძის ქუჩაზე.

ისინი ე.წ. „სადავო“ ეკლესიების სიას მას შემდეგ მიეკუთვნებიან, რაც საპატრიარქომ მათ ფლობაზე პრეტენზია თავად განაცხადა. „ქართველ მეცნიერებს აქვთ მოსაზრება, რომ ეს ეკლესიები ქართული წარმომავლობის დასადგენად კომისიის შექმნას.

2005 წლის საანგარიშო მოხსენებაში სახალხო დამცველმა სოზარ სუბარმა პარლამენტს რეკომენდაციით მიმართა, რომ საკითხი მოწესრიგებულიყო, მაგრამ მაშინ დეპუტატებმა არც კი მოუსმინეს ომბუდსმენს და პროტესტის ნიშნად დარბაზი დატოვეს.

საპატრიარქოსა და სომხურ ეკლესიას შორის დაპირისპირება, უკვე რამდენიმე წელია, მიმდინარეობს. 1995 წლის 15 თებერვალს, საქართველოს საპატრიარქოს გადაწყვეტილებით, ნორაშენი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების ეკლესიად აკურთხეს და მართლმადიდებლური წირვა ჩაატარეს. ეს ფაქტი ადგილობრივმა სომხურმა თემმა გააპროტესტა და საპატრიარქო იძულებული გახდა, ტაძარი დაეტოვებინა. 1995 წლიდან მოყოლებული წვეულია იმ არაჯანსაღი ურთიერთმიმართებით, რომელიც არსებობს საპატრიარქოსა და სახელმწიფოს შორის, სახელმწიფოს ეშინია საპატრიარქოსი“, – ამბობს ბექა მინდიაშვილი. მისივე თქმით, სახელმწიფო ქონების დაბრუნებას ისევე უნდა მიუდგეს, როგორც ეს მოხდა მართლმადიდებლური ეკლესიების მიმართ, ყველა იმ ეკლესიას უნდა დაუბრუნოს ქონება, რომლებსაც 30-იან წლებში ჩამოართვეს.

მოღნისის ეკლესიის სარეაბილიტაციო ჯგუფის შექმნა ჯერ კიდევ ვერ წყვეტს საერთო საკანონმდებლო დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას რელიგიური უმცირესობების მიმართ. გაურკვეველია იმ ხუთი ეკლესიის ბედიც, რომლებიც ასევე სავალალო მდგომარეობაშია და, უყურადღებობის შემთხვევაში, მათი ჩამონგრევის საფრთხეც დღითი დღე იზრდება.

ფონდ „ინკლუზივის“ დარბევა

პოლიცია ღირსებისა და პატივის წინააღმდეგ

რეფორმირებული პოლიცია ისევ აყენებს შეურაცხყოფას სრულიად უდანაშაულო ადამიანებს და ღირსების და პატივის შემლახავ ქმედებებს მიმართავს.

ნინო ბექიშვილი

ფონდ „ინკლუზივის“ ოფისში, ახვლედიანის ქუჩაზე, 15 დეკემბერს, დაახლოებით საღამოს შვიდ საათზე ხუთი შეიარაღებული პირი შეიჭრა, რომელთაც პოლიციის ფორმები არ ეცვათ. მათ განაცხადეს, რომ ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შენობა უნდა გაეჩხრიკათ. ფონდის ხელმძღვანელი პაატა საბელაშვილი ცალკე ოთახში გამოკეტეს და საქმეს, ანუ ჩხრეკას შეუდგნენ, ისე, რომ ჩხრეკის ოქმი ოფისში მყოფი არც ერთი ადამიანისთვის არ უჩვენებიათ. საღამოს რვა საათისთვის ფონდში უკვე ათზე მეტი უცხო პირი იყო, რომლებიც არც საკუთარ ვინაობას ამხელდნენ და იქ მყოფი ადამიანების მიმართ განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩეოდნენ.

ფონდში ამ დროს „ქალთა კლუბის“ წევრი გოგონები საახალწლო გამოფენისთვის ემზადებოდნენ და ბისერებისგან სამაჯურებსა და სხვა სამკაულებს აკეთებდნენ. ფონდი „ინკლუზივი“ ერთადერთი ქართული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი) ადამიანების უფლებათა დაცვაზე მუშაობს, აქვს ორენოვანი ვებგვერდი, გამოსცემს ყოველკვარტალურ ორენოვან ჟურნალ „მეს“. ფონდი 2006 წლიდან არსებობს და საერთაშორისო დონორების მიერ ფინანსდება. „ინკლუზივი“ ლგბტ ჯგუფის ადამიანებისათვის ერთადერთი უსაფრთხო სივრცეა, სადაც ღიად საუბრობენ მათთვის მნიშვნელოვან თემებზე, თუ დასჭირდათ, იღებენ ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას.

23 დეკემბერს „ინკლუზივმა“ მიმართვა გამოაქვეყნა საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური სამსახურების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლების და საქართველოს სახალხო დამცველის სახელზე, სადაც დაწვრილებითაა აღწერილი ფონდში ჩატარებული ჩხრეკის, სინამდვილეში კი ფონდის ოფისის ვანდალური დარბევის ფაქტი. ოფისში მყოფებს ჩამოართვეს მობილური ტელეფონები, არ მისცეს ახლობლებთან დაკავშირების უფლება; მათი თანდასწრების გარეშე გაჩხრიკეს ჩანთები, გამუდმებით აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ეძახდნენ გადახრილებს, ავადმყოფებს, სატანისტებს, დასცინოდნენ და აშანტაჟებდნენ. ემუქრებოდნენ, რომ გადაუღებდნენ ფოტოებს და მერე მათ მამებსა და ძმებს აჩვენებდნენ. განსაკუთრებული ცინიზმით გამოირჩეოდნენ ქალი პოლიციელები, რომლებმაც გოგონები სიცივეში, ფონდის სააბაზანოში გააშიშვლეს და ისე გაჩხრიკეს. ერთ-ერთი ქალი პოლიციელი პირჯვრისწერით ამბობდა, – „ქალის სხეული შეგვაზიზღესო“. რომელიღაც პოლიციელმა თბილისის ერთ-ერთ მაღაზიაში ნაყიდ პატარა შავი სათამაშოს ოფისში დანახვაზე ყვირილი მორთო, – „ვუდუ ვიპოვეთ, ესენი სატანისტებიც არიანო“. გაღიზიანებულმა პოლიციელებმა კედლებიდან ჩამოხიეს ჰომოფობიის წინააღმდეგ მიმართული პლაკატები – მოკლედ, მთელი ოფისი თავდაყირა დააყენეს.

„ერთ-ერთმა პირმა, რომელიც განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდა, ფონდის თანამშრომელს თავი კუდ-ის ოპერატიულ თანამშრომლად, გიორგი გეგეჭკორად წარუდგინა. თუმცა, 18 დეკემბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე იგი გამომძიებლის როლში წარდგა სასამართლოს წინაშე დავით ხიდეშელის სახელითა და გვარით. ამას გარდა, მეორე პირი (როგორც მოგვიანებით გაირკვა, პოლიციის ქვეგანყოფილების ერთ-ერთი ხელმძღვანელი), რომელიც განსაკუთრებით ბილწსიტყვაობდა, ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრა ეკა აღდგომელაშვილს, თუ ის დაუყოვნებლივ არ გაჩუმდებოდა („მოგსპობ, მიწასთან გაგასწორებ“, „გააჩუმეთ ეს ქალი, თორემ მოვკლავ“ და სხვ.). ფონდის თანამშრომლის რეპლიკაზე, რომ ისინი აჭარბებენ საკუთარ უფლებამოსილებას და პასუხს აგებენ ასეთ საქციელზე, მან უპასუხა: „მიჩივლე, ფეხები არ მომჭამო“; „მე ვარ კანონიცა და სასამართლოც“, – ნათქვამია „ინკლუზივის“ მიმართვაში.

ჩხრეკის მომსწრე გოგონები იხსენებენ:

„ეს სად მოვხვდითო, – ამბობდნენ, მერე ურეკავდნენ ვიღაცებს: ბიჭო, აქ რაღაც ტრანსგენდერების და ეგეთების დაცვის ორგანიზაცია ექსკლუზივია, ამოდი, ბიჭო“.

„ტუალეტში არ გვიშვებდნენ (დაა-



ფონდ „ინკლუზივის“ დარბეული ოფისი, დეკემბერი 2009

ხლოებით ორი საათი). მიზეზად არაფერს გვეუბნებოდნენ. რაღაცებზე საერთოდ არ გვპასუხობდნენ. როცა ერთ-ერთმა პოლიციელმა საბუთების წარდგენა მოსთხოვა და კანონებზე დაელაპარაკა, უპასუხეს, – აქ პრეზიდენტიც მე ვარ, მოსამართლეც მე ვარ, უფროსიც მე ვარ და დაეტიე შენ ადგილასო. ყველას ასე პასუხობდნენ, ვინც რაღაც ინტერესს იჩენდა“.

„სამნი ერთად გაგვჩხრიკეს, მაგრამ წესიერი ჩხრეკა არც იყო, იმიტომ რომ ტანსაცმლის ჯიბეებიც კი არ გადმოატრიალეს წესიერად. გაგვხადეს და ჩაგვაცვეს. ძალიან მალე, აი, ერთი წამით ვიყავით გახდილები. ჩემი აზრით, დამცირების მომენტი იყო უბრალოდ. გულმოდგინედ ნამდვილად არაფერი არ უნახავთ. არ უნახავთ, რომ მაგალითად, მე სვიტრზე ქვემოდან ჯიბე მაქვს შემოკერილი“.

ფონდის ჩხრეკა დაახლოებით ღამის 12-ის ნახევარზე დამთავრდა. პაატა საბელაშვილი დააკავეს. მან მართლაც დაწერა აღიარებითი ჩვენება, რომ ფონდის ოფისში აღმოჩენილი მარიხუანა მას ეკუთვნოდა. აღსანიშნავია, რომ ეს პაკეტები პოლიციელებს არ დაულუქავთ, რაც კანონის უხეში დარღვევაა. საერთაშორისო ორგანიზაციების, სახალხო დამცველისა და ადგილობრივი არასამთავრობოების ჩარევით, პაატა საბელაშვილი 24 დეკემბერს გირაოს გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს და 5 წლით პირობითი სასჯელი მიუსაჯეს.

ფონდ „ინკლუზივის“ თანამშრომლები ეკა აღდგომელაშვილი და თიკო ჯაფარიძე ჰყვებიან, რომ მათ ტელეფონებს უსმენენ და 15 დეკემბრის შემდეგ მუდმივად უთვალთვალებენ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-3 განყოფილების თანამშრომლები, რომლებიც ფონდში შეიჭრნენ, საქართველოს კონსტიტუციის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, რომლის მიხედვითაც, ყოველი ადამიანი თანასწორია. „ინკლუზივის“ ოფისში მყოფი ადამიანების ერთადერთი „დანაშაული“ მათი სექსუალური ორიენტაცია იყო. ჩხრეკისას დაირღვა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც ნებისმიერი ნიშნით დისკრიმინაციას კრძალავს. ასევე დაირღვა პოლიციის ეთიკის კოდექსიც, სადაც ნათქვამია, რომ „პოლიციელმა დაკისრებული მოვალეობები უნდა შეასრულოს სამართლიანად, მიუკერძოებლად, და უზრუნველყოს ყველა მოქალაქის კანონის წინაშე თანასწორობა განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, განათლებისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა ან სხვა სახის პირადი მდგომარეობისა“.

ფონდ „ინკლუზივის“ მიმართვას საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა და საქართველოს სახალხო დამცველის საპროტესტო განცხადებები მოჰყვა, სადაც საუბარია იმ კანონდარღვევებზე, რაც 15 დეკემბრის საღამოს მოხდა. ფონდის წარმომადგენლებს პოლიციელების წინააღმდეგ სარჩელის მომზადებაში სწორედ საია და ომბუდსმენის აპარატი დაეხმარებათ. „არსებობენ კონკრეტული პირები, რომლებიც უნდა დაისაჯონ“, – ამბობს ეკა აღდგომელაშვილი.

ფონდის თანამშრომლები ეკა აღდგომელაშვილი და თიკო ჯაფარიძე ჰყვებიან, რომ მათ ტელეფონებს უსმენენ და 15 დეკემბრის შემდეგ მუდმივად უთვალთვალებენ. „ინკლუზივის“ ოფისთან საათობით დგას მანქანები და იქ მსხდომები მზესუმზირის ჭამით ირთობდნენ თავს. „ბევრი კითხვის ნიშანი ჩნდება, – ამბობს ეკა, – მაინც ვფიქრობ, რომ ეს ფსიქოლოგიური ზეწოლაა, როცა შენობიდან გამოვდიოდით, სტვენით აფრთხილებდნენ ერთმანეთს. თუ ვინმეს თვალთვალი უნდათ, ამას ჩუმადაც გააკეთებენ“.

რატომ დააკავეს პაატა საბელაშვილი მაინცდამაინც სამსახურში და რატომ გამოიჩინეს სამართლადმაცავებმა ოფისის ჩხრეკისას ამგვარი ვანდალიზმი? ეკა აღდგომელაშვილი, რომელიც უკვე რამდენიმე წელია, ქართულ მედიაში ჰომოსექსუალობის თემას იკვლევს, ფიქრობს, რომ ამ ფაქტის ახსნა მოახლოებული არჩევნებითაც შეიძლება, რომლის წინ, როგორც წესი, ძლიერდება ჰომოფობია, რადგან იოლია საზოგადოების ნეგატიურ განწყობებზე თუ შიშებზე თამაში და ამით პოლიტიკური ქულების ჩაწერა.

იმ გარემოში, სადაც საზოგადოების ჰომოფობიური განწყობა, ერთი მხრივ, პოლიტიკოსთა და კულტურის მოღვაწეთა მხრიდანაა წახალისებული, მეორე მხრივ კი მედიისგან იკვებება, ამგვარი რამ, ერთი შეხედვით, მოულოდნელი არ არის. თუმცა, თუკი პოლიციელი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სულ მცირე, ქვეყნის კონსტიტუციას არ იცავს, იქ უკვე რთულდება რაიმე წარმატებულ რეფორმაზე საუბარი და აზრი ეკარგება გამჭვირვალე შენობებით თავმოწონებას.

ფოტო: სალომე ჯიჯეი

პრეზიდენტის პატრიოტული პროექტი

იმდენად ბევრი რამ აკავშირებს ნაციონალურ მოძრაობას და პატრიოტთა ბანაკებს, რომ ძნელია, პრეზიდენტის პროგრამაში პარტიული ინტერესები ვერ დაინახო.

თამარ ბაბუაძე

2005 წლის 1 ივლისს პრეზიდენტის ბრძანებით დაწყებული „პატრიოტთა ბანაკის“ პროექტი ძვირადღირებული წამოწყებაა. პირველ წელს 5 ბანაკის გახსნა და 15 ათასი „პატრიოტის“ აღზრდა-დასვენება ორ მილიონამდე ლარი დაჯდა, 2007 წელს – როდესაც ბანაკებს სამი ახალიც დაემატა, „პატრიოტების“ რიგები კი 30 ათასამდე გაიზარდა, ხარჯმა ბიუჯეტიდან 10 მილიონ ლარს მიაღწია. „ნაციონალები“ ხშირად სარგებლობდნენ სარეზერვო ფონდებიდანაც. 2006 წელს, ბიუჯეტიდან ბანაკებისთვის გამოყოფილი 5 მილიონი ლარის გარდა, სწორედ სარეზერვო ფონდიდან დაიხარჯა დამატებით თითქმის 400 ათასი ლარი პატრიოტთა ფორუმის ჩასატარებლად, ღონისძიებაზე „პატრიოტების“ ჩასაყვანად და კლიპის გადასაღებად.

მმართველი პარტიის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამგვარი ხარჯიანი პროექტის ყოველწლიურად დაფინანსება ისევ მოქალაქეების ინტერესებში შედის: ერთმანეთს უახლოვდებიან მოზარდები სხვადასხვა რეგიონიდან და სარგებელს ნახულობენ სოციალურად დაუცველი ოჯახებიც, რადგან „პატრიოტთა“ 70-80 პროცენტი სწორედ ასეთი ოჯახებიდან არის.

თუმცა, ნაციონალური პროგრამის სახელწოდება საზაფხულო ბანაკებს დამატებით კონტექსტს სძენს. „პატრიოტთა ბანაკები“ – ამ სათაურით დღეს მსოფლიოში არც ერთი საზაფხულო ბანაკი არ ფუნქციონირებს. არსებობს ბანაკები, სადაც მეტ-ნაკლებად მკაცრი სამხედრო წესები მოქმედებს, მაგალითად, ასეთია პოლონეთში, მაგრამ არა მსგავსი სახელწოდებითა და არა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებით.

ქართულ საზაფხულო ბანაკებში კი პატრიოტიზმი ბანაკური ცხოვრების წამყვანი ლაიტმოტივია. დილა კბილების გახეხვით, გამამხნევებელი ვარჯიშითა და სწორდით, სმენაზე ჰიმნის მოსმენით იწყება. წესია ასეთი, თუკი ჰიმნს დღის განმავლობაში კიდევ ჩართავენ – და ასე ხშირად ხდება ხოლმე – თითოეული პატრიოტი ვალდებულია, გასწორდეს და გულზე ხელდადებულმა მოისმინოს ჰიმნი. პატრიოტს აუცილებლად უნდა ეცვას სახელმწიფო სიმბოლიკით გაწყობილი უნიფორმის ერთი ნაწილი მაინც – მაისური, ჟილეტი, ან კეპი. ის ვალდებულია, ბანაკში გატარებული ათი დღიდან ერთი საქართველოს მიუძღვნას და პატრიოტულ თემაზე სპექტაკლი დადგას. მოთხოვნაა ისიც, რომ თითოეულ რაზმს პატრიოტული სახელი ერქვას და შეძახილიც პატრიოტული ჰქონდეს: რაზმი – „სამშობლო“, დევიზი – „ჩვენი ხატია სამშობლო“, შეძახილი: „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“.

ლიდერები ამბობენ, რომ პატრიოტიზმის პროპაგანდის შესახებ დირექტივა ხელმძღვანელებისგან უფრო ზოგადი ხასიათისაა. ლიდერებს ავალებენ პატრიოტიზმზე საუბარს, თემატიკას კი თვითონ არჩევენ: „სულ ამაზე ვსაუბრობთ, ნაწილობრივ პირდაპირ, ნაწილობრივ შემოვლითი გზით. მაგრამ ვერ

ფოტო სალომე ჯაში

პატრიოტთა ბანაკი ვარციხეში, 2009

„სხვა დანიშნულება“ სახელმწიფოებრივი იდენტობის გავრცელებაა. ის, რაც პატრიოტთა ბანაკებში ხდება, სიმპტომატურია და მიუთითებს იმაზე, თუ როგორი აგრესიული მეთოდებით ცდილობს ხელისუფლება სახელმწიფო იდენტობის გავრცელებას საზოგადოებაში.

იტყვი, რომ ბანაკები გვირაბია – თუ შევა არაპატრიოტი, გამოვა პატრიოტი. ჩვენ ვცდილობთ, ეროვნული გრძნობები გავაჩინოთ. დანარჩენი ოჯახიდან და სკოლიდან უნდა ისწავლოს", – აცხადებს ლიდერი გუგა ბარბაქაძე.

„ჩვენ უნდა დავიბრუნოთ ჩვენი აღთქმული მიწა. აღთქმული მიწა კი გაერთიანებული, ძლიერი საქართველოა, თავისი ძველი საზღვრებით, სადაც ქართველებს არ რცხვენიათ ქართველობის, სადაც – როგორც ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა – ქართველები პარტიზანებივით ტყეებში არ იმალებიან... ჩვენ აღთქმულ ქვეყანაში შედის ფსოუ და როკის გვირაბიც. ჩვენ უნდა დავიბრუნოთ აღთქმული მიწა, ჩვენი საქართველო და ეს მშვიდობიანად, ერთად დგომით უნდა გავაკეთოთ", – ეს სიტყვები მიხეილ სააკაშვილმა 2005 წლის სექტემბერში, პატრიოტთა ათიათასიან ფორუმზე წარმოთქვა. ასეთი ფორუმი ბანაკების ისტორიაში ორჯერ მოეწყო, ორივეჯერ სააკაშვილი იყო პატრიოტული ცეცხლის მთავარი გამღვივებელი. გარდა ამისა, პრეზიდენტი ხშირად სტუმრობდა თვითონ ბანაკებსაც და ახალგაზრდებთან არაფორმალურ შეხვედრებზეც საქართველოს დიად წარსულსა და მომავალზე საუბრობდა. ამ შეხვედრების დროს ქვეყნის მთავარი ლიდერი პათეტიკურად ახსენებდა რიგით ლიდერებს იმას, რაც პატრიოტებთან საუბრისას არ უნდა გამორჩენოდათ.

რატომ გახდა საჭირო პატრიოტიზმის ასეთი მასობრივი ქადაგების წამოწყება რევოლუციის შემდეგ? ბანაკების იდეის ავტორები და „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები აცხადებენ, რომ ამის საჭიროება საზოგადოებაში გავრცელებულმა ეროვნულმა ნიჰილიზმმა გააჩინა. 2003-ის შემდეგ საქართველოში სახელმწიფოებრიობის ახალი ათვლა დაიწყო. ეს გამორიცხავდა უმიდობას და გულისხმობდა ოპტიმიზმს მომავალი საქართველოს გამარჯვებაში. იდეის ავტორების აზრით, ახლად დაბადებულ საქართველოს ახალი, იმედიანი მოქალაქეები სჭირდებოდა, რომელთაც პატივისცემა გაუჩნდებოდათ საკუთარი ქვეყნის ჰიმნისა და სიმბოლიკის, წარსულისა და მომავლის მიმართ. სწორედ ამ ტალღაზე დაიბადა ნაციონალური ახალგაზრდული პროგრამა „პატრიოტი" და მალევე გამოცხადდა კონკურსი „პატრინიოტიც". ამ კონკურსის შესახებ გიორგი არველაძე 2005 წელს ამბობდა: „საქართველოს არმიას სჭირდება ახალი სამხედრო მარშები, საქართველოს საზოგადოებას სჭირდება ახალი პატრიოტული სიმღერები".

იმავე პერიოდში რამდენჯერმე გაიზარდა საქართველოს თავდაცვის ბიუჯეტი, დაარსდა რეზერვისტთა პროგრამა, „პატრიოტთა ბანაკების" პირველ ნაკადში კი ბავშვებს სამხედრო კონსულტანტები იარაღის დაშლა-აწყობას ასწავლიდნენ და ზოგად სამხედრო წვრთნას უტარებდნენ.

თუმცა, სამხედრო ასპექტი პატრიოტულ ბანაკებს მალევე ჩამოსცილდა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ ინიციატივას მწვავე კრიტიკა მოჰყვა. დღეს პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ ეს შეცდომა იყო, ამას თავადვე მიხვდნენ და ბანაკური განაწესიდან ამიტომაც ამოიღეს.

სამაგიეროდ, ბანაკურ პატრიოტიზმს არ მოკლებია „მიტინგური სულისკვეთება". „საქართველოს გაუმარჯოს, ჯოს-ჯოს-ჯოს!" – ეს შეძახილი ბანაკებში ყოვლად უმიზეზოდ ნებისმიერ დროს შეიძლება გაისმას. ამ შეძახილით ერთნაირადაა გამსჭვალული საქართველოსადმი მიძღვნილი თემატური დადგმები და დილის რუტინული რიტუალი.

„პირიქით, ანტიპატრიოტიზმად მიმაჩნია, როდესაც 117 ადამიანი დაიკავებს საქართველოს 117 დროშას და დარბის ბანაკში. ეს ჩემთვის დროშის შეურაცხყოფა უფროა. ფსიქოლოგიური ზეწოლაა, როცა ყველა ერთხმად ყვირის „გამარჯობა"-ს, ძალდატანებით არაფრის გაკეთება არ შეიძლება. ყველაფერი სწორხაზოვანი, პირდაპირი და მკაცრია", – აცხადებს საქართველოში სკაუტური მოძრაობის ერთ-ერთი დამფუძნებელი მზია აფრიდონიძე.

„ახალგაზრდებს უნდათ თუ არ უნდათ, მაინც გაიძახიან იმ ფრაზებსა და მოწოდებებს, რომელთაც აიძულებენ, ან უბრალოდ ჩააგონებენ. ამის მიწოდება სხვა ფორმითაც შეიძლება, თუკი ეს ყველაფერი სამოქალაქო განათლებისა და განვითარებისთვის ხდება", – დასძენს „სკაუტების" თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი თიკო ქოიავა.

ერთ-ერთი სკაუტი, 21 წლის ლალიკო ქოჩიაშვილი ლაგოდეხის ბანაკში ლიდერობდა. ის იხსენებს: „თუკი, თავისუფლად აზროვნებ, მოცემულ ჩარჩოშიც შეძლებ ბავშვებს სახალისო იდეები შესთავაზო. „საქართველოს დღეს" ლაგოდეხში სპექტაკლი ჩვენც დავდგით, მაგრამ ბავშვებს ლათინო-ამერიკული ცეკვები ვასწავლეთ, რადგან თემად ავირჩიეთ უცხო კულტურების შემოსვლა საქართველოში. კი ჰქვია ამ პროგრამას „პატრიოტი", მაგრამ როგორ გადმოსცემ და გაავრცელებ ამ იდეას, ეს შენზე, ლიდერზეა დამოკიდებული".

ლიდერთა ნაწილს კი პატრიოტიზმი მილიტარიზმის გარეშე ვერ წარმოუდგენია. მზია აფრიდონიძე, რომელიც ლიდერთა მომზადებაში მონაწილეობდა, იხსენებს: „ზოგს მენტალიტეტი ჰქონდა ისეთი, რომ ბანაკში ცალსახად ამ მიზნით მიდიოდა: მე მათ უნდა ვასწავლო მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა, უნდა გავაგებინო, როგორია გამარჯვების ჟინი, ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ... ვფიქრობ, პატრიოტები ხელიდან უშვებენ მთავარ ღერძს. მათ არ ჰყავთ კადრები, რომელიც ამ პროგრამას სწორ მიმართულებას მისცემს. ანდა შეიძლება ეს შეგნებულად არის გაკეთებული და ამ ახალგაზრდებს მართლა სხვა დანიშნულება აქვთ", – ასკვნის მზია აფრიდონიძე.

„სხვა დანიშნულება" სახელმწიფოებრივი იდენტობის გავრცელებაა. ის, რაც პატრიოტთა ბანაკებში ხდება, სიმპტომატურია და მიუთითებს იმაზე, თუ როგორი, ხშირად აგრესიული და ზედაპირული მეთოდებით ცდილობს ხელისუფლება სახელმწიფო იდენტობის გავრცელებას საზოგადოებაში. თუმცა საკითხავია, ეს არის იდენტობა სახელმწიფოსთან, თუ იდენტობა თავად პარტიასთან. პატრიოტთა ბანაკებში ნაქადაგები ერთგულება – ეს არის სახელმწიფოს მიმართ ერთგულება, თუ ერთგულება ერთი კონკრეტული პარტიის მიმართ. კავშირები „ნაციონალურ მოძრაობასთან" ბანაკებს იმდენად ბევრი და იმდენად აშკარად აქვს, რომ ბანაკების პოლიტიზირების ხარისხს ერთმნიშვნელოვნად ზრდის.

მაგალითად, თუკი რუსთავში მცხოვრებ 15-დან 23 წლამდე ახალგაზრდას „პატრიოტთა ბანაკში" უნდა წასვლა, ის რუსთავის „ნაციონალური მოძრაობის" ოფისში უნდა მივიდეს და განცხადებაც იქ დაწეროს. ეს იმიტომ, რომ ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტი – სტრუქტურა, რომელიც ბანაკებს ხელმძღვანელობს, რუსთავის „ნაციონალური მოძრაობის" ოფისშია განთავსებული. დეპარტამენტის თანამშრომლებიც ძირითადად პარტიულები არიან. პარტიულია ბანაკების ხელმძღვანელების უმრავლესობაც.

ბანაკის შესასვლელში გამოკრული აბრა იუწყება, რომ პროგრამა პრეზიდენტის დაფინანსებით ხორციელდება. „პატრიოტებს ჩვეულებრივად ვუხსნით ხოლმე, სად მოვიდნენ, რა პროგრამაა,

ვინ არის პროგრამის ხელმძღვანელი, ვინ არის ბანაკის უფროსი, საქმის კურსში რომ იყვნენ“, – აცხადებს ლიდერი გუგა ბარბაქაძე.

თუმცა, „საქმის კურსში“ ყოფნა ზოგჯერ სხვაგვარ კონტექსტს იძენს. სალომე ჯაშის ფილმში არის კადრი, რომელშიც ერთ-ერთი ლიდერი ახალგაზრდებს ეუბნება, რომ არასდროს უნდა დაივიწყონ, ვინ აფინანსებს პროგრამას და მადლობაც უნდა გადაუხადონ მას.

მადლობის გადახდის სხვადასხვაგვარი ფორმები არსებობს. გრძელია იმ პარტიული და სახელისუფლებო ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელშიც „პატრიოტებიც“ მონაწილეობენ.

როდესაც ბაზალეთის ტბაზე ხელისუფლებამ ახალი 10-კილომეტრიანი გზა გაიყვანა, „პატრიოტებმა“ ახალ გზაზე მარათონი მოაწყვეს. „პატრიოტებმა“ მონაწილეობა მიიღეს გამწვანების რამდენიმე აქციაში, კულტურის სამინისტროს, ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტისა და პარტიის აქტივისტებთან ერთად. „პატრიოტები“ ავსებდნენ რიგებს 2008 წელს სააკაშვილის მეორე ინაუგურაციისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში. „შეიძლება პატრიოტების ნაწილი დაესწრო კიდეც ინაუგურაციას, მაგრამ ისინი საგანგებოდ არავის არსაიდან არ ჩამოუყვანია“, – აცხადებს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ნადირაძე.

„ნაციონალური მოძრაობის“ ვებგვერდზე გრაფის – „საქმიანობა“ ქვეშ მოცემულია სია სათაურით: „საქართველოს 16 გამარჯვება, რომელიც ვარდების რევოლუციამ მოგვიტანა“. №13 გამარჯვებად პატრიოტთა ბანაკების გახსნაა დასახელებული. ალბათ ამიტომაც, პარტიის განრისხება დაიმსახურეს იმ „პატრიოტებმა“, რომლებიც 2007 წლის ნოემბრის ანტისახელისუფლებო აქციებს შეუერთდნენ. ამ ამბავს პატრიოტთა ბანაკის იდეის ერთ-ერთი ავტორის და ახალგაზრდულ საქმეთა დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის, ლადო ვარძელაშვილის მწვავე გამოსვლა მოჰყვა: „მე არ მინდა ვცხოვრობდე ისეთ საქართველოში, რომ ყოფილი მხედრიონელებისა და ყოფილი სახელმწიფოს დამამხობლების გვერდით იდგნენ პატრიოტები. მე მინდა განვაცხადო ცალსახად და ეს დაიმახსოვროს ყველა ახალგაზრდამ, რომ „პატრიოტები“ ეს არ არის რომელიმე კონკრეტული ორგანიზაცია, ან პოლიტიკური, ან არასამთავრობო. ეს არის საპრეზიდენტო პროგრამა, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ხელისუფლება“.

„ეს, პრაქტიკულად, „ნაციონალური მოძრაობის“ პროექტია. ბანაკების ხელმძღვანელების უმეტესობაც სახელმწიფო ორგანოებიდან და პარტიიდანაა, პრეზიდენტიც ხშირად სტუმრობს ბანაკებს, ანუ სახელმწიფო ფლობს ამხელა ბერკეტს პროპაგანდისთვის და ხშირად მიფიქრია იმაზე, რატომ არ იყენებენ ამ ყველაფერს საკუთარი პარტიის პროპაგანდისთვის. 2005 წლიდან მოყოლებული არასდროს არ ყოფილა პროპაგანდა. ელემენტარულად, ბანერიც კი არსადაა „ნაციონალური მოძრაობის“. ერთადერთი, ბანაკის შესასვლელში წერია, რომ ეს პრეზიდენტის პროგრამაა“, – აცხადებს ლიდერი გუგა ბარბაქაძე.

თუმცა, მმართველი პარტია პატრიოტთა ბანაკებს საკუთარი სტრატეგიის გასაპიარებლად ხშირად იყენებს. განმუხურისა და კოდორის ბანაკების გახსნა თავის დროზე იყო იმ პოლიტიკის ნაწილი, რომელსაც ხელისუფლება დაკარგული ტერიტორიების დასაბრუნებლად ახორციელებდა. განმუხურში ბანაკის გახსნას მაშინ გაერო-ს გენერალური მდივანიც აკრიტიკებდა. სააკაშვილი კი მის ამ შეფასებასაც საკუთარი პოლიტიკის საილუსტრაციოდ იყენებდა. 2006 წელს პატრიოტთა ფორუმზე ის ამასაც აცხადებდა: „ებრაელები ათასწლეულების განმავლობაში ერთმანეთს შემდეგნაირად ესალმებოდნენ: „მომავალში იერუსალიმში“. ჩვენ ქართველი პატრიოტები ერთმანეთს მივესალმებით აქ – მთელი მსოფლიოს დასანახად, თავისუფლების მშვიდობის და ერთიანობის პირობებში. მომავალში მივესალმებით სოხუმში, აფხაზეთში, ჩვენ ნათელ, უშფოთველ, გარანტირებულ მომავალში“.

თუმცა ხშირად მმართველი პარტიის იდეოლოგიის გავრცელებას თავად „პატრიოტები“ და ლიდერებიც უწყობენ ხელს და საქართველოს დღისადმი მიძღვნილ დადგმებში, მაგალითად, „კოკოითი ფანდარასტის“ სიმღერით ირთობენ თავს.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე სახელმწიფოს მხრიდან პატრიოტული იდეოლოგიის გავრცელებას იმით ხსნის, რომ ხელისუფლება ცდილობს, ეკლესიის საპირწონე ძალა შექმნას. „საქართველოში დღეს იდეოლოგიების შეჯიბრია. ანტისახელმწიფო იდეოლოგია მართლმადიდებლური ეკლესიის საშუალებით ვრცელდება... ხელისუფლება კი ცდილობს სახელმწიფო იდენტობის გავრცელებას. ასე აგრესიულად ამ იდენტობის დამკვიდრებისთვის მუშაობს იმიტომ, რომ ეს რელიგიური ინდოქტრინიზაციის წინააღმდეგ არის მიმართული“, – აცხადებს გიგი თევზაძე.

პარლამენტარი გიორგი გაბაშვილი კი აცხადებს, რომ პროექტის ავტორები პატრიოტიზმის იდეას კიდევ უფრო ხვეწენ და ცდილობენ, ახალგაზრდა თაობაში სამოქალაქო ღირებულებებს გაუწიონ მეტი პროპაგანდა. გაბაშვილის თქმით, ახლა ბანაკებში პატრიოტიზმი ვრცელდება არა ზედაპირული ხერხებითა და

„ჩვენი მიშა მოვიდა“, – სიყვარულითა და მორცხვად ამბობს „პატრიოტი“ გოგონა „პატრიოტების“ ვიდეო-კლიპში და საკუთარ პრეზიდენტთან შესახვედრად ემზადება.

სტატიის მომზადებაში მონაწილეობა მიიღო მაია წიკლაურმა

ფოტო მარიკა ქოჩიაშვილი

სტუდენტური მოძრაობა

საპროტესტო არტი

სამხატვრო აკადემიის სტუდენტური პროტესტი, რომელშიც 8 ახალგაზრდა მონაწილეობს, ჯერჯერობით მხოლოდ მარგინალიზებული ჯგუფის ახირებას ჰგავს. რატომ ვერ იქცა ეს პატარა ამბოხი მასშტაბურ პროტესტად?

მარიკა ქოჩიაშვილი

სამხატვრო აკადემიის ეზოში ევროკავშირის დიდი ბანერია გამოკრული, ევროკავშირის ლოგოთი და საქართველოს დროშით. წინ მამაკაცის დაახლოებით 5-მეტრიანი ქანდაკება დგას. 15-იოდე სტუდენტი ამ ქანდაკების წინ წრეზეა განლაგებული და „წეროები მიფრინავენ, სად, შორს“-ს თამაშობენ. მოთამაშეების წრე თვალსა და ხელს შუა იზრდება და თან გაცილებით სწრაფად, ვიდრე ორი თვის განმავლობაში იზრდებოდა იმ სტუდენტთა ჯგუფი, რომლებიც აკადემიის საგანმანათლებლო სისტემას დაუპირისპირდა.

სახვითი და მედიახელოვნების მესამეკურსელებმა ყვითელი ლენტები, პროტესტის ნიშნად, ორი თვის წინ დაიმაგრეს. აუდიტორიიდან ქუჩაში გადასვლის პირველი მიზეზი პედაგოგის სამსახურიდან დათხოვნა გახდა. გიორგი კევლიშვილი ვიზუალური ხელოვნების სახელოსნოს ხელმძღვანელობდა. კლასში სტუდენტებს გამოსახვის სულ უფრო მრავალფეროვან ხერხებს – ვიდეოს, ინსტალაციის, მუსიკის, პერფორმანსის, ფოტოს შერევას ასწავლიდნენ და კრიტიკული აზროვნების ჩვევებს უყალიბებდნენ.

სტუდენტები სექტემბრიდან სწორედ ვიზუალური ხელოვნების სახელოსნოში გადასვლას აპირებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ იქ მიღებულ ცოდნას მათ ოფიციალური საკრედიტო სისტემით არ შეუფასებდნენ, სტუდენტები ფიქრობდნენ, რომ სახელოსნოს თავისუფალ გარემოში გაცილებით მეტს ისწავლიდნენ თანამედროვე ხელოვნების შესახებ, ვიდრე თავიანთ ფაკულტეტებზე. „ორი წელი ვუძლებდით აკადემიაში სწავლას იმიტომ, რომ მესამე კურსზე ამ სახელოსნოში გადასვლის საშუალება გვქონოდა. ხატვის ძირითადი ტექნიკა, ნატურმორტისა და ნატურის ხატვა ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ არ შეიძლება 4 წლის განმავლობაში ამას ვერ გასცდე, საერთოდ არ აკეთო ის, რასაც თანამედროვე ხელოვნება ჰქვია, არ იაზროვნო კრიტიკულად და არაფერი გააკეთო უფრო ღირებული, ვიდრე ცნობილი მხატვრების ბიოგრაფიების დაზეპირებაა“, – ამბობს სტუდენტი, რომელსაც მკლავზე ყვითელი ბაფთა უკეთია. როცა ის, თავის მეგობრებთან ერთად შეეცადა, გაერკვია, რატომ გაათავისუფლეს ვიზუალური ხელოვნების სახელოსნოს პედაგოგი, დარწმუნებულები იყვნენ, რომ იქ შეძლებდნენ რეალობის ინტერპრეტირების ახალი გზების მოძებნას, თანამედროვე კულტურულ კონტექსტში საკუთარი ხელოვნების განხილვას. 2009 წლის მაისში პრაღის ბიენალეზე ექსპოზიციაში „ინდივიდიდან DVD-მდე“, რომელიც 11 მხატვრის ხელოვნებას აერთიანებდა, მათი სასურველი პედაგოგის გიორგი კევლიშვილისა და მისი სახელოსნოს სტუდენტის ქეთო ლოგუას ნამუშევრები იყო გამოფენილი. ის ბიენალეს ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე იყო და თან – სტუდენტი, რაც ამ ხელოვნების ფესტივალზე მანამდე არასდროს მომხდარა.

ვიზუალური ხელოვნების სახელოსნო თავიდანვე მოხალისეთა პატარა ავტონომიას წააგავდა. სახელოსნოს სტუდენტებსა და პედაგოგებს აკადემიაში სერიოზულად არასდროს აღიქვამდნენ. სახელოსნოში, რომელსაც არანაირი მატერიალური ბაზა არ გააჩნდა, სულ 15 სტუდენტი სწავლობდა.

მათი პერფორმანსებიც როგორც აკადემიის შიგნით, ისე საზოგადოებაში მხოლოდ „უზრდელურ ახირებად“ ფასდებოდა. მათი პირველი მნიშვნელოვანი პრობლემები მთელ ქართულ საზოგადოებაზე ვრცელდება. ჩვენთან დღეს აღარავინ იცის, რა არის მხატვრის დანიშნულება. კრიტიკული აზრი ყველგან იბლოკება. გვაბრალებენ, რომ ლექციებს სიზარმაცის გამო ვაცდენთ, არადა, უბრალოდ უკეთესი განათლება გვინდა“, – ამბობს გიორგი.

სწორედ იმ მიზნით, რომ თავიანთი პროტესტისთვის უფრო მასობრივი სახე მიეცათ, „ყვითელბაფთიანებმა“ აკადემიაში გამოკითხვა ჩაატარეს. წინასწარ შედგენილი კითხვარის საშუალებით სამი დღის განმავლობაში მათ 1850 სტუდენტიდან 613 გამოკითხეს. პირველივე შეკითხვაზე – ეფუძნება თუ არა აკადემიის სასწავლო პროცესი სტუდენტის შემოქმედებითი განვითარების ინტერესებს – 43-მა პროცენტმა უარყოფითი პასუხი გასცა. გამოკითხულთა თითქმის 60-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ აკადემიაში მიღებული განათლებით თანამედროვე საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში თავის დამკვიდრებას ვერ შეძლებენ.

მიუხედავად ამისა, 8-კაციან ჯგუფს ახალი წევრები არც ამ გამოკითხვის

■ გია ბუღაძემ სათვალე ცხვირზე ჩამოიწია, თავი ოდნავ დახარა და რბილი ღიმილით მითხრა: „ეს პროტესტიც შეგვიძლია ჩავთვალოთ არტად, ოღონდ მე ვდგამ ამ არტს, მე მსიამოვნებს, რომ ისინი კვლევას ატარებენ. ეს იქნება ჩემი არტი, სადაც ისინი იქნებიან ჩემი ფუნჯები და საღებავები. საბოლოო ჯამში, მე მოვაწერ მათ დიპლომებს ხელს“.

რექტორატში უთხრეს, რომ გიორგი კევლიშვილმა კონკურსი ვერ გაიარა.

ლექტორის დაბრუნებისთვის დაწყებული გამოსვლები მოგვიანებით აკადემიის საგანმანათლებლო სისტემის შეცვლის მოთხოვნაში გადაიზარდა. „რენესანსის მხატვრების ტექნიკა უნდა იცოდე, მაგრამ არ შეიძლება დღეს მოგთხოვონ მათი ფერწერის ზუსტი ასლი შექმნა. ეს უკვე აქტუალური აღარ არის. ჩვენ უნდა გვასწავლონ ახალი ხერხები და გზები. მაგრამ აქ ამას არავინ გვასწავლის. იმ განათლებით, რომელსაც აკადემიაში გვაძლევენ, საერთაშორისო სახელოვნებო სივრცეში ცხვირსაც ვერ შეყოფ“, – ამბობს მესამეკურსელი გიორგი ყარალაშვილი.

სწორედ ამიტომ, ამ ახალგაზრდებს ერთადერთ გამოსავლად ვიზუალურ სახელოსნოში სიარული ესახებოდათ. გამოფენა სწორედ იმ სისტემურ პრობლემებს ეხებოდა, რომლებსაც ახლა „ყვითელბაფთიანები“ აპროტესტებენ. თუმცა, მხოლოდ პერფორმანსებით ვიზუალური ხელოვნების სახელოსნოს წინა ჯგუფმა ვერაფრის შეცვლა ვერ შეძლო. ისინი დარჩნენ ერთ მარგინალურ ჯგუფად, რომლებიც საკუთარ სათქმელს ფურთხებით გამოხატავენ (სადიპლომო ნამუშევარი, პერფორმანსი „სველი წრე“, 2007 წ.).

„ყვითელბაფთიანებსაც“ უკვე მიეწებათ მარგინალების იარლიყი. პირველ საპროტესტო აქციაზე მათ ყვითელი სამკლაურების 40-მეტრიანი ლენტი დაჭრეს და დაარიგეს. თუმცა მეორე დღეს ბაფთები ისევ მხოლოდ 8 სტუდენტს ეკეთა. დღემდეც ასეა.

„აღარ გვინდა ვიყოთ მხოლოდ რვანი, რადგან ვფიქრობთ, რომ აკადემიის შემდეგ შემატებია.

აკადემიის სტუდენტებს კრედიტების რაოდენობა უფრო აინტერესებთ, ვიდრე სიახლეების ძებნა. მათ წრეში „ყვითელბაფთიანების“ შესახებ სხვადასხვაგვარი ხმები დადის. ზოგი მათ „სატანისტებს“ ეძახის, რადგან ფიქრობს, რომ სწორედ მათ ეკუთვნოდათ რელიგიური სიმბოლიკის შეურაცხმყოფელი ნახატები, რამაც რამდენიმე ხნის წინ აკადემიაში დიდი ხმაური გამოიწვია. პირველკურსელები ამაში ლექტორებმა დაარწმუნეს.

სწორედ ამიტომ არ იქცა ეს აქცია დიდ სტუდენტურ მოძრაობად – ზოგი მოტყუვდა, ზოგს ეზარება, ზოგი ეგუება, ზოგს გაგდების ეშინია, ზოგსაც პროტესტის ეს უკიდურესი გზა არ მოსწონს.

„საქართველოში ყველა საპროტესტო მოძრაობას პოლიტიკური სარჩული

უდევს, იქნება ეს განათლება, ბიზნესი თუ სხვა. დარწმუნებული ვარ, საზოგადოება ამ პატარა ჯგუფის პროტესტშიც პოლიტიკური მოტივის ძებნას დაიწყებს. მაგალითად, გაჩნდება კითხვა – ეს კამპანია რექტორის საწინააღმდეგოდ ხომ არ არის მიმართული. ამიტომ, ამ ახალგაზრდებს სულ მოუწევთ იმის არგუმენტირებული მტკიცება, რომ ისინი სწორედ დისციპლინასთან და განათლებასთან დაკავშირებულ რეფორმაზე ზრუნავენ და პოლიტიკური მიკერძოება არ აქვთ“, – ამბობს ფილოსოფოსი ლელა გაფრინდაშვილი.

ამ ხნის განმავლობაში რექტორი სტუდენტებს არც ერთხელ არ შეხვდა. „მე მათთან ხელოვნების გარდა, სხვა თემაზე სალაპარაკო არ მაქვს“! – ამბობს გია ბუღაძე და სტუდენტებს მხოლოდ შუამავლების პირით ელაპარაკება. ის დარწმუნებულია, ეს ვიწრომასშტაბიანი აქცია ვერაფერს შეცვლის და არც დიდი ძვრების მომასწავებელია: „აკადემიის 1850 სტუდენტიდან 7-8 ბავშვი არაფერს ნიშნავს. მხოლოდ ეგენი ჩანან, აქტიურები ეგენი არიან, სხვები არ ჩანან და რომც გამოჩნდნენ, ვერაფერს შეცვლიან. მათი ბრძოლა დღეს არის მათი ლექცია. მე ვუტარებ მათ მასტერკლასს სოციალური აქტივობის შესახებ“, – აცხადებს რექტორი.

ერთადერთი კომპრომისი, რომელზეც აკადემიის ადმინისტრაცია წავიდა, იყო ის, რომ ვიზუალური ხელოვნების სახელოსნო აღადგინა. დღეს იმ 10 მესამეკურსელს, რომლებიც კევლიშვილის დათხოვნის მიზეზით დაწყებულ აქციებს არ შეერთებიან, ლექციებს მხატვარი ოლეგ ტიმჩენკო უტარებს. ტიმჩენკო პედაგოგი არასდროს ყოფილა, მაგრამ სტუდენტები მაინც კმაყოფილდებიან იმ თავისუფალი გარემოთი, რომელსაც მხატვარი სთავაზობს და მოსწონთ ის, რომ აქ მათ არავინ უკანონებს, ხაზი როგორ გაავლონ და როგორი ფორმებით ხატონ. მაგრამ, ეს ალტერნატიული ფერწერის სახელოსნო უფროა, ვიდრე – ვიზუალური ხელოვნების. უფრო მასშტაბური რეფორმებისთვის აქ არავინ იბრძვის. ოლეგ ტიმჩენკო ამბობს, რომ არ შეიძლება აკადემიის სტუდენტებს დღესაც „იმ ნატურა ჟანას ახატინებდნენ, რომელსაც მე მახატინებდნენ სტუდენტობისას“. თუმცა, არც ის მოსწონს, რომ ახალგაზრდები სისტემური ცვლილებების მისაღწევად რადიკალურ ფორმებს ირჩევენ.

ჩანასახოვანი სტუდენტური მოძრაობა სამხატვრო აკადემიის რექტორს უფრო ახალისებს, ვიდრე პრობლემებს უქმნის. გია ბუღაძემ სათვალე ცხვირზე ჩამოიწია, თავი ოდნავ დახარა და რბილი ღიმილით მითხრა: „ეს პროტესტიც შეგვიძლია ჩავთვალოთ არტად, ოღონდ მე ვდგამ ამ არტს, მე მსიამოვნებს, რომ ისინი კვლევას ატარებენ. ეს იქნება ჩემი არტი, სადაც ისინი იქნებიან ჩემი ფუნჯები და საღებავები. საბოლოო ჯამში, მე მოვაწერ მათ დიპლომებს ხელს“.

იანვრის ბოლოს მეამბოხე სტუდენტები დიდ გამოფენას აწყობენ, რომლითაც აკადემიის სისტემური პრობლემების გაშიშვლებას გეგმავენ. თუმცა, მათი ეს პერფორმანსიც გია ბუღაძის პერსონალურ არტად დარჩება, თუკი ყვითელ ბაფთებს ის 43 პროცენტიც არ შეიბამს, რომელიც ანკეტაში მარტივად ირჩევს გრაფას – „აკადემია შემოქმედებით განვითარებაში ვერ მეხმარება“.

ფოტო: ბარბარა ქურციკეიანი

საუბრები ლიბერალიზმზე

ნეოკონსერვატორული საგარეო პოლიტიკა

არაპრაგმატულ, „იდეალებზე დამყარებული საგარეო პოლიტიკა“, პატარა და სუსტი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოსთვის დიდი საფრთხის შემცველია.

გიორგი ცხადაია

მიხეილ სააკაშვილი და ჯორჯ ბუში

საქართველოს ხელისუფლების შიდა პოლიტიკური იდეოლოგიის ჩამოყალიბებას დიდად შეუწყო ხელი საგარეო პოლიტიკურმა კონცეფციამ, რომელსაც აქ „ნეოკონსერვატიზმად“ მოვიხსენიებთ. დასაწყისშივე მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ამ ტერმინს არ ვიყენებთ საგარეო პოლიტიკური მოძღვრების ზუსტად იმ მოდელის დახასიათებისთვის, რომელიც ამერიკელმა ჟურნალისტმა ირვინგ კრისტოლსმა ჩამოაყალიბა. ბუშის საგარეო პოლიტიკის ადვოკატები, როგორც წესი, აპროტესტებენ ხოლმე საკუთარი თავის ამ ტერმინით დახასიათებას, რადგან თვლიან, რომ ზოგიერთ საკითხში მათი შეხედულებები მნიშვნელოვნად განსხვავდება იმ ადამიანების შეხედულებებისგან, რომლებსაც ისინი ნამდვილ ნეოკონსერვატორებად თვლიან. იმისათვის, რომ ტერმინმა დაბნეულობა არ გამოიწვიოს, თავიდანვე განვმარტავ, თუ ვის ვგულისხმობ „ნეოკონსერვატორებში“, შემდეგ კი საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას მოცემულ ჩარჩოში განვიხილავ.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, რომლებმაც მთელი ამერიკის შეერთებული შტატები შეძრა, ამერიკულ საზოგადოებაში გაიზარდა მხარდაჭერა ისეთი საგარეო პოლიტიკური კონცეფციის მიმართ, რომელიც კონცენტრირებული იქნებოდა ტერორისტების და ამერიკის მტრების დასჯაზე. სწორედ ასეთი აღმოჩნდა პრეზიდენტ ბუშის და რესპუბლიკური პარტიის მაშინდელი პლატფორმა, რომელმაც გლობალურ ტერორიზმს ომი გამოუცხადა და მსოფლიოს სამი ავტორიტარული ქვეყანა ამერიკის წინააღმდეგ „ბოროტების ღერძის“ წარმოქმნაში დაადანაშაულა. ეს ქვეყნები – ირანი, ჩრდილოეთ კორეა და ერაყი, ბუშის წარმოდგენით, ეხმარებოდნენ ტერორისტებს მთელ მსოფლიოში და ეძებდნენ გზებს მასობრივი განადგურების იარაღის შესაქმნელად. თუმცა, ერაყის დაპყრობის შემდეგ დამტკიცდა, რომ სადამ ჰუსეინს ტერორისტებთან კავშირი არ ჰქონდა და არც მასობრივი განადგურების იარაღს ფლობდა. მიუხედავად ამისა, ამერიკის მოსახლეობის ნაწილი ამ მარტივი კონცეფციის ერთგული დარჩა, ვიდრე არ გამოაშკარავდა ის პრობლემები, რომლებიც ამერიკის ჯარს ერაყსა და ავღანეთში შეექმნა; ასევე, გართულდა ურთიერთობა ირანთან, რუსეთთან, ევროპასა და ჩინეთთანაც. შედეგად, ამერიკაში ბევრი დაფიქრდა მსგავსი რიგიდული კონცეფციით გამოწვეულ პრობლემებზე და არჩევნებზე მხარდაჭერა მისგან სრულიად განსხვავებულ, ბარაკ ობამას პროგრამას გამოუცხადეს. მიუხედავად ამისა, ბუშის დოქტრინა, რომელიც გულისხმობდა პრეემფციული ომის წარმოებას მტერი სახელმწიფოს წინააღმდეგ და ამერიკული სამხედრო ძალით უნილატერალურ მოქმედებას დემოკრატიის გასავრცელებლად, დღემდე რჩება მსოფლიოში ბევრი საგარეო პოლიტიკური დოქტრინის თავისთავად ნაგულისხმევ ელემენტად. ამერიკის მეგობარ ქვეყნებში, მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპაში, უკრაინასა და საქართველოში, ჩამოყალიბდა წარმოდგენა ამერიკული სამხედრო ჰეგემონობის დაუსრულებელ შესაძლებლობებსა და დემოკრატიული იდეალებისთვის სამხედრო გზით ბრძოლის აუცილებლობაზე.

ნეოკონსერვატიზმის ყველაზე რადიკალური წარმომადგენლები, იმის გარდა, რომ იზიარებენ ბუშის დოქტრინის ძირითად დებულებებს, თვლიან, რომ საგარეო პოლიტიკის წარმოების დროს დემოკრატიულმა ჰეგემონმა, ანუ აშშ-მ, არ უნდა მიიღოს მხედველობაში ის გეოპოლიტიკური სიძნელეები, რომელიც მას მიზნის მიღწევის გზაზე ხვდება და საკუთარი თავი მსოფლიოს სახელმწიფოების ისეთ გლობალურ მორალურ მსაჯულად უნდა გამოაცხადოს, როგორადაც მაგალითად რომელიმე სუვერენული ქვეყნის სახელმწიფო ინსტიტუტები აცხადებენ ამ ქვეყნის ტერიტორიის საზღვრებში. მსგავსმა ნაივურმა წარმოდგენამ, თუ გავითვალისწინებთ ამერიკის უზარმაზარ სამხედრო პოტენციალს, შესაძლოა, ამერიკის მეგობარი ქვეყნის პოლიტიკურ წრეებში გააჩინა ერთგანზომილებიანი, „კეთილი და ბოროტი“ ტიპის, მოუქნელი საგარეო კონცეფციების წარმოქმნის წინაპირობა. „კეთილი და ბოროტი“ ტიპის რიტორიკა თავად ამერიკის პრეზიდენტისგან მოდიოდა: ის ამბობდა, რომ ახლო აღმოსავლეთში (ინგლისურად, „შუა აღმოსავლეთში“, Middle East) კონფლიქტების მოსაგვარებლად ტერორისტების განადგურება და დემოკრატიის გავრცელებაა საჭირო. ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევისთვის კი ყოველგვარი საშუალება გამართლებული იქნებოდა, საერთაშორისო სამართლის ნორმების დაღვევაც კი.

საქართველოში ბუშის პოლიტიკა მმართველმა წრეებმა მომგებიან გამოწვევად აღიქვეს და „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ დემოკრატიის გავრცელების საქმეში საქართველოს მთავრობა აშშ-ს უმცროსი პარტნიორი გახდა. რუსეთის „ცივი ომის“ პერიოდიდან შემორჩენილი „ბოროტების იმპერიის“ იმიჯი ნეოკონსერვატორებისთვის კიდევ ერთ ფუნქციურ ელემენტად იქცა მსოფლიოს ახალი ამერიკული წესრიგის დოქტრინის შესავსებად. პრეზიდენტ ბუშისთვის რუსეთის ბუნებრივი რესურსები ამ ქვეყანაზე მორალური წნეხის შემცირებისთვის ერთგვარ მიზეზად რჩებოდა. წამყვან პოლიტიკურ წრეებში მალე უფრო რადიკალური შეხედულებებიც გაჩნდა. პრეზიდენტობის კანდიდატმა ჯონ მაკეინმა ნეოკონსერვატორიზმის იდეალურ მოდელთან მიახლოებული პოზიცია დაიკავა, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო სანქციების დაწესებასაც კი გულისხმობდა. სწორედ მაკეინი გამოვიდა საქართველოს მხარდამჭერი განცხადებებით აგვისტოს ომის დროს და, გავლენიანი დასავლური გამოცემების ცნობით, სწორედ ის ელაპარაკა პრეზიდენტ სააკაშვილს აგვისტოს კონფლიქტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე.

საქართველოს ხელისუფლებაში ბუშის მეორე ვადის დაწყებისთანავე აგრესიული საგარეო პოლიტიკის კურსი აიღეს. განუწყვეტლივ ისმოდა სამხედრო შეიარაღების გაძლიერებისა და სამხედრო მორალის ამაღლების მოწოდებები ახლად დაფუძნებულ თავდაცვის სამინისტროს ტელეარხ „საქართველოზე“. სამხედრო მილიტარისტული პროპაგანდა განსაკუთრებით გაძლიერდა კოდორის ხეობის დაკავების შემდგომ. 2008 წლის იანვრიდან კი საქართველოს სახელმწიფო მინისტრად რეინტეგრაციის საკითხებში დაინიშნა თემურ იაკობაშვილი, რომელიც იქამდე საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობის კვლევის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი იყო. იაკობაშვილი, ისევე როგორც „თავისუფლების ინსტიტუტის“ გამგეობის თავმჯდომარე, ლევან რამიშვილი იდეოლოგიურად ბუშის დოქტრინის მხარდამჭერები არიან. რთულია ვისაუბროთ ხელისუფლებაზე რამიშვილის პოლიტიკურ გავლენებზე, მაგრამ იაკობაშვილი მინისტრად დანიშვნის შემდგომ ნეოკონსერვატორული საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ერთ-ერთ ორგანულ რგოლად იქცა. საქართველოს საგარეო პოლიტიკურ წრეებში ამის შემდგომ ნეოკონსერვატორული იდეოლოგიური განწყობები, როგორც არასდროს, ისე გაძლიერდა. იქამდე კი, 2005 წელს საქართველოს ხელისუფლება აღებული კურსის სისწორეში თავად პრეზიდენტ ბუშის ჩამოსვლამ დაარწმუნა. ყველა პირობა უწყობდა ხელს იმას, რომ საქართველოს მაღალი პოლიტიკური წრეები დარწმუნებულიყვნენ ორ რამეში: პირველი, რომ ამერიკის მხარდაჭერა საქართველოს, როგორც „დემოკრატიის შუქურის“ მიმართ, ურყევი იქნებოდა, და მეორე, რომ კონფლიქტის უნილატერალური მოგვარება რჩებოდა ერთადერთ სწორ გზად მოცემულ საერთაშორისო ვითარებაში.

> ■ სააკაშვილის საგარეო პოლიტიკური კონცეფცია მჭიდროდ დაუკავშირდა ნეოკონსერვატორულ იდეალებს, რომლებიც ფაქტობრივად ამერიკის სამხედრო ძალის პრიმატსა და „დემოკრატიის გავრცელების“ ბუნდოვან მისიას მოიცავს.

არჩევნებში მაკეინის დამარცხების და აგვისტოს ომში საქართველოს მიერ განცდილი მარცხის მიუხედავად, პრეზიდენტი სააკაშვილი ჯიუტად განაგრძობდა ამერიკელი „ნეოკონების“ (იგივე „ნეოკონსერვატორები“) მხარდაჭერის მოპოვებას. მიხეილ სააკაშვილმა 2009 წლის 11 აპრილის ჟურნალ „ნიუსვიქთან“ ინტერვიუში განაცხადა: „მე ვესაუბრე მას (პრეზიდენტ ბარაკ ობამას-გ.ც.). პრობლემა ჩვენში არ არის – პრობლემა მათ საშინაო პოლიტიკაშია. ჩვენ გავხდით ინტეგრირებული ამერიკის საშინაო პოლიტიკაში. ძალაუფლების ცვლილებების პერიოდში ამერიკაში იყო გარკვეული ტიპის ვაკუუმი ჩვენთან დაკავშირებით. არავინ იცოდა, თუ რა გადაწყვეტილება მიეღო საქართველოსთან დაკავშირებით. ყველა, საფრანგეთის ჩათვლით, ელოდებოდა ობამას მითითებებს. მე ვაღმერთებ ამერიკულ იდეალებს. ჩემი იდეალი იყო ამერიკა ბუშის ეპოქაში, როდესაც იდეები პრაგმატულ პოლიტიკაზე მაღლა იდგა. ახლა სხვა დრო დადგა, როდესაც პრაგმატული პოლიტიკა ცვლის იდეებს. ამან, შესაძლოა, ის ამერიკა გააფუჭოს, რომელსაც მე ვიცნობდი“.

ინტერვიუდან ჩანს, რომ თავად სააკაშვილის საგარეო პოლიტიკური კონცეფცია მჭიდროდ იყო დაკავშირებული ნეოკონსერვატორულ იდეალებთან, რომლებიც ფაქტობრივად ამერიკის სამხედრო ძალის პრიმატსა და „დემოკრატიის გავრცელების“ ბუნდოვან მისიას მოიცავს. შედეგად, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონცეფცია სწორედ დემოკრატიის გავრცელებისა და „ბოროტების იმპერიასთან“ ბრძოლის ლოზუნგებით ჩამოყალიბდა. „იდეალებზე დამყარებული საგარეო პოლიტიკა“, პატარა სახელმწიფოსთვის და მთლიანი რეგიონისთვის, ბუნებრივია, რომ დიდი საფრთხის შემცველია. არათუ საქართველოს, არამედ მსოფლიოს ჰეგემონი ქვეყნის, ამერიკის პოლიტიკაც, ობამას არჩევასთან ერთად, უფრო პრაგმატული და რეალობის მეტ-ნაკლებად ადეკვატური გახდა.

არაპრაგმატულმა საგარეო პოლიტიკურმა იდეებმა და აბსტრაქტულმა მიზნებმა არაერთხელ აჩვენა, რომ შესაძლოა, ამან მილიონობით ადამიანის სიცოცხლე შეიწიროს. ამიტომ, ამერიკაში პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას ხშირად – „ლიბერალურს“, ხისტსა და რიგიდულს კი „ნეოკონსერვატორულს“ უწოდებენ ხოლმე. საგარეო პოლიტიკაში ლიბერალიზმის ნაკლებობა ხშირად საშინაო პოლიტიკაში გაძლიერებულ ავტორიტარიზმშიც გამოიხატება. მაგალითად, ბუშის მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ გამოცხადებულ ომს მოჰყვა ამერიკაში ე.წ. „პატრიოტთა აქტის“ მიღება, რომელმაც ზოგიერთი ფუნდამენტური სამოქალაქო თავისუფლება შეზღუდა. დემოკრატიის ნაკლები ტრადიციის მქონე პატარა საქართველოში კი გაუთვალისწინებელ საგარეო პოლიტიკურ ნაბიჯებს შეიძლება გაცილებით უფრო დრამატული შედეგები მოჰყვეს საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებისთვის.

სტალინის ძეგლი გორში

მხიარული თამაშები

საზოგადოების ერთი ნაწილი კომუნისტური მემკვიდრეობისგან გათავისუფლებას ძეგლების აღებით ცდილობს. არადა, ტოტალიტარული სისტემის გავლენა ყველაზე კარგად სწორედ წარსულისადმი ასეთი, შეიძლება ითქვას, გულუბრყვილო დამოკიდებულებით ვლინდება.

ლაშა კალანდაძე

2008 წლის შემოდგომაზე ჩემი უფროსი მეგობარი მიმტკიცებდა, – აგვისტოს ომი გარდამტეხი აღმოჩნდება ქართული საზოგადოებისთვის, აუცილებლად დაიწყება ღირებულებათა გადაფასება, ადამიანები მიხვდებიან, რომ აზროვნებაში რაღაც ფუნდამენტურია შესაცვლელიო. მარტივად რომ ვთქვათ, ერთგვარი კათარზისის იმედი ჰქონდა.

გახსოვთ ალბათ ომამდე, როგორი აზარტით ეძებდა და პოულობდა სრულიად საქართველოს საზოგადოება, ხელისუფლებასთან ერთად, ქვეყნის მოღალატეებს, როგორ აკრავდა ზოგი კონკრეტულ პიროვნებებს „აგენტის“ იარლიყს, ზოგიც კი აშორებდა. იმის მიუხედავად, ვის მხარეს იყავი, ბრალმდებლებისა თუ ბრალდებულების, ასეთი შოუები გვართობდა, სიცარიელეს გვივსებდა, როგორც ბაბუაჩემი იტყოდა, გულს გვფხანდა. აბა, რა ჯობია ასეთ საჯარო გასამართლებებს, დებატებს, თამაშებს, რომლებსაც აუცილებლად ეყოლება გამარჯვებული; რატომ არ მოგინდება ამ ყველაფერში მონაწილეობის მიღება და გულის გადაყოლება, თანაც ვინ იცის, იქნებ გამარჯვებულთა რიგებშიც აღმოჩნდე.

ომის შემდგომ აგენტების ძებნისთვის თავი არ დაგვინებია – პირიქით. მაგრამ რაღაცნაირად თითქოს მაინც მოძველდა, აღარ ჭრის, ალბათ იმიტომ, რომ წესები ყველასათვის ცნობილი გახდა.

აგვისტოს ომის შემდგომ, სხვა თამაში დაიწყო – ახალი ტიპის „დამნაშავეების“ ძიება, ოღონდ საქმე არა პიროვნებებს, არამედ მათ ნეშტებს ეხება.

თავდაპირველად ასეთი დამნაშავე გორის ცენტრალურ მოედანზე მდგარი სტალინის ძეგლი აღმოჩნდა. მისი ადგილსამყოფელის ლეგიტიმურობაზე საუბარი თავიდან ვებსივრცეში, „ფეისბუქზე“ და ფორუმებზე დაიწყო, შეგროვდა ხელმოწერები; საზოგადოების ერთი ნაწილის მოთხოვნა გადაეგზავნა მთავრობას, მიუხედავად იმისა, რომ ეს იდეა თავად ხელისუფლების წარმომადგენლების ერთ ნაწილს ეკუთვნის, რაც არ დამალა გიგა ზედანიამ გოგი გვახარიას გადაცემაში. შემდეგ იყო პრესა და ტელევიზია, იქ გამართული დებატები, მსჯელობა ძეგლზე, მის გავლენებზე, რუსეთის მიერ დაბომბილ გორზე, იმავე გორში ქვაში განკაცებულ სტალინზე. ჰო, სიმბოლოები ამ შემთხვევაშიც აქტუალური გახლდათ, ისევე, როგორც ქართველი ლიბერალ-პატრიოტების შედარებით ახალ მოთხოვნაში, რომელიც ჯერ კიდევ დამუშავების სტადიაშია, ანუ ვებსივრცეში განიხილება.

ამჯერად საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ჯაბა იოსელიანის საფლავიდან ამოთხრა (პირდაპირი მნიშვნელობით!) სურს. არ გეგონოთ, რომ „მხედრიონის“ ყოფილი ლიდერისთვის ვინმეს საფლავი ენანება. საქმე ისაა, რომ ესოდენ ნეგატიური მოგონებების აღმძვრელი ჯაბა იოსელიანი ქართველებისთვის ისეთ პრესტიჟულ ადგილას განისვენებს, როგორც დიდუბის პანთეონია. თუ ამ მოთხოვნის მხარდამჭერთა ნაწილის ვინაობა იცით, უთუოდ ღიმილს მოგგვრით, რომ ისინი ზუსტად ისეთივე მაღალი წარმოდგენის ბრძანდებიან პანთეონებზე, როგორც, ვთქვათ, გუბაზ სანიკიძე; მთაწმინდა ისეთი ადგილია, შემოთავაზების შემთხვევაში ცოცხლად უნდა დაიმარხოო, – რომ ბრძანა.

შესაძლოა, იოსელიანის ამოთხრის მსურველები საკუთარი შეცდომის გამოსწორებასაც ცდილობენ, რაღაცნაირად გაეპარათ ეს ულირსი კაცი ღირსთა მიწაზე. მკვდრების გადანაწილება ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც მუდმივად აწუხებს საქართველოს. სამწუხაროა, რომ თენგიზ აბულაძემ თავისი „მონანიებით“ სერიოზული დაღი დაასვა ქართული საზოგადოების ცნობიერებას – საბჭოთას, ცუდის ამოთხრის მაგალითი მისცა.

ქართველი ლიბერალების კიდევ ერთ გატაცებად საბჭოთა ჰერალდიკა იქცა, გაიხსნა თემები და შეიქმნა ჯგუფები, სახელმწიფო შენობებიდან კომუნისტური სიმბოლიკების მოხსნის მოთხოვნით. ხოლო მას შემდეგ, რაც პოლონეთმა საბჭოთა სიმბოლიკის აკრძალვის შესახებ მიიღო კანონი, ამ იდეას სწრაფადვე გამოუჩნდნენ მხარდამჭერები. როგორც ხედავთ, ქართველი ინტელექტუალების ერთ ნაწილს საკმაოდ სერიოზული ბრძოლა აქვს გაჩაღებული ძეგლებისა და მკვდრების წინააღმდეგ. ეს ყველაფერი მართლაც ემსგავსება თამაშს, მოსამზადებელ-გასახურებელი ეტაპით, საკმარისი რაოდენობის მხარდამჭერების შემთხვევაში კი, უფრო ფართო ასპარეზზე გატანით, თავისი დამატებითი დროითა და პენალტების სერიით.

როგორც თავად მონაწილეები ამბობენ, ასეთი თამაშები საბჭოთა ან ცუდი (იოსელიანის შემთხვევაში) წარსულისგან გამიჯვნას ემსახურება. სწორედ გამიჯვნას და არა პასუხისმგებლობის გაზიარებას. აგვისტოს ომის შემდგომ სტალინის ძეგლის აღების მოთხოვნა ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საბჭოთა კავშირისგან თავის დაღწევა იმდენად გვსურს, რამდენადაც ის რუსეთთანაა დაკავშირებული. სამწუხაროდ, პრობლემა ისევ დროშებსა და ძეგლებშია და არა ღირებულებებში. დამოკიდებულება მონუმენტური, პიროვნების გამაფეტიშებელი ხელოვნების, სიმბოლიკებისა და პანთეონების მიმართ კი არ იცვლება, არამედ კონკრეტული პიროვნებების, რომლებიც ან ქვაში არიან ჩაკირულნი, ანაც მიწაში ჩაფლულნი.

მთავარი ხდება არა საზოგადოების ჩამოყალიბება, გათვითცნობიერება ან გარდაქმნა, არამედ არასასურველი ნივთებისა და ნეშტების თვალიდან მოცილება, გადამალვა. აგენტებისა და მოღალატეების ძებნაში გაწაფულ ქართულ ხელისუფლებას ლუსტრაციის კანონი ჯერაც არ მიუღია, აღარაფერს ვამბობ ერთგვარ, მცირე მასშტაბის „ნიურნბერგის პროცესზე“, სადაც არა უბრალოდ კონკრეტული პიროვნებების, არამედ ზოგადად საბჭოთა კავშირის, უმთავრესად კი ქართული საბჭოთა ისტორიის გასამართლება მოხდებოდა. ეს, რასაკვირველია, ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე კვარცხლბეკზე მდგარი და საფლავში მწოლიარე საფრთხეებთან გამკლავება.

მე პირადად ასეთი მოთხოვნები (სტალინის გადატანა, ჯაბას ამოთხრა, სიმბოლიკის აკრძალვა) უფრო მეტად მახსენებს და მაახლოებს „ბოროტების იმპერიასთან“, თუნდაც იმიტომ, რომ საბჭოთა ღირებულებებისა და დამოკიდებულებებისგან თავისუფალი საზოგადოება ძეგლებს, მკვდრებსა და დროშებს არ დაუწყებს ბრძოლას.

რადიო „ნაცნობი“ გეპატიჟებათ კლუბში „ნაცნობი“

- ტრადიციული ქართული სამზარეულო
- ცოცხალი მუსიკა

მისამართი: აბანოს ქ. N 3

ჩემი ცხოვრების დევიზი სრულყოფილებაა.

ნებისმიერი აუდიტორია იმსახურებს იმას, რომ მხოლოდ საუკეთესო მუსიკას მოუსმინოს. ამიტომ, ყველაფერი რაც მეორე ხარისხოვანია, ჩემთვისაც მიუღებელია. მე ვირჩევ American Express®-ს, ესე იგი, ვირჩევ საუკეთესოს. ის ზუსტად გეგმავს ჩემს მოგზაურობას, მთავაზობს სრულ სერვისს, დაწყებული ავია რეისებიდან და სასტუმროებიდან, დამთავრებული ავტომობილის ჭირაობითა და მსოფლიო კრუიზის მოწყობით.

ჩემი ცხოვრება ხელოვნებაა.
ჩემი საკრედიტო ბარათი
მისი სრულყოფის საშუალება.

იცხოვრეთ უკეთესად, აიღეთ ბარათი.
დარეკეთ ნომერზე: 444 300 ან ეწვიეთ
გვ-გვერდს: www.americanexpress.ge

American Express®-ის ექსკლუზიური წარმომადგენელი.